

இலங்கை தொகீடு

ஏஷ்ராஸ் மென்சில்
உதவேநாகராஜாஞ்சில
ஏஏக்விலிஷ்ரெங்கில் ஜார்ஜ்

კულტურულები მიმიღების დაცვის უძნესი ინსტიტუტის სისტემითი
აუგვის იმის - ორცემა უძლიერი სინოფტოგრაფიული
ძაღლის მიზანისათვის - მომწონ მოცილების იურიდიკული ით
აღდ აუგვის უძლიერი ინდიციული უფლებები ისტორიკული
იურიდიკული ინდიციული მოცილები მოცილები ჩემ
მცდელურის მარცვალის ინტენციას იმავალი იმავალი უფლებამოსის
უფლების მარცვალის მარცვალის მიზანის სისტემითი მიზანის
აუგვის უძლიერი ინდიციული სისტემითი მიზანის მიზანის
სისტემითი მიზანის აუგვის უძლიერი ინდიციული სისტემითი
სისტემითი მიზანის აუგვის უძლიერი ინდიციული სისტემითი

ეფრემ მცირის პიმნოგრაფიული მემკვიდრეობის შესახებ

იუნიტიური გრაფიკი
ამოტიკურ გრაფიკი მიზანის ინდიციული
ენდოფრენიზმის ინდიციული
ამოტიკურ გრაფიკი მიზანის ინდიციული
იდენტიფიცირების მიზანის ინდიციული

ინდიციული მიზანის
ამოტიკურ გრაფიკი მიზანის
ენდოფრენიზმის ინდიციული
იდენტიფიცირების მიზანის ინდიციული
ენდოფრენიზმის ინდიციული
ამოტიკურ გრაფიკი მიზანის ინდიციული

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2009



ნაშრომში შესწავლითია ეფრემ მცირის უნივერსიტეტის
რი მემკვიდრეობის აქამდე უცნობი სფერო – მისი წელი და
ლი ქართული სასულიერო პოეზიის – პიმნოგრაფიის გან-
ვითარებაში. ქართულ ხელნაწერებში გამოვლენილი ეფ-
რემ მცირის რედაქციის მარხვანი და მასში დაცული
მრავალრიცხვანი თარგმანები ყურადღებას იმსახურებს
ბიზანტიური პიმნოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგე-
ნელთა, აგრეთვე ეფრემ მცირის პიმნოგრაფიული მემ-
კვიდრეობის შესწავლისათვის.

F 923 719

რედაქტორი: ელგუჯა ხინთიძიძე
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

ეცენზურები: ლაურა გრიგოლაშვილი
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი
ედიშერ ჭელიძე
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

© ლ. ხაჩიძე, 2009

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, : 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-595-9

საქართველოს
პარლამენტის
ინტელექტუალური
მუზეუმი



შესავალი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ეფრემ მცირის მოღვაწეობის შესწავლა შუა საუკუნეების სასულიერო პოეზიის – პიმნოგრაფიის სფეროში. აკად. ქ. კეპელიძე ლიტერატურგიკისა და პიმნოგრაფიის დარგში ასახელებს ეფრემის 3 თარგმანს. „მეთიმონს“ (Мечт ყမան) ანუ „დიდი სერობის“ შედეგს, „ზიარებისაგან განყენებულთა ლოცვას“ და „აღდგომის კანონს“, რომელიც ეფრემს „უსაკუთრესოთა სიტყვთა“ უთარგმნია (კეპელიძე 1980: 268). აქედან პიმნოგრაფიის სფეროს განვაჭოთვნება მხოლოდ უკანასკნელი თარგმანი – ითანა დამასკელის „აღდგომის კანონი“. ამ მითითების გარდა, დღემდე არაფერია ცნობილი ეფრემ მცირის მოღვაწეობის შესახებ ლიტერატურგიკული პოეზიის ანუ პიმნოგრაფიის სფეროში.

იმ დიდი და საინტერესო კვლევის ფონზე, რომელიც ჩატარებულია მეცნიერთა თაობების მიერ ეფრემ მცირის უნივერსალური მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებით, კიდევ უფრო საგრძნობია ის გარემოება, რომ ეფრემ მცირის პიმნოგრაფიული მემკვიდრეობა დღემდე სრულიად შეუსწავლელია. ივ. ჯავახიშვილის, ქ. კეპელიძის, შ. ნუცუბიძის, რ. ბლეიკის, ელ. მეტრეველის, ს. ენუქაშვილის, პ. ინგოროვებას, ე. ხინთიბიძის, რ. ბარამიძის, რ. სირაძის, ივ. ლოლაშვილის, ქ. დანელიას, მზ. ჟანიძის, მ. რაფაგას, დ. მელიქიშვილის, თ. ბრეგაძის, ნ. მელიქიშვილის, ე. ჭელიძის, დ. თვალთვაძის, გ. ალიბეგაშვილის, თ. ოთხმეზურის, ქ. ბეზარაშვილის და სხვათა ნაშრომების წყალობით დღეისთვის უკვე კარგადაა ცნობილი ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურებები, მისი მუშაობის მეცნიერული ხასიათი, მის მიერ შემონახული ცნობების, კომენტარების მნიშვნელობა

ბიზანტიური მწერლობის შესწავლის ისტორიისათვის, ტერმინოლოგიური სიახლენი, ავტოგრაფი, მისი ადგილი ქართული რელიგიურ - ფილოსოფიური თუ ლიტერატურულ - ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში.

ეფრემ მცირის მოდგაწეობის სრულად გათვალისწინება შეუძლებელია მისი პიმნოგრაფიული მემკვიდრეობის შესწავლის გარეშე, რომელიც, როგორც ირკვევა, მოიცავს ვრცელ სპექტრს, მარგალრიცხოვანი საგალობლების შესანიშნავ ოარგმანებს.

ქართულ ხელნაწერთა სხვადასხვა კოლექციის შესწავლამ ნათელყო, რომ ეფრემ მცირის სახელს უკავშირდება უმნიშვნელოვანესი ლიტერატურულ-პიმნოგრაფიული კრებულის - ქართული მარხვანის ახალი რედაქციის შედგენა. მარხვანის ეს რედაქცია ქმნის მნიშვნელოვან ეტაპს ქართული მარხვანის ფორმირების რთულ და საინტერესო გზაზე. იგი შეიცავს ვრცელ პიმნოგრაფიულ რეპერტუარს - სხვადასხვა ფორმისა და ქანრის საგალობლებს, რომელთა დიდი ნაწილი თვით ეფრემ მცირის მიერ უნდა იყო თარგმნილი, იკვეთება მის მიმდევართა და თანამრაზრეთა წრეც. მარხვანის ეფრემისეული რედაქცია, რომელიც შედგენილი უნდა იყოს შავ მთაზე შეიცავს რიგ თავისებურებებს, რომელთა გათვალისწინების გარეშე შე შეუძლებელია ქართული პიმნოგრაფიის სრულყოფილი კვლევა.

ნაშრომში ნაჩვენებია, თუ რა სიახლეებს გვთავაზობს ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანი VII - XI საუკუნეების თვალსაჩინო ბიზანტიულ პიმნოგრაფთა შემოქმედების შესწავლისათვის; გამოყოფილია საგალობლები, რომელთა ორიგინალები არ ჩანს ბერძნული და სლავური მარხვანების არსებულ პუბლიკაციებში, აგრეთვე დღისათვის ცნობილ სამცცინერო ლიტერატურაში. ეს გარემოება, ბუნებრივია, შეუდარებლად ზრდის მათი ქართული თარგმანების მნიშვნელობას. სხვა შემთხვევებში კი, ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანი საშუალებას იძლევა საგალობლელთა ორიგინალების სტრუქტურის, ტექსტის, ავტორთა დასაზუსტებლად. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მარხვანის ამ რედაქციაში ბერძნული ტრიო-

დიონის უფრო არქაული და სრულყოფილი სახეა დაცული ლი, ვიღრე მის არსებულ პუბლიკაციებსა და სლავურ ტრადიციების თარგმანში. საერთოდ კი, კომპლექსური კვლევის გარეშე, შეუძლებელია ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანის შესწავლა. ამის გამო წინამდებარე ნაშრომში ეფრემ მცირის პიმნოგრაფიული მოღვაწეობა განხილულია მთელი ქართული პიმნოგრაფიის, აგრეთვე ბიზანტიური პიმნოგრაფიის პრობლემებთან მჭიდრო კავშირში.

ეფრემ მცირის ადგილის გასარკვევად ქართული პიმნოგრაფიის ისტორიაში ნაშრომში მისი ახლადგამოვლენილი თარგმანები შედარებულია წინადროინდელთან, რომელთა მიღმა ირკვლება მათი შექმნის ეპოქა – მთარგმნელობითი და, საერთოდ, ლიტერატურული ტრადიციების სპეციფიკა, ორიგინალთან დამოკიდებულება, თვით ბერძნული ტექსტის ისტორია.

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანის რაობის გასარკვევად გათვალისწინებულია ქართული მარხვანების წინადროინდელი რედაქციები, რომელთა შედგენა დაკავშირებულია თვალსაჩინო პიმნოგრაფთა და მოღვაწეობა – იოანე მინჩხის, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების სახელებთან; შესაბამისი ეპოქების ბიზანტიური ტრადიციები, აგრეთვე სლავური თარგმანები.

ამ ზოგად პრობლემატიკასთან ერთად, იკვეთება უფრემ მცირის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ახალი ასპექტი – მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება პოეტური სიტყვისადმი.

ყველივე ზემოთქმულის საფუძველზე ნაშრომში განსაზღვრულია ეფრემ მცირის ადგილი ქართული პიმნოგრაფიის ისტორიაში, აგრეთვე XI საუკუნის ქართული პიმნოგრაფიის, ქართული მარხვანის ქართველოლოგიური და ზოგადმეცნიერული მნიშვნელობა.

მონოგრაფიაში „ქართული ქრისტიანული ქულტურის ისტორიდან“ ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ ქართულ მარხვანის ორი რედაქცია – I ქართული მარხვანი, რომლის შემდგენელი და რედაქტორია X ს-ის დიდი ქართველი პიმნოგრაფი - იოანე მინჩხი და გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანი, რომელიც მისივე ავტოგ-



ქართული მარხვანის ახალი რედაქცია და მისი შემდგენელი

გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანი, რომელიც საგანგებოდაა შესწავლილი ჩვენ მიერ (ხაზიძე 1987: 59-74), უნიკალურია თავისი შემადგენლობით, სისრულით და ავტორებზე ზუსტი მითითებებით. მსგავსი სისრულის მარხვანი დღეს ბერძნულ ხელნაწერებში არ ჩანს. ამგვარი „კრებითი“ ხასიათის ლიტერატურული წიგნების შედგენა გიორგი მთაწმიდელის მუშაობის დამახასიათებელი თავისებურებაა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ნაჩვენებია, თუ როგორ იცვლებოდა დროთა განმავლობაში ბერძნული მარხვანი, იქმნებოდა მისი ახალი რედაქციები და ტიპები, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. ამით უნდა იყოს განპირობებული ის გარემოება, რომ გიორგი მთაწმიდელის შემდეგ შექმნილა ქართული მარხვანის ახალი, აქამდე უცნობი რედაქცია. იგი გამოვლენილ იქნა პარიზული ხელნაწერის – გეორგიკა 5-ის II ნაწილში.

გეორგ. 5-ის ეს ნაწილი (217 გ – 292 გ) აქამდე სრულიად შეუსწავლელი იყო. იგი გადაწერილია 2 ხელშერით. I ხელით გადაწერილია 217 გ – 222 ვ, II ხელით – 213 გ – 292 გ. მეორე ხელით გადაწერილ ნაწილში, 248v-ზე, მოხსენიებულია გადამწერი - „ოქროპირი“. I გადამწერის ფინაობა კი უცნობია.

I ხელით გადაწერილი ნაწილი იწყება სათაურით: „იწყე შენ აქეთგან სტიქარონნი მარხვათანი მეზვერისა და ფარისევლის კკრიაკითგან და სრულ იქმნებიან ნათლით შემოსილსა კკრიაკესა.“ აღნიშნულ სათაურს მოსდევს ერთი ან რამდენიმე ტროპარისაგან შედგენილ სტიქარონთა ტექსტები, რომლებიც ამავე გვერდზეა (217r) მოთავსებული. ამის შემდეგ გრძელდება ტექსტი: „ტორცია-

ლისა უძღვებისა ყოველივე ზემოხთ პპოოთ და გამოავლინე აქეთ ოქტო ესე“ და მოტანილია ერთტროპარიანი „შემდეგ ხელნაწერში წარმოდგენილია ჭორცი-ელის შაბათისათვის განკუთვნილ მცირე ფორმის საგალობელთა – სტიქარონთა სრული ტექსტები და ამავე დღისათვის განკუთვნილი თეოდორე სტუდიელის კანონი შემდეგი სათაურით: „გალობანი მეორედ მოსლვისანი, შედარებულნი თარგმნილნი, არსენი.“ ამ კანონის ქართული თარგმანი გვხვდება წინადროინდელ ქართულ ხელნაწერებშიც. გეორგ. 5-ის II ნაწილში მისი ახალი თარგმანია შეტანილი, რომელიც ბერძნულიდან ხელახლა უთარგმნია, ორიგინალთან ხელახლა „შეუდარებია“ არსენის. გეორგ. 5-ის II ნაწილში შესულია ანდრეა კრიტულის „დიდი გალობანის“ ახალი – არსენ იყალთოელის მიერ შესრულებული თარგმანი. ეს გარემოება ნათელს ხდის, რომ ჭორციელის კურიაკისათვის განკუთვნილი კანონის ახალი თარგმანიც არსენ იყალთოელს უნდა ეკუთვნოდეს.

ჭორციელის კურიაკისათვის განკუთვნილი მცირე ფორმის საგალობელების შემდეგ გეორგ-5-ის II ნაწილში გრძელება ტექსტი: „შეულიერისა ორშაბათსა. ხუედრნი. უგალობდითსა. მონებისა. ბრწყინავს წინა. სხუანი. სასწაულითა. კრძალვად ჭამა...“ აშიაზე მიწერილია იოსების და თეოდორეს ავტორობის აღმნიშვნელი მონოგრამები. მსგავსი მითითებები საგალობლებსა და მათ ავტორებზე შესულია გეორგ-5-ის II ნაწილში დიდმარხევის თითოეულ დღეზე. მათმა შესწავლამ ცხადყო, რომ უკელა შემთხვევაში მითითებულია შესაბამისი საგალობლები გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანიდან. ასე მაგ. შეულიერის ორშაბათს გეორგ-5-ის I ნაწილში, მცირე ფორმის საგალობლებთან ერთად, დადგებულია სამი სამსაგალობლელი: „ქმადვ ა. მონებისა მისგან. – ბრწყინავს წინადღესასწაული...“, „ორშაბათსავე სხუანი ხუედრნი. ქმად ა. სასწაულითა. – კრძალვად ჭამადთავა...“ I მათგანის გასწერივ მიწერილია ავტორი - „იოსებ“, II და III სამსაგალობლებთან კი, შესაბამისად, „ანტონი“ და „თეოდორე“. გეორგ-5-

ის II ნაწილში არსებული შენიშვნა „უგალობდითსა, მონაცემის ნებისა. ბრწყინვას წინა“ სწორედ იოსების გეორგ-5-ის ნაწილში დაცულ სამსაგალობელს გულისხმობს. ამის შემდეგ გეორგ-5-ის II ნაწილში გვაქვს ამგვარი მითითება: „სხუანი. სასწავლითა, კრძალვად ჭამა.“ ამ მითითებაში კი, როგორც ირკვევა, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში ამავე დღეს დაცული თეოდორე სტუდიულის სამსაგალობელი იგულისხმება.

გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში შეულ სამსაგალობლებზე მითითების შემდეგ გეორგ-5-ის II ნაწილში მოდის 2 მცირე ფორმის საგალობელი სრული ტექსტებით და კვლავ მითითება: „წარდგომანი. ჭმავ დ გ ი. ედემი. – სიტყუაო ღმრთისაო და ერთი შედეგი არავ დააკლდისა ზედა.“ ამ მასალის შესწავლამ ცხადყო, რომ ამ შემთხვევაშიც მითითებულია გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანი. კერძოდ, ყველიერის სამშაბათის მწუხარზე გეორგ-5-ის I ნაწილში დაცულია 3 მცირე ფორმის საგალობელი: „ჭმავ ა. შენ სიტყუავ დ. – ვითარცა მომატყუებელი....“, „სხუანი. ჭმაი ბ. მამისაგან შობ. – რომელმან ესე მოვიწიენით...“ და „სხუანი. ჭმავ ბ გ ი. უფალო, საჭისენებელსა მ. – უფალო, აურაცხელი მოწყდებითა...“ აღნიშნულ სტიქარონებს მოსდევს „წარდგომანი. ედემთა ზედა. – სიტყუაო ღმრთისაო ყოვლად ძლიერო...“ და „სხუანი. არავ დააკლდი. – ნიჭი მარხვისაო ძმანო...“ გეორგ-5-ის II ნაწილში, როგორც ვხედავთ, მითითებულია სწორედ ეს „წარდგომანი“ და მისი მომდევნო „სხუანი“ ძლისპირითურთ („არავ დააკლდისა ზედა“).

როგორც აღვნიშნეთ, ეს მასალა ტიპურია გეორგ-5-ისათვის. აქ დიდმარხების თითოეულ დღეზე მოცემულია რამდენიმე სიტყვისაგან შემდგარი მითითებები გიორგის მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში შესაბამისი დღუებზე დადებულ სამსაგალობლებზე, ოთხსაგალობლებზე, კანონებსა და სტიქარონებზე ავტორობის აღნიშვნელი მონოგრამებითურთ. ეს მითითებები და რაც მთავარია, თვით გეორგ-5-ის II ნაწილის შესწავლა მოწმობს, რომ ჩვენს წინაშეა ქართული მარხვანის ახალი რედაქცია, რო-

მელიც შედგენილია გიორგი მთაწმიდელის მიერაცხვა
აგტოგრაფულ მარხვანთან კომპილაციური მიერაცხვა
არის შემთხვევები, როდესაც გეორგ.5-ის მეორე ნაწილში
ახალი თარგმანითაა მოტანილი სამსაგალობლები, ოთ-
ხსაგალობლები, კანონები და თვით უმნიშვნელოვანები
ლიტერგიული განგებებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ მითითებები გიორგი მთაწმი-
დელის ავტოგრაფულ მარხვანზე გამოირჩევა დიდი სი-
ზუსტით. გეორგ.5-ის II ნაწილში დაცული მითითებები
ტექსტობრივად ყოველთვის ზუსტად ემთხვევა გიორგი
მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში დაცული შესაბა-
ძისი საგალობლების დასაწყისებს. ასეთივე დიდი სიზუს-
ტეა დაცული ავტორებზე მითითებებშიც. გიორგი მთაწ-
მიდელის ავტოგრაფული მარხვანი გამოირჩევა ამ თვალ-
საზრისით. აქ ხშირად გვხვდება კომპილაციური საგა-
ლობლები, რომლებიც რამდენიმე ავტორს აერთიანებს.
გეორგ. 5-ის II ნაწილში ყოველთვის უკიდურესი სიზუს-
ტითაა მითითებული გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ
მარხვანში დაცული შესაბაძის საგალობელთა ავტორო-
ბის აღმნიშვნელი მონოგრამები.

ყურადღებას იმსახურებს შემდეგი გარემოებაც. რო-
გორც ზემოთ აღვნიშვნეთ, ყველიერის სამშაბათის მწუხ-
რზე გეორგ.5-ის II ნაწილში დაცულია ამგვარი მითითება:
„წარდგომანი. ჭმად გ გ 0. ედემი. – სიტყუა დმრთისა და
ერთი შედეგი არა დააკლდისა ზედა.“ აქ, ხვეულებისა-
მებრ, ზუსტადაა მითითებული გიორგი მთაწმიდელის ავ-
ტოგრაფულ მარხვანში დაცული წარდგომანი და მისი
მომდევნო სხუანი ძლისპირითურთ. ამ მითითებაში ყუ-
რადღებას იმსახურებს ტერმინი „ერთი შედეგი“.

ტერმინი „შედეგი“ გეორგ.5-ის II ნაწილში ხშირად
გვხვდება. ასე მაგ. ყველიერის სამშაბათის მწუხარზე გუ-
ორგ. 5-ის II ნაწილში დაცულია შემდეგი მითითება:
„სამშაბათსა. მწუხარი. ჭმად დ. მცნეო. მოწევნილი ესე და
ორნი შედეგნი.“ შემდეგ კალავ მითითება: „სხუანი. მოვე-
დით. აღვი. - მოწევნასა ამას და ორნი შედეგნი.“ ამ შემ-
თხვევაშიც მითითებულია გიორგი მთაწმიდელის ავტოგ-
რაფული მარხვანი, სადაც ყველიერის სამშაბათის მწუხა-

რზე დადებულია 3 მცირე ფორმის საგალობელი: „ვე: დაღადყავსა. ვმავ დ. მქნეონი. – მოწევნული ესე მარხვავ...“, „სხუანი. ვმავ ა გ“ ი. რაჟამს შევიდეს. – რომელი ნებით... სხუანი. მოვედით, აღვი. – მოწევნასა ამას ყოვლად უბიწოდსა მარხვისასა...“ როგორც ვხედავთ, გეორგ. 5-ის II ნაწილში ზუსტადაა მითითებული გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში შესაბამის დღეს (ყველიერის სამშაბათის მწუხრი) დადებული 2 მცირე ფორმის საგალობელი. I მათგანი - „მქნეონი. მოწევნული ესე მარხვავ“ გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში 3 ტროპარისაგან შედგება. 3 ტროპარისაგან შედგება მისი მომდევნო „სხუანიც“: „მოვედით, აღვი. – მოწევნასა ამას...“

გეორგ. 5-ის II ნაწილში I მათგანზე მითითებას - „ვმავ დ. მქნეონი. – მოწევნული ესე“ ერთვის შენიშვნა: „და ორნი შედეგნი.“ როგორც ჩანს, იგულისხმება აღნიშნული სიტყვებით დაწყებული ტროპარის მომდევნო 2 ტროპარი. ანალოგიური ვთარებაა გეორგ. 5-ში დაცულ II მითითებაშიც: „სხუანი. მოვედით, აღვი. – მოწევნასა ამას და ორნი შედეგნი“. აქაც ტერმინში „ორნი შედეგნი“, როგორც ირკვევა, იგულისხმება აღნიშნული სიტყვებით დაწყებული ტროპარის მომდევნო 2 ტროპარი.

ანალოგიური მდგომარეობაა გეორგ. 5-ის II ნაწილში დაცულ მოელ პიმნოგრაფიულ მასალაში. ტერმინი „შედეგი“ გულისხმობს მომდევნო, „შემდეგ“ ტროპარს და იმის შესაბამისად, თუ რამდენი ტროპარი მოსდევს გმორგ. 5-ის II ნაწილში დასაწყისი სიტყვებით მითითებულ ტროპარს გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში, გვხვდება შენიშვნები: „ორნი, სამნი, ოთხნი და ა.შ. შედეგნი“.

გარდა იმისა, რომ აღნიშნული თვალსაზრისით გმორგ. 5-ის I და II ნაწილების შედარება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ტერმინ „შედეგნის“ მნიშვნელობა, ირკვევა ისიც, თუ რა მაქსიმალური სიზუსტით უთითებს გეორგ. 5-ის II ნაწილის შემდგენელი გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანს.

გეორგ. 5-ის II ნაწილში ხშირად გვხვდება უშეალო
მითითებებიც ამოსავალ მარხვანზე. ასე მაგ. უძღვები შვილის კერიაკის განგებას ერთვის ასეთი სათაური: „წორ-
ციელისა. უძღვებისა ყოველივე ზემოთ პპორთ.“ ანალოგი-
ური შენიშვნა გვხვდება ჭორციელის შაბათის განგება-
შიც. ყველიერის პარასკევს გეორგ. 5-ის II ნაწილში მი-
თითებულია „ხევდორნი“. მითითების გასწვრივ მიწერილია
ავტორი - „თეოდორე“; შემდეგ მოდის შენიშვნა: „მარხვა-
თა შინა პპოვნე ზემოთ...“ ყველა ამ შემთხვევაში მითი-
თებულია გეორგ. 5-ის I ნაწილში შესაბამის დღეებზე
სრული ტექსტებით შესული საგალობლები. ასევე ხშირია
მითითებები: „მარხვათა პპოვნე“, „მარხვათა შინა პპოვ-
ნე...“ იმას, თუ რა დიდი სიზუსტითაა მითითებული გე-
ორგ. 5-ის II ნაწილში გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფუ-
ლი მარხვანი, მოწმობს შემდეგი გარემოებაც: ყველიერის
ხუთშაბათს გეორგ. 5-ის II ნაწილში მითითებულია 2 სამ-
საგალობელი ავტორებითურთ (იოსებ, თეოდორე), შემდეგ
კი მოდის ასეთი შენიშვნა: „სხუა ყოველივე ამისთა სტი-
ქარონი ქუმოთ მონახენ. ესე ზემოთ ოთხი ფურცელი
აკლდა და მე დავწერე სტიქარონთა თანა.“ მაშასადამე,
ამ შენიშვნის თანახმად, ამოსავალ მარხვანს შესაბამის
ადგილას 4 ფურცელი კლებია. მართლაც, გეორგ. 5-ის I
ნაწილში ამ ადგილას გამოტოვებულია 4 ფურცელი. სწო-
რედ ამას გულისხმობს გეორგ. 5-ის II ნაწილის შემდგა-
ნელი, როცა აღნიშნავს: „ესე ზემოთ ოთხი ფურცელი
აკლდაო.“

იმ შემთხვევაში, როცა გიორგი მთაწმიდელის ავ-
ტოგრაფულ მარხვანში დაცული მასალა აკმაყოფილებს
მარხვანის ახალი რედაქციის შემდგენელს, იგი იძლევა
მითითებებს ამოსავალ მარხვანზე. იმ შემთხვევაში კი,
როცა გეორგ. 5-ის I ნაწილში დაცული საგალობლები
არ ემთხვევა ბერძნულ მარხვანებს, მას შემოაქვს ახალი
საგალობლები, რომლებიც ყოველთვის სრული ტექსტები-
თაა მოტანილი.

გეორგ. 5-ის II ნაწილში დაცულ შენიშვნებში მითი-
თებულია ამოსავალი ბერძნული მარხვანიც. ასე მაგ.
დიდმარხვის I შაბათს გეორგ. 5-ის II ნაწილში დადგებუ-

ლია 14 მცირე ფორმის საგალობელი. აქედან 5 გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანშიცაა შესული. დართლია ამიტომ მათზე მხოლოდ მითითებები გვხვდება, 9 სტიპარონი კი ახლადაა თარგმნილი ბერძნულიდან და ამიტომ მოტანილია სრული ტექსტებით. მცირე ფორმის საგალობლებს მოსდევს მითითება თეოდორე ტირონისადმი მიძღვნილ კანონზე: „უგალობდითსა. ვმავ დ გ ი. ქუეყანასა მწყურ. – უწყი ტრუიალებად შენი...“ მითითების გასწვრივ მიწერილია ავტორი – იოანე. ამ კანონის სრული ტექსტი შესულია გეორგ. 5-ის I ნაწილში. მარხვანის ახალ რედაქციაში მას ერთვის ასეთი შენიშვნა: „ესე გალობანი მარხვათა ჰპოვნე. მონ ბოლოსა დმრთისმშობლისანი სწერიან და აქა არა ეწერნეს.“ მართლაც, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში ამ კანონის თოთვეულ ოდას ერთვის დმრთისმშობლისანი, გეორგ. 5-ის II ნაწილის შემდგენლისათვის ამოსავალ ბერძნულ მარხვანში კი, როგორც ჩანს, ეს ტროპარები არ ეწერა, რაც საგანგებოდაა აღნიშნული: „და აქა არა ეწერნეს“. ანალოგიური შენიშვნაა დართული თეოდორე ტირონისადმი მიძღვნილ II კანონზეც, ასევე დიდმარხვის V კვირიაკეს მითითებულ კანონზე და ა.შ. როგორც ჩანს, მარხვანის ახალი რედაქციის შედეგენის დროისათვის ბერძნულ მარხვანებში, კანონის ოდების ბოლოს, დმრთისმშობლისანებზე მითითებები უკვე ადარ იყო დაცული.

დიდმარხვის III კვირიაკეს გეორგ. 5-ის II ნაწილში მითითებული კანონი: „უგალობდითსა. ვმავ ა. დღესა მას. - წინაათვე გამოსახა...“ მითითების გასწვრივ მიწერილია ავტორი – თეოდორე. შემდეგ ტექსტშივე ჩართულია შენიშვნა: „ესე გალობანი მარხვათა შინა ჰპოვნე და მოიხილე აქაცა ეწერა და მონცა სწერია.“ „აქაცა“ ამოსავალ ბერძნულ მარხვანს გულისხმობს, „მონცა“ კი – გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანს.

მხატვესი მითითებები გეორგ. 5-ის II ნაწილში ხშირად გვხვდება. მარხვანის ამ რედაქციის შემდგენელი დიდი სიზუსტით უთითებს, აქვს ოუ არა ამოსავალ ბერძნულ მარხვანში დაცულ კანონებს დმრთისმშობლისანი, მოიხილესა და ა.შ.

ამრიგად, მარხვანის ახალი რედაქციის 2 ძირითადი წყარო თანამედროვე ბერძნული მარხვანი და გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანი, რომელთანაც აზროვნების მიმდევადა დაკავშირებული. ეს მჭიდრო კავშირი, მრავალრიცხვანი მითითებები „ზემოთ“ დაცულ მარხვანზე, რომელთან კომპილაციითაცაა შედგენილი მარხვანის ახალი რედაქცია, გვაფიქრებინებს, რომ მისი შეძლებენელიც უნდა იყოს. ამას მოწმობს შემდეგი გარემოებაც: გეორგ. 5-ის I ნაწილში დაცული გიორგი მთაწმიდელის ანდერძის მიხედვით, მას „სრულებით“ უთარგმნია მარხვანი და ზატიკი: „... ვინათვან კულა სახიერებამან ღმრთისამან ღირს-მყო მე გლახაკი გიორგი ხუცეს-მონაზონი მარხვათა და ზატიკთა სრულებით თარგმნად და წიგნი შეპმზადა განმანათლებელი კათოლიკე ეკლესიისათვის, რომელ ჰეშმარიტად სწორი ამისი არცა ბერძენთა თანადა იპოვების, არცა ქართველთა, მაშა შეუძლებელ იყო ჩუქნგან ნაკლულებანებისა რაღმე დატეობად...“ მაშასადამე, მარხვანი და ზატიკი, რომელიც გიორგის „სრულებით“ უთარგმნია, ერთ წიგნად ყოფილა. გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანი მოთავსებულია გეორგ. 5-ის I ნაწილში (1 - 216). ანდერძის მიხედვით, აქვე უნდა იყოს მოთავსებული მისივე რედაქციის ზატიკიც. მართლაც, 214r-დან სათაურით „ბრწყინვალესა აღვსებასა“ იწყება აღდგომის პერიოდის მასალა – მცირე ფორმის საგალობლები და კანონი „ჭმავ ა. – დღესა მას აღდგომისასა“, რომლის დასაწყისის გასწვრივ მითითებულია ავტორი – იოანე. კანონის ბოლოს დართულია შენიშვნა, რომელიც თავად გიორგი მთაწმიდელს ეკუთვნის: „იგივე გალობანი ჩუქნისა უნდომასა გულისკმის-ყოფისაებრ ორნივე წინაშე დაუსხმანილა, რომელნიცა ჯერ-გიჩნდენ, გალობდით“ და მოტანილია იგივე კანონის სხვა თარგმანი, რომელიც თავად გიორგი მთაწმიდელს უნდა ეკუთვნოდეს. ეს თარგმანი მოუღლოდნელად წყდება VI ოდაზე („დაღაბყავსა“), კერძოდ მის პირველივე სტრიქონზე ისე, რომ ფრაზაც კი არ არის დამთავრებული. ამრიგად, გეორგ. 5-ის I ნაწილი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო

ერთი მთლიანი ხელნაწერი, რომელიც მარხვანთან გურიაშვილის თად, შეიცავდა გიორგი მთაწმიდელის რედაქციის ტაბულის. გეორგ. 5 ხელნაწერის რედაქტორს, რომელიც სამარხვო კრებულის შექმნას ისახავდა მიზნად, გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვან - ზატიქიძან მხოლოდ I ნაწილი ჭირდებოდა. ზატიქის ნაწილის შემორჩენა კი განპირობებული უნდა იყოს იმ გარემოებით, რომ ეს მასალა შესულია ხელნაწერის I ნაწილის 28-ე („კზ“) რვეულის შემადგენლობაში. ამავე რვეულის პირველ სამ ფურცელზე კი მოთავსებულია მარხვანის მასალა. გეორგ. 5-ის რედაქტორს, სამარხვო კრებულის შედგენის დროს, როგორც ჩანს, გიორგის რედაქციის მარხვანის შემცველი უკანასკნელი რვეული არ დაუშლია, რადგან ამ შემთხვევაში კრებულის აკინძვა გაძნელდებოდა. ამან კი გამოიწვია ზატიქის შემცველი მასალის „გადაყოლა“ გიორგი მთაწმიდელის მარხვან - ზატიქიძან გეორგ. 5-ის შემადგენლობაში.

გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანი გმორგ. 5-ის შემდგენლისთვის, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო იმიტომ, რომ მასთან კომპილაციითაა შედგენილი მარხვანის მომდევნო რედაქცია. ამრიგად, გეორგ. 5 ხელნაწერის შემდგენელ-რედაქტორი იგივე პირი უნდა იყოს, ვინც შეადგინა ამავე ხელნაწერის II ნაწილში დაცული მარხვანის ახალი რედაქცია. გეორგ. 5 ხელნაწერი მაშინ უნდა იყოს შედგენილი, როცა კავშირი მასში დაცულ მარხვანის 2 რედაქციას შორის უმჯიდროესია ანუ როცა გეორგ. 5-ის II ნაწილში დაცული მარხვანი ახალი შედგენილია და ჯერ კიდევ მითითებებით კაბულით დაგიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანზე. შემდგომში, ბუნებრივია, ეს კავშირი ასე ცხადი აღარაა და გიორგი მთაწმიდელის მარხვანიდან აღებული რეპერტუარი უშუალოდ, სრული ტექსტებითაა შესული მარხვანის ახალი რედაქციის შემცველ სხვა ხელნაწერებში (სინ. 70, იერ. 67, პ. 147, პ. 446 და ა.შ.). სად და ვის მიერ უნდა იყოს შედგენილი მარხვანის ახალი რედაქცია?

გეორგ. 5-ის II ნაწილში დაცულ კრცელ პიმორგრაფიულ რეპერტუარში ხაზგასმით მოიხსენიება XI ს-ის დი-

დი ქართველი მოღვაწისა და მთარგმნელის – ეფრემ მცირის სახელი. ხელნაწერის ამ ნაწილში გამოვლინდა ეფრემის რემ მცირის უცნობი თარგმანი: „გალობანი გოდებისათვეს დმრთისმშობელისა დაფლვასა ზედა დმრთივგუამოვანთა ქორცთა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა გოლგოთას.“ იგი დადგებულია დიდმარხევის უმნიშვნელოვანეს დღეზე – კარის პარასკევს. კანონის დასაწყისის გასწერივ მითითებულია ავტორი და ქართულ ენაზე მთარგმნელი: „თეოფანე. თარგმანი ეფრემ.“ იგი ახლებური სახით წარმოგვიდგნენს ეფრემს, როგორც საგალობელთა მთარგმნელს. ეფრემის ამ თარგმანს ფართო გავრცელება მიუღია შემდგომდონინდელ ქართულ მწერლობაში (ხაჩიძე 2000: 140-158).

ეფრემ მცირის სახელი გეორგ. 5-ის II ნაწილში მოიხსენიება ქრისტიანულ ეკლესიაში საყოველთაოდ ცნობილ საგალობელთან – იოანე დამასკელის „აღდგომის კანონთან“ დაკავშირებითაც. ამ კანონის თარგმანს, რომელიც ხელნაწერის 273v - 275r-ზეა მოთავსებული, ახლავს შემდეგი სათაური: „ახლად თარგმნილნი უსაკუთრებითა სიტყვთა ეფრემის მიერ ბრძანებითა ბერისა ანგონი ტბელისათა.“ ეფრემის ეს თარგმანი K 79 ხელნაწერში მითითებული აქვს პ. კაპელიძესაც (კაპელიძე 1980: 268). ეფრემამდე იგი პ-ჯერ უთარგმნიათ ქართულად. „აღდგომის კანონის“ ქართული თარგმანები შესწავლილია ჩვენს მიერ (ხაჩიძე 2000: 127-139). აქ აღვნიშვნავთ მხოლოდ ომას, რომ ეფრემის მიზანია „უსაკუთრებითა სიტყვთა“ - ზედმიწევნით, სიტყვასიტყვით თარგმნა. ამ პრინციპითაა შედგენილი თვით მარხვანის ახალი რედაქციაც.

გეორგ. 5-ის II ნაწილში ახალი თარგმანითაა შესული „ფერგთაბანის განგებაც“ (280r - 281r). დიდმარხევის ლიტერატურის ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ეფრემის მიერ უნდა იყოს თარგმნილი. თარგმანის ხასიათთან ერთად, ამას მოწმობს შემდეგი გარემოებაც. იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“, ეფრემის სხვა თარგმანებთან ერთად, დასახელებულია „ეთიმონი“, რომელსაც პ. კაპელიძე მიიჩნევს „დიდი სერობის“ შედეგად: „ეს სიტყვა

F 92.719

ქართული გამოთქმაა ბერძნული კეთ ტერიტორიაზე და რომლითაც 1980-ის იწყება დიდი სერობის პიმი: „ჩუქუნთანა არს ღმერთი, რომ და იძლიერით“ (კავკასიი 1980: 268). სცანო წარმართოთა და იძლიერით“ (კავკასიი 1980: 268).

აქ, სხვა ნაწილებთან ერთად, „ფერწობის განგებაც“ უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც დიდი სერობის შემდეგ სრულდება. საინტერესოა, რომ დიდი ხუთშაბათისათვის განკუთვნილი მასალა საანალიზო მარხვანში კრცელია და, ძირითადად, ახლადა თარგმნილი ბერძნულიდან.

ქართულ ხელნაწერებში დაცულია „ფერწობის განგების“ რამდენიმე თარგმანი, რომელთაგან ერთ-ერთი გიორგი მთაწმიდელს ეკუთვნის. ეფრემ მცირქის, როგორც ჩანს, ხელახლა უთარგმნია იგი.

„ქალმასობაში“ დაცული ცნობა უურადღებას იმსახურებს თვით იოანე ბატონიშვილისეული განმარტების თვალსაზრისით. მისი სიტყვით, ეფრემ მცირქის უთარგმნია „დიდმარხვის სამწუხრო მსახურება ეკლესიისა.“ ამრიგად, ეფრემს უთარგმნია დიდმარხვის მოელი პერიოდის მანძილზე შესასრულებელი „სამწუხრო მსახურება“.

გეორგ. 5-ის II ნაწილში დაცული მარხვანის რიგ სიახლეებს შორის ერთ-ერთი უმთავრესია მცირქ ფორმის საგალობელთა - სტიქარონების კრცელი რეპერტუარი. მარხვანის ამ რედაქციის შემდგენელს საგანგებო მუშაობა ჩაუტარებია სწორედ მცირქ ფორმის საგალობელთა რეპერტუარის სათარგმნელად. ამ სტიქარონთა შორისაა „თვთძლისპირი“ სტიქარონებიც, რომელთა თარგმნა დიდი სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მცირქ ფორმის საგალობელთა ახალი რეპერტუარით შექსება მარხვანის ამ ცნობაში ასახლი რეპერტუარით თავისებურებაა. მცირქ ფორმის სარედაქციის ერთ-ერთი თავისებურებაა. მცირქ ფორმის საგალობლები კი ძირითადი ელემენტია დიდმარხვის სამწუხრო მსახურებისა. ამრიგად, იოანე ბატონიშვილის ამ წუხრო მსახურებისა. ამრიგად, იოანე ბატონიშვილის ასახული უნდა იყოს ეფრემ მცირქის ლგაწლი ცნობაში ასახული უნდა იყოს ეფრემ მცირქის ლგაწლი სამწუხრო მსახურების სრულყოფაში ანუ მცირქ ფორმის საგალობელთა ახალი რეპერტუარის შემოტანაში.

გეორგ. 5-ის II ნაწილში ეფრემის სახელით წარწერილი თარგმანების შედარება სრული ტექსტებით წარმოდგენილ სხვა საგალობლებთან მოწმობს, რომ მათი

ქართულ ენაზე თარგმნაც ეფრემ მცირის სახელს უნდა უკავშირდებოდეს.

ანალოგიური ვითარებაა ქართული მარხვანის წინადროინდელ რედაქციებშიც – სინ.5 - სინ.75 ხელნაწერებსა და გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანში. აქაც მთარგმნელთა სახელები მხოლოდ რამდენიმე საგალობელთანაა მითითებული. ამ თარგმანთა თავისებურჯები კი სხვა საგალობელთა მთარგმნელების დადგენის საშუალებას იძლევა.

გეორგ. 5-ის II ნაწილი ავტოგრაფიდან უშუალოდ გადაწერილი პირი უნდა იყოს, რადგან აქ ჯერ კიდევ მხოლოდ მითითებებია დაცული გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანზე. მარხვანის ახალი რედაქცია შესული აღმოჩნდა რიგ ქართულ ხელნაწერებში – სინ.70, იქრ.67, A 147, A 446 და ა.შ. კავკასიანი ამ ხელნაწერში გეორგ. 5-ის II ნაწილში მითითებული საგალობლები უკვე სრული ტექსტებითაა წარმოდგენილი.

ორანე დამასკელის „აღდგომის კანონზე“ დართულ სათაურში მოიხსენიება ანტონ ტბელი. ანტონ ტბელი, საბა თუხარელთან ერთად, მოიხსენიება ეფრემის სხვა თარგმანებთან დაკავშირებითაც (კავკასიანი 1960: 263; ბლუკი 1926: 165).

გეორგ. 5-ის II ნაწილში გვხვდება არსენ იყალთოელის სახელიც: კერძოდ, აქ დაცულია არსენის 2 თარგმანი: კორციელის კვირიაკისათვის განკუთვნილი თეოდორე სტუდიელის ქანონი, რომელიც მას ხელახლა „შეუდარებია“ ბერძნულთან და ანდრეა კრიტელის „დიდნი გალობანი“. ამ უკანასკნელს ახლავს არსენის ანდერძი, რომელიც წვრილი ასოებითაა შემდგომში მიწერილი, ჩამატებული (248v).

XI ს-ის 80-იანი წლებიდან არსენ იყალთოელს მოდგაწეობა დაუწყია შავ მთაზე, ეფრემ მცირის იქ ყოფნისას (კავკასიანი 1980: 273). იგი იხსენიება ეფრემის „მზრდელთა და მსახურთა“ რიცხვში. ეფრემის ხელმძღვანელობით ეუფლებოდა არსენი მთარგმნელობით ხელოვნებას. ეფრემი თავის თავს არსენის მოძღვრად მოიხსენიებს. ეფრემ მცირის გარდაცვალების შემდეგ არსენს დაუტოვებია შავი

მთა და დაბრუნებულა მანგანის მონასტერში (კეკმლიძე 1980: 273-274). საინტერესოა, რომ არსენის სახელი უკვე შეიცვლილია „სამოციქულოსა“ და იოანე დამასკელის „გარდამოცემას“ (კეკმლიძე 1980: 273). მარხვანის ახალ რედაქციაშიც შესულია ეფრემის მოწაფისა და თანამოაზრის – არსენ იყალთოელის თარგმანები, მთარგმნელზე მითითებით.

ამრიგად, გეორგ. 5-ის II ნაწილი ეფრემ მცირის მოერ შედგენილი უნდა იყოს შავ მთაზე XI ს-ის 80-იან წლებში. შავ მთაზე არსებობდა მძლავრი საღიტერატურო სკოლა, რომლის წარმომადგენლები მიზანმიმართულად, თავგამოდებით იდგწოდნენ ქართული კულტურის განვითარებისათვის. შავი მთა ეფრემს სიკვდილამდე არ დაუტოვებია (კეკმლიძე 1980: 253).

უფრო ადრე შავ მთაზე მოღვაწეობდა გიორგი მთაწმიდელიც. სწორედ აქ დაემოწაფა იგი თავის მოძღვარს – გიორგი შეენებულს. იერუსალიმიდან დაბრუნების შემდეგ გაც შავ მთაზე დაბრუნდა იგი თავის მოძღვართან. განსაკუთრებით ნაყოფიერად მოღვაწეობდა შავ მთაზე ათონის დატოვების შემდეგ. სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული ახალი ეტაპი შავ მთაზე ქართველთა მოღვაწეობის ისტორიაში: „შავი მთის ქართველთა კერა XI ს-ის I ნახევრიდანვე, იმის შემდეგ, რაც იქ დამკვიდრდა გიორგი მთაწმიდელი, ქართველებს დიდად იზიდავდა. შეიძლება ითქვას, რომ შავი მთის სამწერლობო კერის ლიტერატურულ სკოლად გადაქცევა სწორედ გიორგი მთაწმიდელის სახელთანაა დაკავშირებული (მეტრევალი 1959: 115). აქ უნდა შეეძინა მას მარხვანის ახალი, ვრცელი რედაქცია.

ერთადერთი ადგილი, სადაც იკვეთება გეორგიკა 5-თან დაკავშირებული სამი დიდი ქართველი მოღვაწის – გიორგი მთაწმიდელის, ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის გზები, შავი ანუ საკვირველი მთაა. სწორედ აქ უნდა იყოს შექმნილი ქართული მარხვანის 2 რედაქცია და თვით უნიკალური ქართული ხელნაწერი – გეორგიკა 5, რომელსაც თავისებური გზა უნდა გაევლო, სანამ პა-

თავი II

ეფრემ მცირის ოდაქციის მარხვანის სიახლენი

სიახლენი, რომელიც მარხვანის ახალი ოდაქციის შემდგენელს უკავშირდება, მოიცავს ყველას სახის საგალობელს – კანონებს, სამსაგალობლებსა და სტიქარონებს. ამას ემატება ლიტურგიკული განგებები, კერძოდ, დიდი ხუთშაბათის „ვერტოგანის განგება“, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეფრემ მცირის მიერ უნდა იყოს თარგმნილი. ეფრემსვე უნდა ეკუთვნოდეს „დიდი პარასკევის განგების“ ახალი თარგმანიც, რომელიც გეორგ-5-ის II ხაწილში ხრული ტექსტითაა მოტანილი, აგრეთვე ითანეს თავისკვეთის არასრული განგება, რომელიც ხელნაწერის ბოლოსაა მოტანილი. ეს განგებები, განსაკუთრებით კი „დიდი პარასკევის განგება“ დიდმარხვის ლიტურგიის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს და მათ შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს. წინამდებარებაში მათ საგანგებოდ არ ვეხებით, რადგან სამივე მათგანი ლიტურგიის სფეროს მიეკუთვნება, ჩვენი მიზანი კი ამჯერად ეფრემ მცირის მოღვაწეობის შესწავლაა უშუალოდ პიმნოგრაფიის სფეროში.

ეფრემ მცირის ოდაქციის მარხვანში შესულ ახალ საგალობლებს განვიხილავთ პოეტური ფორმების მიხედვთ.

როგორც ცნობილია, ბიზანტიური პიმნოგრაფიის II – კონსტანტინოპოლური პერიოდი ხასიათდება ახალი პოეტური ფორმის – კანონის შემოტანით და დამკვიდრებით, რომელსაც, კონდაკთან შედარებით, მეტი სტრუქტურული მრავალფეროვნება და მოცულობა ახასიათებს. პიმნოგრაფიული კანონის გენეზისი შესწავლილია ე. უელეშის მიერ (უელეში 1980). საეკლესიო პოეზიის ცნობილი მკვლევარის – ჯ. ბ. პიტრას სიტყვით, კანონთა ავტორებს

მოღვაწეობა უხდებოდათ ხატმბრძოლობის მძიმე პერიოდში. მათ გამუდმებით ემუქრებოდათ დევნა, სამშობლოდან გადახვეწა და სიკვდილი, ამიტომ ნაკლებად ზრუნავდნენ საგალობელთა დახვეწაზე. მათ „მკაცრ და მგზნებარე“ ნაწარმოებებში იგრძნობა პირქუში სული ეპოქისა.

მარხვანის ახალი რედაქცია შეიცავს 6 პიმნოგრაფიულ კანონს, რომლებიც ახლადაა თარგმნილი ბერძნულიდან და, შესაბამისად, მოტანილია სრული ტექსტებით, წარმოვადგენთ მათ ნუსხას გეორგ. 5-ის II ნაწილის მიხედვით:

1. კორციელისა კრიიაქსა. გალობანი მეორედ მოსვლისანი. შედარებულნი თარგმნილნი. არსენი. გალობადა ა. შემწე და მჭ. – დღესა განსაკრთომელსა...“ 218v-219v.

2. მეხუთესა ხუთშაბათსა. გალობადა ა. უგალობდეთ უფალსა, რამეთუ. – ვინავ ვიწყო მე... 238v-248v.

დასაწყისთან აშია დაზიანებულია. ესაა ანდრეა კრიტელის „დიდნი გალობანის“ არსენ იყალთოელისეული თარგმანი. თარგმანს ერთვის წვრილი ასოებით მიწერილი არსენის ანდერძი.

3. გალობანი ბზობისანი, რომელთა თავნი იტყვან ბერძულებრ: „ოსანნა, ქრისტე, კურთხეულ დმერთი“. ვმავ დ. გალობადა ა. – იხილვნეს უფსერული წყარონი...“ 255r-256v.

დასაწყისთან აშიაზე მიწერილია ავტორი - „კოზმან“. დასაწყისთან აშიაზე მიწერილია ავტორი - „კოზმან“.

4. გალობანი წმიდისა და დიდისა ხუთშაბათისანი, რომელთა თავნი იტყვან ბერძულებრ: „გრძელსა მეხუთესა გრძელსა გალობასა ვგალობ.“ ვმავ ბ გ ი. გალობადა ა. – მოკვეთილი ჰკუეთს მეწამულსა...“ 263v-265r.

დასაწყისთან აშიაზე მიწერილი ავტორი – კოზმან მონაზორი.

5. გალობანი გოდებისათვე ღმრთისმშობელისა დაფლვასა ზედა ღმრთივგუამოვანთა კორცოა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა გოლგოთას. ბერძენნი დიდისა პარასკევისა მწუხრსა სერობისად იტყვან და საეკლესიო მიმწუხრისანი არიან, ხოლო თავის წინა – ოდესცა



ვის სთნდეს. ვმავ ბ გ-ი; გალობავ ა. ზღუავ მეწამულებუროვანები დაბადებულთა შენთა ცხოვნებავ.“ 269r-270r.

დასასწისთან აშიაზე მიწერილია „თეოფანე, თარგმანი ეფრემ“.

6. აღვეხისა კურიაკესა. ახლად თარგმნილი უსაკუთრესითა სიტყვთა ეფრემის მიერ ბრძანებითა ბერისა ანგონი ტბელისადთა, გალობავ ა. აღდგომისა დღე არს... 273v-275r.

როგორც ჩანს, მარხვანის ამ რედაქციისათვის დამახასიათებელია ახლად თარგმნილ კანონებზე სათაურების დართვა, სადაც მითითებულია ამ თარგმანების ხასიათი („შედარებულნი“, „უსაკუთრესითა სიტყვთა“), მთარგმნებები (არსენი, თარგმანი ეფრემ), აკროსტიქები, კანონის შესრულების ლიტურგიკული წესი, აღდგომის კანონზე დართულ სათაურში კი დასახელებებულია თარგმანის შემკვეთიც. როგორც წესი, კანონების დასასწისების გასწვრივ მითითებულია მათი ავტორებიც. რაც შეეხება კორციელის კვირიაკის კანონს და „დიდნი გალობანს“, ხელნაწერში (ან ტექნიკური მიზეზების გამო ფოტოფოტოზე) დასასწისთან აშია დაზიანებულია და ავტორის აღნიშვნა არ ჩანს.

მარხვანის ახალ რედაქციაში სრული ტექსტით შესული პირველი კანონი ეკუთვნის ბიზანტიური პიმნოგრაფიის II – კონსტანტინოპოლიური პერიოდის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელს – თეოდორე სტუდიიელს. მისი მოდგაწეობა ქმნის მთელ ეპოქას, ახალ ეტაპს მარხვანის ისტორიაში. მის ადგილს ბიზანტიური პიმნოგრაფიის ისტორიაში ნათელყოფს ის გარემოებაც, რომ შემდგომდორინდელი პიმნოგრაფები, ფაქტიურად, მისი მიმდევრები და მიმბაძეებები იყვნენ. სტუდიის მონასტერი, სადაც თეოდორეს მოუხდა მოღვაწეობა, მართლმადიდებლობის ძლიერი ცენტრი იყო, განსაკუთრებით ხატმბრძოლობის პერიოდში. თეოდორე სტუდიიელი, 30 წლის ასაკში, ამ მონასტრის წინამდევრად აირჩიეს. მართლმადიდებლობის დასაცავად გაწეული ღვაწლისათვის იგი იქცა უდიდეს ავტორიტეტად ხატოავგანისმცემელთა შორის. თავისი აღმსარებლობის გამო მას მოუწია სამშობლოს

დატოვება, ტყვეობა, წამება. მართლმადიდებლურმა ეჭვავისა და სიამ იგი წმინდანად შერაცხა.

თეოდორე სტუდიელის საგალობლების მხატვრული ენა უფრო რთულია, ვიდრე რომანოზ მელოდოსისა, რომელიც მისი იდეალი იყო, მაგრამ თეოდორეს საგალობლები გამოირჩევა რელიგიური გრძნობების აღმაფრენით და სიღრმით. ე. უელეში ერთმანეთს უდარებს რომანოზისა და თეოდორეს კონდაქებს და აჩვენებს მათ დიდ მსგავსებას. აქვე იგი აღნიშნავს მეტად საგულისხმო გარემოებას, რომ ბიზანტიური სასულიერო პოეზიის აღქმა შეუძლებელია კლასიკური ან თანამედროვე პოეზიის მიხედვით: „წარმოვიდგინოთ ხატები, რომლებიც მხოლოდ მცირე დეტალებით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ფრაზეოლოგიური ცვლილებები, რომლებიც თეოდორეს შეაქვს თავის ვერსიაში, ცოტაა, მაგრამ ისინი საკმაოდ მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ნაწარმოები მის საკუთრებად მივიჩნიოთ“ (უელეში 1980: 230).

ანალიზიური მდგომარეობაა თეოდორეს კანონებში და, კერძოდ, კორციელის კვირიაკისათვის განკუთვნილ ჩვენთვის საინტერესო კანონშიც. ე. უელეში აქვეყნებს მისი I ოდის ბერძნულ ტექსტს ინგლისური თარგმანითურთ (უელეში 1980: 230-232). იგი აღნიშნავს, რომ დიდი მსგავსება შეინიშნება თეოდორეს ამ კანონსა და მეორედ მოსკლისადმი მიძღვნილ რომანოზ მელოდოსის ცნობილ კონდაქს შორის. ეს იმანაც განაპირობა, რომ ორივე მათგანი განკუთვნილი იყო კორციელის კვირიაკისათვის და, ამდენად, ეძღვნებოდა მეორედ მოსკლას: „თეოდორე იძულებული იყო, მიებაძა რომანოზისათვის ისეგა, როგორც რომანოზი ბაძავდა ეფრემ ასურს, თავის დიდ წინაპარს“ (უელეში: 230-232). თეოდორემ მიაღწია იმას, რომ შეძლო უკანასკნელი სამსჯავროს პოეტური ხილგა მიესადაგებინა კანონის სტრუქტურისათვის და მთელი კანონი გაფრთა უკვე არსებულ ძლისპირებზე. ე. უელეშს თანამედროვე სანოტო სისტემით აქვს გადმოცემული თეოდორეს ამ კანონის I და III ოდების მელოდია (უელეში 1980: 233-234).

ბიზანტიური პიმნოგრაფიის I პერიოდში მოღვაწე პიმნოგრაფთაოვის დამახასიათებელი იყო უმტკიცესი, უმტკიდროესი კავშირის დაცვა ბიძლიურ გალობებთან, ამის გამო კანონის ოდებს შორის კავშირი თითქმის შეუმჩნეველი იყო. სტუდიის მონასტერში მოღვაწე პიმნოგრაფების და, უპირველეს ყოვლისა, თეოდორეს მიღწევად ითვლება ის გარემოება, რომ მათ კანონი აქციეს ერთ მთლიან პოეტურ ერთეულად, რომელშიც მიზანდასახულად ვითარდებოდა ერთი იდეა.

თეოდორე სტუდიელის ეს კანონი ქართულ პიმნოგრაფიაში პირველად გვხვდება სინ. 5 და სინ. 75 ხელნაწერებში. წინადროინდელ ტრადიციაში – X ს-ის სინური იადგარებში იგი შესული არ არის, თუმცა ამავე ავტორის მარხვანისათვის განკუთვნილი სამსაგალობლები პირველად სწორედ აქ გვხვდება. თეოდორე სტუდიელის აღნიშნული კანონის თარგმნა, შესაძლოა, სინ. 5-სინ. 75 ტიპის მარხვანის შემდგენელს უკავშირდებოდეს.

როგორც ჩანს, იგი 3-ჯერ უთარგმნიათ ქართულად. გეორგ. 5-ის I ნაწილში – გიორგი მთაწმიდელი ავტოგრაფულ მარხვანში შესულია ამ კანონის II თარგმანი, სადაც სინ. 5-სინ. 75-თან შედარებით, გარკვეული ცვლილებები შეტანილი. ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში კი დაცულია ორიგინალთან მისი ხელახლა „შედარებული“ თარგმანი, რომელიც არსენ იყალთოელს ეკუთვნის. თეოდორეს ეს კანონი შესულია ბერძნული და სლავური მარხვანების არსებული პუბლიქაციებში და, ამდენად, საშუალება გვეძლევა შევისწავლოთ ქართული თარგმანების ხასიათი და მიმართება ბერძნულ ორიგინალთან. ქვემოთ მოვიტანთ კანონის I ოდის – უგალობდითსას ტექსტს სინ. 5-ის და გეორგ. 5-ში დაცული გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანის მიხედვით:

სინ. 5 გეორგ. 5

33r
უგალობდითსა. ჭმავ დ
გ ი.

8v
უგალობდითსა. ჭმავ დ გ ი.
უგალობდეთ უფალსა, რო-

უგალობდეთ უფალსა

მელმან გა.

დღესა მას საშინელსა
მოსკლისა შენისასა გუ-
ლისცმა-ვჰყოფ

დღესა მას საშინელსა
მოსლვისა შენისასა გუ-
ლისცმა-ვჰყოფ

და ვძრწი, ქრისტე მაცხო- და ვძრწი, ქრისტე მაცხო-
ვარ, რაჟამს დაშჯდე განკითხვად
რაჟამს დაშჯდე განკითხვად
ხვად ცხოველთა და მკუდართა. ცხოველთა და მკუდართა.

რაჟამს მოხვდე, ღმერთო, რაჟამს მოხვდე, ღმერთო,
ბევრეულოთა მათ თანა ან- ბევრეულოთა მათ თანა ან-
გელოზთა, გელოზთა,
ღირს-მყავ მეცა შემოხუ- ღირს-მყავ მეცა შემოხუვად
ვად
შენდა ღრუბლითა ნათლი- ღრუბლითა ნათლისათა
სათა ბრწყინვალედ. ბრწყინვალედ.

იგისენებდ, სულო ჩემო,
დღესა მას და ქამსა განსაპ-
რომელსა
მოსლვისა უფლისასა
და იგლოვდ მწარედ, რათა
იპოვო წმიდად.

შემაძრწუნებს მე ცეცხლი შემაძრწუნებს მე ცეცხლი
იგი უშრეტი და მატლი იგი უშრეტი და მატლი უძი-
უძილი
და ღრჭენად კბილთად მწა- და ღრჭენად კბილთად მწა-
რე, რე,
არამედ შენ, ქრისტე, შე- არამედ შენ, მაცხოვარ, შე-
მიწყალე მე. მიწყალე მე.

კმად შენი სანატრელი და კმად შენი სანატრელი⁶ ურთივებული
მასმინე, ქრისტე, რომლითა მასმინე, ქრისტე, რომელით
უწოდე უწოდე

წმიდათა სიხარულად, წმიდათა სიხარულად
მათ თანა ღირს-მყავ სასუ- და მათ თანა ღირს-მყავ სა-
ფეველსა შენსა.

ნუ ეძიებ სიტყუასა საქმეთა ჩემთათკს, რომელი უწყინი
და ნუ შეხუალ საშჯელსა -
და ფარულითა ჩემთასა, ქრის-
ტე მაცხოვარ.
-ის ძირმცვალის უკრძალვა სამგუამოვანო ღმერთო
სიმინდი, ძირმცვალის დაუსაბამოო, ყოვლისა
ჭრის დაუსაბამოო გუაცხოვნენ ქმნულნი შენნი,
მათიმაც მარცვანი და ძეო და სულო
მარც და გუაცხოვნენ ქმნულნი შენნი.

შენ, უქორწი მამისაგან შობილი
დე ღმრთისად ეამთა ზემთა
ბუნებისა პშევ, ქალწულო წმიდაო,
ორითა ბუნებითა - ღმერთი
და კაცი.

როგორც ვხედავთ, გეორგ. 5-ისა და სინ. 5-ის თან-
ხედრი ტროპარები ტექსტობრივად იდენტურია. გიორგი
მთაწმიდელი, როგორც ჩანს, მისაღებად თვლიდა სინ. 5-ის ტიპის მარხვანში არსებულ თარგმანს. სინ. 5-თან შე-
დარებით, გეორგ. 5-ში მეტია III, VI, VII და VIII ტროპარე-
ბი. საინტერესოა ის გარემოება, რომ „უგალობდითსას“
VII ტროპარი „სამებისანს“, VIII ტროპარი კი „ღმრთის-
მშობლისანს“ წარმოადგენს.

კანონის ყოველ მომდევნო ოდაშიც მსგავსი სამუშაოთა
ორგანიზაციების მიერ მომდევნო მსგავსი სამუშაოთა

სის. 5-ში ამ კანონის ყოველი ოდა 3 ან 4 ტროპარი-
საგან შედგება (გარდა უკანასკნელი IX ოდისა, რომელ-
შიც 5 დასდებელია), გეორგ. 5-ში თითოეულ ოდაში ტრო-
პარების ორგენერი 7-მდე ან 8-მდეა შევსებული. თითოე-
ული ოდის უკანასკნელი 2 ტროპარი „სამებისანსა“ და
„დმრთისმშობლისას“ წარმოადგენს. თითოეულ ოდაში გე-
ორგ. 5-ისა და სის. 5-ის თანხვედრი ტროპარები ტექსტობ-
რივად იღენტურნი არიან. ამავე დროს, სის. 5-საგან გან-
სხვავებით, გიორგის მარხვანში კანონი შეიცავს II ოდას
- „მოიხილესა“.

ამრიგად, გიორგი მთაწმიდელი იყენებს ჭორციელის
კვირიაკის კანონის სის. 5-ში დაცულ თარგმანს; ამავე
დროს, მისი თანამედროვე ბერძნული მარხვანების მი-
ხედვით, იძლევა მის ახალ რედაქციას – აქებს კანონის
თითოეულ ოდას 3-4 დასდებლიდან 7-8 დასდებლამდე;
როგორც წესი, მის მიერ თითოეული გალობისათვის და-
მატებული დასდებლების ბოლო წყვილი წარმოადგენს
„სამებისანსა“ და „დმრთისმშობლისას“; უმატებს კანონს
II ოდას - „მოიხილესა“.

ორიგინალთან დაახლოვებას კიდევ უფრო მეტად ეს-
წრაფის არსენ იყალთოელი, რომელსაც ქართული თარ-
გმანი ამ მიზნით ხელახლა შეუდარებია ბერძნულთან.
მოვიტანთ კანონის იმავე ოდის არსენისეულ თარგმანს
და ქ. უელეშის მიერ გამოქვენებულ ბერძნულ ტექსტს:
თურქულ – ლითვანურ თათბირი

თურქული
-მი მი-2 მის თუ იმი-2 ცოდნი არავერცე ურობობ
იყოთაგ კომსტრუქტ არეილნოსტენი სინტერისტ სინავა
-2 მიმ არავერცე ურნერის მიმარტონი არავერცენი
-ენ მით-2 მის ამინისათ ურნერის ინმეცნის მინი მი
ურნარობ სისტემა IV. IV-შეიცვლი სისტემა ჩინისტემ
"მასთან განკარგებ ნორ არეობრიდ მი არმეცნიმის თუ
მასთან თუ იმისთან თუ IV უმშემინვენის. თურნობ თუ
მცდელობაში მარმარუნი

გალობანი მეორედ მოსლვისანი.

შედარებული თარგმნილი. არსენი.

ვმავ ბ გ ი . გალობავ ა.

შემწე და მვ.

დღესა განსაკრთომელსა 1

უცხოვსა მოსვლისა შენისასა

ვძრწი მომგონებელი,

ვიშიშვი... მხედველი,

რომელსა შინა სჯდე განსჯად

ცხოველთა და მეუდართა,

ღმერთო, ყოლად ძლიერო.

ოდეს მოხვდე, ღმერთო, 2

ბევრეულთა და ათასეულთა

ანგელოზებრთა თანა მა... რთა

ჰისათა,

მეცა მიგებებად

შენდა დრუბლითა, ქრისტე ღმერთო,

ღირს-მყავ მაშინ უბადრუები.

მოვედ, მდაბალო სულო, 3

ივესენებდი ჟამსა და დღესა,

რომელსა შინა ცხადად წარმოდგეს

ღმერთი

და გოდებით ტიროდე,

რავთა იპოო წმიდად

ჟამსა განკითხვისასა.

განმაკრთობს და შემაძრწუნებს 4

ცეცხლი უშრეტი გჭენისავ,

მატლი მწარე და ღრკენავ

კბილთამ, არამედ

მილხინე, მრიდე და

დააწესე ღგომავ ჩემი

წმიდათა თანა, ქრისტე!

Τὴν ἡμέραν τὴν φρικτὴν

τῆς παναρήτου σου παρουσίας

φρίττω ἐνοῶν,

δεδοικώς προορῶ,

ἐν δι προκαθίσεις

κρῖναι ζῶντας καὶ νεκρούς,

Θεέ μου παντοδύναμε.

“Οτε ἦξεις ὁ Θεός

ἐν μυριάσι καὶ χιλιάσι

τῶν ἀγγελικῶν

οὐρανίων ἀρχῶν,

κάμε ἐν νεφέλαις

ὑπαντῆσαι σοι, Χριστέ,

τὸν ἄθλιον ἀξίωσον.

Δεῦρο λάβε μοι, ψυχή,

αὐτὴν τὴν ὥραν καὶ τὴν ἡμέραν,

ὅτε ὁ Θεὸς

ἐμφανῶς ἐπιστῆ.

καὶ θρήησον, κλαμσον,

εὐρεθῆναι καθαρὰ

ἐν ὥρᾳ τῆς ἐτάσεως.

Ἐξιστὲ με καὶ φοβεῖ

τὸ πῦρ τὸ ἀσβεστον τῆς γεένης,

σκάληξ ὁ πικρός,

τῶν δδόντων βρυγμός.

ἀλλ’ ἄνες μοι, ἄφες,

καὶ τῇ στάσει με, Χριστέ,

τῶν ἐκλεκτῶν σου σύνταξον.



სალოცველი ჭმარ შენი, 5
მომწოდებელი წმიდათა შენთა
შუმბად მიმართ, მასმინე მეცა,
უბადრუქსა,

რაოთა ვპოო ცათა
სასუფეველსა იგი
უოხტნო ნეტარება.

*Τῆς εὐκταίας σου φωνῆς, οὐκτοπεριπλοκής
τῆς τούς Ἅγιους σου προσκαλούσης για το
ἐπὶ τὴν χαράν,
εἰσακούσω κάγω
ὅ τάλας, καὶ εύρω
βασιλείας οὐρανῶν
τὴν ἄρρητον ἀπόλαυσιν.*

ნუ შეხუალ შენ ჩემთა 6
საშჯელად მომხუმელი ქმნათა ჩემ-
თა,
სიღყუათა და აღძრვათა გამომწუ-
ლილველი,
არამედ წყალობით
თანა-წარმეტედ ძკრთა ჩემთა
და მაცხოვნე, სახიერ.

სამგუამოვანო ერთო, 7
ღმერთ-მთავარო ყოველთაო,
სრულთ-მთავრობითო და ეშთა მთა-
გარო,
გუაცხოვნენ მამაო,
და ძეო და სახიერო
სულო ყოლად წმიდაო.

*Μὴ εἰσέλθης μετ' ἐμοῦ
εἰς κρύσιν, φέρων μου τὰ πρακτέα,
λόγους ἐκζητῶν,
καὶ εὐθύνων ὄρμας·
ἀλλ' ἐν οἰκτιμοῖς σου
παφορῶν μουν τὰ δεινά,
σῶσον με, παντοδύναμε.*

*Τρισποστατε μονάς
ἀρχικωτάτη Κυρία πάντων,
τελεταρχική,
ὑπεράρχιε,
αὐτὴ ἡμᾶς σῶσον,
ὅ Πατήρ, καὶ ὁ Υἱός,
καὶ Πνεῦμα τὸ πανάγιον.¹*

ვინ შეა ძე მამობრივთა
თესლითა შეწყნარებელად, არამედ
რომელი იგი მამამან შეა უდედოდ
უცხოვ ნიში, რომელი
შევ შენ ყოლად უბიწო.
თანად ღმერთი და კაცი.

¹ *Triodion* (Rome, 1879), p. 34.

არსენისეულ თარგმანში ისევე, როგორც გიორგის-
თან, I გალობა 8 ტროპარისაგან შედგება. ბერძნულში
ტროპართა რაოდენობა შვიდია, რადგან VIII ტროპარი –
“ღმრთისმშობლისა” არაა წარმოდგენილი. თუ გიორგი
მთაწმიდელის მარხვანსა და სინ.-5-ს შორის ტექსტობრი-
ვად იდენტური ტროპარებიც გვხვდება, არსენისეული

თარგმანი მოლიანად გაახლებულია – თითოეული ტრანსლატორი საგანგებოდაა შედარებული ბერძნულთან.

წინადროინდელ თარგმანთან შედარებით, I ტროპარის დასაწყისშივე არსენი უმატებს სიტყვას „უცხოსა“, რაც შეესაბამება ბერძნულის „παναρρόήτου“-ს. ეს სიტყვა წინადროინდელ თარგმანში უცვლელადაა დატოვებული. სლავურში, ორმელიც ბერძნულის ზუსტ თარგმანს წარმოადგენს, ეს სიტყვა თარგმნილია, ორგორც „всенеизглаголанного“. ამავე ტროპარის „φρίττω ἐννοῶν“ ძველ თარგმანში ასეა გადმოცემული: „გულისკმა-კყოფ და ვძრწი“, არსენი კი თვით ბერძნულ კონსტრუქციასაც გადმოგვცემს - „ვძრწი მომგონებელი“ (შდრ. სლავურის „страшуся помышляя“). სინ.5 – გეორგ. 5-ში უთარგმნელადაა დატოვებული ბერძნულის IV სტრიქონი “δεδοικώς προοϊδώ”, არსენთან იგი ზუსტადაა თარგმნილი - „ვიშიშვი მხედველი“. ბერძნულ ორიგინალს ზუსტად ასახავს არსენისეული თარგმანის ბოლო სტრიქონიც – “Θεέ μου παντοδυναμε” - „ღმერთო, ყოლად ძლიერო“ (შდრ. სლავურის „Боже мой всесильне“). ძველ თარგმანში ეს სტრიქონი გადატანილია III ადგილზე და გადმოცემულია ასე: „ქრისტე მაცხოვარ“.

II ტროპარის III სტრიქონი “ἐν μυράσι καὶ χλιάσι” არსენთან ზუსტადაა თარგმნილი: „ბევრეულთა და ათასეულთა“. ანალოგიური მდგომარეობაა სლავურშიც. „во тьмах и тысяцах“. ძველ თარგმანში კი გვაქვს მხოლოდ „ბევრეულთა“. ამავე ტროპარის არსენისეულ თარგმანში ზუსტადაა გადმოცემული „მაირთა ცისათა“. შდრ. ბერძნულის “οὐρανίων ἀρχῶν” (სლავური „небесных начал“). ძველ თარგმანში იგი უთარგმნელადაა დატოვებული. ამავე გალობის III ტროპარი სინ. 5-ში არ გვხვდება; შესაძლოა, იგი თვით გიორგი მთაწმიდელის მიერ იყოს თარგმნილი. იგივე უნდა ითქვას VI, VII და VIII ტროპარებზეც. III ტროპარის არსენისეული თარგმანის დასაწყისი - „მოვედ, მდაბალო სულო...“ ემთხვევა ორიგინალს: „Δεῦρο λάβε μοι, ψυχή...“ ამავე ტროპარის „ὅτε ὁ Θεός.

ემფანას ეპისტე“ გიორგის მიერ თარგმნილია, ოოგოროცხველი „მოსლევასა უფლისასა“, არსენი ზუსტ თარგმანს გვაჰავითია ლევს: „რომელსა შინა ცხადად წარმოდგეს ღმერთი“. გიორგის თარგმანში უცელელადაა დატოვებული ამავე ტროპარის უკანასკნელი სტრიქონი, რომელსაც არსენი ზუსტად თარგმნის: „ეამსა განკითხვისასა“ (შდრ. ვ ყავ ისტავა).

IV ტროპარის „ესისტა კαι ფიხεს“ ერთი ზმნითად გადმოცემული ძეველ თარგმანში - „შემაძრწუნებს“. არსენი, ორიგინალის შესაბამისად, 2 ზმნას მიმართავს: „განმართობს და შემაძრწუნებს“. ეპითეტი „მწარე“ (πικρός) ბერძნულში და არსენისეველ თარგმანში დაკავშირებულია „მატლთან“, ძეველ თარგმანში კი - კბილთა ღრმენასთან. ერთი სიტყვით („შემიწყალე“) არის გადმოცემული ძეველ თარგმანში ორიგინალის 3 ზმნა: „ἄνεσ μοι, ἄφεσ, καὶ τῇ στάσει με“. არსენთან შესაბამისი თარგმანია: „მილხინე, მრიდე და დააწესე დგომად ჩემი“.

ზუსტადაა თარგმნილი არსენის მიერ ორიგინალის „პიօსკალისტის“ „მიმწოდებელი“ (შდრ. სლავურის „զօւպეგი“), ძეველ თარგმანში გვაქვს „რომლითა უწოდე“. უთარგმნელადაა დატოვებული ძეველ თარგმანში ორიგინალის „ό τάλας“, რომელსაც არსენი თარგმნის, როგორც „უბადრუქსა“. ასევე უთარგმნელადაა დატოვებული ძეველ თარგმანში ამავე ტროპარის უკანასკნელი სტრიქონი, რომელსაც არსენი ზუსტად თარგმნის: „უოხჭო, ნეტარებად“.

VI ტროპარის „μή εισέλθης“ არსენის მიერ თარგმნილია, როგორც „ნუ შეხუალ“, ძეველ თარგმანში განსხვავებული წაკითხვაა - „ნუ ეძიებ სიტყუასა“. „ფეროუ“ არსენის უთარგმნია, როგორც „მომხუმელი“. ძეველ თარგმანში უთარგმნელადაა დატოვებული ეს სიტყვა. ძეველ თარგმანში ძალზე შემოკლებულია ამ ტროპარის II ნაწილიც, არსენთან კი ზუსტი თარგმანი გვაქვს.

სიტყვასიტყვითაა თარგმნილი არსენის მიერ VII გროვარიც - „სამებისანი“. ორიგინალის „მონას“ ანსენტის მიერ თარგმნილია, როგორც „ერთო“, ძეელ თარგმანში გხვდება „ღმერთო“. საინტერესოდაა თარგმნილი არსენის მიერ ორიგინალის „აღქიკათატე კურია“ - „ღმერთ-მთავარო ყოველთაო“. უთარგმნელადაა დატოვებული ძეელ თარგმანში „თელეთაღქიყ, უპერადჯიე“, არსენი ასე თარგმნის ამ ტერმინებს: „სრულ – მთავრობითო და ზემთა მთავარნო.“

ანალოგიური ვითარებაა კანონის დანარჩენ ოდებშიც. არსენისეული თარგმანი ყოველთვის ძალზე ზუსტია, ძეელი თარგმანები კი ძირითადად გადმოგვცემს ორიგინალის აზრს, მაგრამ ეს არაა სიტყვასიტყვითი თარგმანი. მთარგმნელები სათქმელს თავისებურად ცვლიან, უთარგმნელად ტოვებენ გარკვეულ ფრაზებს ან ზოგადად გადმოსცემენ აზრს.

ჩვენ საგანგებოდ განვიხილეთ ეფრემ მცირის ორი თარგმანი – დიდი პარასკევისა და აღდგომის კვირიაკის კანონები (ხაჩიძე 2000). აქ კი აღვნიშნავთ, რომ თარგმნის ამგვარი პრინციპი დამახასიათებელია ეფრემ მცირისათვის – არსენ იყალთოელის მასწავლებლისა და თანამოაზრისათვის. არსენის მთარგმნელობითი მეთოდი თანხვდება მისი მოძღვრის – ეფრემ მცირის მუშაობის პრინციპებს.

არსენ იყალთოელი, როგორც პიმნოგრაფიულ ნაწარმოებთა მთარგმნელი, აქამდე ძირითადად ცნობილი იყო ანდრეა კრიტელის „დიდნი გალობანთან“ დაკავშირებით. ზემოთ განხილული თარგმანი, ვფიქრობთ, ინტერესს იმსახურებს მისი მთარგმნელობითი მეთოდის შესწავლისათვის.

რაც შეეხება ანდრე კრიტელის „დიდნი გალობანს“ - ბიზანტიური პიმნოგრაფიის შედევრის ქართულ თარგმანს, მისი კვლევა დაწყებულია ელ. მეტრუელის და ლ. გრიგოლაშვილი მიერ, ამიტომ ჩვენ ამ საკითხს არ შევუხებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ დიდმარხევის მეხუთე ხუთშაბათს დადებული ამ ვრცელი კანონის ქართული

თარგმანი მარხვანის ეფურემისეული რედაქციის ერთ-ერთო მნიშვნელოვანი სიახლეა. გეორგის II ნაწილში მას არ თვის არსების ანდერძი, რომელიც წვრილი ასოებითაა მიწერილი და გვიან ჩამატებულის შთაბეჭდილებას ტოვებს (თაყაიშვილი 1933: 32).

ეფურემ მცირის რედაქციის მარხვანში სრული ტექსტებითაა დაცული ბერძნულიდან ახლად თარგმნილი 2 სხვა კანონიც, რომლებიც VIII ს-ის თვალსაჩინო ბიზანტიულ პიმნოგრაფს – კოზმა იერუსალიმელს (მაიუმელს) ეკუთვნის. ისინი განკუთვნილია დიდმარხვის მნიშვნელოვანი დღესასწაულების – ბზობისა და დიდი ხუთშაბათოსათვის. კოზმა იერუსალიმელი, იოანე დამასკელთან ერთად, ბიზანტიური პიმნოგრაფიის რეფორმატორად ითვლება – მათ „საზომითა მარცულედოვნითა აღწერნეს და დმრთიფ-შუენიერებითა კილოებითა შეამკუნეს“ ბიზანტიური პიმნოგრაფიის შესანიშნავი ნიმუშები (მეტრეველი 1971: 037-047). მათ შემოიღეს კანონის თვისობრივად ახალი სახეობა. ამ დროიდან დაიწყო ბიზანტიურ პიმნოგრაფიაში ახალი ხანა - „საბატილდურად წოდებული“ (მეტრეველი 1971: 037-047). საინტერესოა, რომ ეფურემ მცირეს თავად უთარგმნია „იოანე დამასკელის ცხოვრება“, სადაც კოზმას შესახებ ნათქვამია: „ვინავცა ამათ ესევითართა თანა-მოქმედ და თანა-გამგე მისსა იყო პირველმოკსენებული იგი კოზმა, რომელთა ურიადი აქუნდა ურთიერთას თანაშესწორებად სიტყუათა ზედა, განხავებული ნამდვლევე საღმრთოვთა სიყუარულითა.“

როგორც ირკვევა, „მარხვანის“ სახელით ცნობილ კრებულზეც მათ შეთანხმებულად უმუშავიათ.

კოზმას საგალობელთა შორის მხატვრული თვალსახრისით გამოიჩინა ბზობის კპრიაკისათვის განკუთვნილი კანონი თავისი „დახვეწილობით, ამაღლებულობით და სულიერებით“ (კარაბინოვი 1910: 113). საგალობელი მკიდროდაა დაკავშირებული საღმრთო წერილთან, რაც ძლიერებს მის ლირიკულობას.

კოზმას ეს კანონი ადრევე უთარგმნიათ ქართულად. მისი I თარგმანი შესულია X ს-ის სინურ იადგარებში – სინ. 1. სინ. 14, სინ. 1-სა და სინ. 64-ში იგი ავტორწაუწერ-



ლადაა შესული, სინ. 14-ში კი ავტორი სათაურშივებრივი მულტფილმი თითებული ყურადღებას იქცევს ამ ხელნაწერში კაზრის ხელით დართულ სათაურში ქართული ტრანსკრიპციით მოტანილი ბერძნული ძლისპირიც: „უგალობდითსა. უთისანაპიჯიგის. ვმავ დ. კოზმანისი. იხილვა ვმელად სიღრმეა. – პირითა ყრმათა უბიწოთავთა...“ (137r).

საერთოდ, ამ ხელნაწერისათვის დამახასიათებელია ბერძნული ძლისპირების ქართული ტრანსკრიპციით გადმოცემა, რაც მის სიძველეზე მიუთითებს.

იგივე თარგმანითაა შესული კოზმას ეს კანონი სინ.5 და სინ.75 ხელნაწერებშიც, სადაც იგი ავტორწაუწერელია. წინადროინდელი თარგმანითაა შესული კოზმას ეს კანონი გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანშიც, გვხვდება მხოლოდ მცირე ვარიანტული სხვაობები.

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში მოტანილია ამ კანონის ახალი თარგმანი, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება წინადროინდელისაგან. მოვიტან კანონის I ოდის ტექსტებს გეორგ.5-ის I (გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანის) და II (ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანის) ნაწილების მიხედვით:

გეორგ. 5 (I)

87რ
იხილვა ვმელა

გეორგ. 5 (II)

1

55რ
იხილვნეს
უფარული წყარონი, უცხო ნოტიობი
საგან,
და გამოჩნდეს ნიაფქარითა
მდელგარისა ზღვსა საფუძველნი,
რამეთუ მას
შეპრისხენ რა წამისყოფით, ძლიერო,
ერი რჩეული განიყვანე
შენ ვმელად, მგალობელად შენდა
ძლევისა გალობასა, უფალო.

პირითა

ყრმათა უბიწოთავთა შეპზადე
მოხლევისა
შენისა ქებავ, რადთა დაჭვსნე
მბრძოლი იგი და შური იძიო
ძირთ შეთ ჯურისადათ

პირითა

ჩჩელთა უმანკოთა და მწოართავთა
ქებავ
მონათა შენთა დაამტკიცე
დაჭსნად მბრძოლისა და შურისძიებად

ჯუარსა ზედა
ენებითა შენითა დაცემისათვეს
პირველ შექმნულისა მის
და აღაღგინო
ძელითა
მგალობელად შენდა, ყოველთა
უფალო.

(ვნებ) ითა მით
ჯუარისათა პირველი დაცემისათვეს
აღამისა და აღდგომად... გი შენდა ძელითა
მგალობელად
შენდა ძლევისა გალობასა, უფალო.

მართალთა
ეკლესია შესწირავს შენდა გა-
ლობასა,

სიონს დამკურებელო ქრისტე
და იხარებენ დღეს ებრაელთა
ყრმანი ჩჩული
და მთანი ფიცხელნი-წარმართთა
ერნი.

ქებასა
ეკლესია დირსთავ დამქვიდრებელო
სიონს,
ქრისტე შესწირავს შენდა, ხოლო
ისრაელი შემოქმედისა თახისა
მხიარულ არს
და მთავ ფიცხელი და გულქვა
წარმართი

წინაშე პირსა შენსა
განსცხერებინ
მოსლევასა
შენსა სიმდაბლით ქუჟანად, უფა-
ლო.

წინაშე პირსა შენსა
განსცხერებინ, მგალობელად
შენდა ძლევისა გალობასა, უფალო.

გიცნეს შენ
ჩჩულთა მათ უსწავლელთა ზეცო-
სა მეუფე,

ხოლო მღდელობრდუართა კრე-
ბულმან
და მწიგნობართა კრმან უვარ-
გვეს
მაცხოვარი
და ცხორებად თუსი ძელსა დაკვი-
დეს

სიტყვასაებრ წერილისა,
ხოლო ჩუენ
წარმართა
მაცხოვარებად მოვისთულეთ, უფა-
ლო.

პირველად გამოვი.

და აღდგომად ასე-თუმინდ ასემშე
და აღდგომად ასე-თუმინდ ასემშე



კოზმას ეს კანონი შესულია ბერძნული და სლავური ტრადიციის მარხვანების გამოცემებში, რაც მითითებულია კიდევ (ტრიოდიონი 1879: 607-611); (სლავური მარხვანი 1975: 25). ბერძნულ და სლავურ მარხვანებში ამ კანონის I ტროპარი წარმოადგენს ძლისპირის სრულ ტექსტს,

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში დაცული კოზმა იერუსალიმელის კანონებსა და სამსაგალობლებზე დართულ სათაურებში ყოველთვის მითითებულია ბერძნული აკროსტიქების ქართული თარგმანები. ამ შემთხვევაში ანალოგიური მღვმარეობაა სლავურ თარგმანშიც. წინადროინდელი თარგმანისაგან განსხვავდით, ეფრემისეულ მარხვანში დაცულ თარგმანში I ტროპარი, ორიგინალისა და სლავური თარგმანის მსგავსად, სრული ტექსტითაა მოტანილი. გიორგი მთაწმიდელის რედაქციაში დაცულია ორსიტყვიანი მითითება („იხილვა ჭმელა“) შესაბამის ძლისპირზე, რომელთან შედარებაც ცხადყოფს, რომ ეფრემისეულ მარხვანში ეს ძლისპირი ახალი თარგმანითაა მოტანილი.

საგალობლის II ტროპარში ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში დაცულ თარგმანში ყრმებთან (ჩვილებთან) დაკავშირებით გვხვდება 2 ეპითეტი: „უმანკოთა და მწოართადთა“, ისევე როგორც ორიგინალში: „άκακων καὶ θηλαξόντων...“ ანალოგიური ვითარებაა სლავურშიც, „незлобивых и осущих...“ უკანასკნელი ეპითეტი გიორგისთან უთარგმნელადაა დატოვებული. ამავე ტროპარის მომდევნო სტრიქონებშიც II თარგმანი უფრო ახლოსაა ორიგინალთან. ასე მაგ., II თარგმანში გვაქვს „მონათა შენთა“ ისევე, როგორც ორიგინალში: „σῶν ἵκετῶν“ შდრ. სლავ. „Твоих раб“. ამის ნაცვლად გვაქვს „მოსლვისა შენისა“. II თარგმანი უფრო ზუსტად გადმოგვცემს კონსტრუქციას: „καταλῦσαι... ἐκδικῆσαι“ – „დაკინად შურისძიებად“. გიორგისთან გვაქვს აღწერითი წარმოება: „რადთა დაკავსნე... შური იძიო“. II თარგმანში ასევე ზუსტად გადმოცემული ორიგინალის „πάθει σταυρού“ – „ენებითა მათ ჯუარისადთა“, გიორგი შლის სათქმელს: „ჯუ-

არსა ზედა ვნებითა შენითა“. ორიგინალში (ასევე სლუციური ვურ თარგმანში) კონტეტულადაა დასახელებული ჯდამი მომართებული (თუ პალა ‘აძამ’ ისევე, როგორც II თარგმანში, გიორგის-თან სახელდება შეცვლილია ზოგადი ფრაზით – „პირველ შექმნულისა მის“ (იგულისმება, ცხადია, ადამი). აღნიშნული ტროპარის უკანასკნელი სიტყვები - „ძლევისა გალობასა, უფალო“ - წარმოადგენს ორიგინალის ზუსტ თარგმანს: „ეპიტესი უნივერსალური სი, კურიე“, გიორგის მიერ ეს ფრაზა ასეა თარგმნილი: „ყოველთა უფალო“.

II ტროპარი ორიგინალში იწყება შემდეგი სიტყვებით: „Αἴνεσιν. Εκκλησία ὁστῶν“, რომელიც ზუსტადაა გადმოღებული II თარგმანში: „ქებასა ეკლესია ღირსთავ“. ამის შემდეგაც გიორგი ანაცვალებს სტრიქონებს, II თარგმანი კი სიტყვასიტყვით მიჰყება ორიგინალს: „τῷ ἐνοικουντι Σιῶν სი, Χριστὲ, προσφέρει...“ II თარგმანი ზუსტად გადმოსცემს ამ ტროპარის IV-V სტრიქონებსაც: „ἐν σοὶ δὲ Ἰσραὴλ τῷ Ποιητῇ αὐτοῦ χαιρει...“ გიორგის თარგმანში კი განსხვავებული წაკითხვა გვხვდება: „და იხარებენ დღეს ებრაელთა ყრმანი ჩჩვლნი“. გიორგისთან უთარგმნელადაა დატოვებული ორიგინალის „ἀντίτυπα, λιθοκაბδια“, რომელიც II თარგმანში თარგმნილია ზუსტად: „ფიცხელი და გულქვა“. ამავე ტროპარის ბოლო ფრაზა - „მგალობელად შენდა ძლევისა გალობასა, უფალო“, რომელიც II თარგმანში გვხვდება, ზუსტად გადმოსცემს ორიგინალს: „და იხარებენ დღეს ებრაელთა ყრმანი ჩჩვლნი“. გიორგის თარგმანში განსხვავებული წაკითხვა გვაქვს: „მოსლევასა შენსა სიმდაბლით ქუყანად, უფალო.“

გიორგისეული თარგმანის უკანასკნელი ტროპარი ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში დაცულ თარგმანში არ გვხვდება. იგი შესული არ არის ბერძნული და სლავური მარხვანების გამოცემებშიც.

ამრიგად, ბზობის კვირიაკისათვის განკუთვნილი კოშმა მაიუმელის ეს განონი ქართულად ორჯერაა თარგმნილი, მისი უკანასკნელი თარგმანი დაცულია ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში. წინადროინდელი თარგმა-

ნისაგან იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება. განსხვავება-
ნი, როგორც ჩანს, განპირობებულია ორიგინალთან დაბ-
ლოების მცდელობით. II თარგმანი ზუსტია, სიტყვასიტ-
ყვით გადმოგვცემს ორიგინალს, წინადროინდელი თარ-
გმანი კი – შედარებით თავისუფალი. მთარგმნელი გად-
მოსცემს ძირითად აზრს, რისთვისაც ზოგჯერ შლის
სათქმელს, ზოგჯერ კი პირიქით – ამოკლებს. რამდენიმე
შემთხვევაში გვხვდება ორიგინალისაგან განსხვავებული
წაკითხვებიც, რაც თვით მთარგმნელის ინტერპრეტაცია
უნდა იყოს ან განსხვავებულ ტრადიციას უნდა ასახავ-
დეს.

თეოდორე სტუდიელის ზემოთ განხილული კანონის
არსენ იყალთოელისეულ თარგმანთან შედარებით, კოზ-
მას აღნიშნული კანონის ქართული თარგმანი, მიუხედა-
ვად იმისა, რომ ორიგინალს ზუსტად გადმოგვცემს, არაა
ზედმეტად დამძიმებული ბერძნული ენის სინტაქსური
კონსტრუქციებისა თუ ტერმინების გადმოცემით. თარგმა-
ნი ზუსტია და, ამავე დროს, თავისუფალი ნაბალადევი,
ხელოვნური ფორმებისაგან. ამ მხრივ იგი გვაგონებს ეფ-
რემ მცირის მიერ თარგმნილ დიდი პარასკევისა და აღ-
დგომის კანონებს.

კოზმა იერუსალიმელსვე ეკუთვნის ეფრემ მცირის
რედაქციის მარხვანში დაცული დიდი ხუთშაბათის კანო-
ნიც. საერთოდ, ამ ავტორს ძირითადად ვნების შვიდეუ-
ლის რეპერტუარი შეუქმნია. კოზმა მაიუმელმა გაიმეორა
ანდრეა კრიტელის მიერ დიდმარხევის ამ შვიდეულისათ-
ვის გაწეული სამუშაო და შექმნა ვნების შვიდეულის სა-
გალობელთა ციკლი – სამსაგალობლები, სტიქარონები
და სრული კანონი – დიდი ხუთშაბათისათვის. მიზეზი,
რომლის გამოც ამ დღისათვის მას სრული კანონი შეუჭ-
მნია, აღნიშნულია აკროსტიქში: „O კანავ, იუ ე
აკდისტიქის: თუ მაკდა პემპთ მაკდონ უმინონ ეჯამდა“. ეფრემის
მარხვანში ეს აკროსტიქი („თავნი“) ასევა თარგმნილი:
„გრძელსა მეხუთესა გრძელსა გადობასა ვგალობ“. „გრძელი“, როგორც ჩანს, აღნიშნავს „ვრცელს“, რაშიც
იგულისხმება ერთი მხრივ, დიდი ხუთშაბათის ჟამისწირ-

ვის, მეორე მხრივ, - თვით კანონის მოცულობა (განსხვავდებოდა მეტად განვითარებული სამსაგალობლებისაგან). ბერძნული (და სლავური) მარხვანის პუბლიკაციებში ეს კანონი II ოდის გარეშეა შესული. II ოდის უგულებელყოფა დამახასიათებელია კოზმასათვის მაშინ, როდესაც მისი თანამედროვე და მომდევნო პერიოდის ბევრი ავტორი ინარჩუნებს ამ ოდას. უძველეს ბერძნულ ტრიოდიონებში - სინ. №735 და ვატიკ. №771 კოზმას ეს კანონი შეიცავს II ოდას, რომელიც ოუფანე აღმსარებელს ეკუთვნის. როგორც ჩანს, თეოფანეს საჭიროდ მიუჩნევია მისი შევსება. ეფრემისეულ მარხვანში კოზმას ეს კანონი შესულია II ოდის გარეშე, გიორგი მთაწმილელის ავტოგრაფულ მარხვანში კი - სრულად. მისი II ოდა ეკუთვნის იოანე მინჩეს. მინჩესადმი მიძღვნილ მოხოგრაფიაში აღვნიშნეთ, რომ მისთვის დასახასიათებელია ბერძნულიდან თარგმნილი კანონების შევსება II ოდებით. ეფრემ მცირე კი, რომელიც მის თანამედროვე ბიზანტიურ ლიტურგიკულ პრაქტიკას ეყრდნობა, უგულებელყოფს ამ ოდას ისევე, როგორც ქართულ მასალას საერთოდ. ეს კანონები, რომლებთანაც მითითებულია მთარგმნელი, ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანის ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს, ისევე, როგორც ზემოთ განხილული კანონები.

მარხვანის ეფრემისეული რედაქცია წინადროინდებლისაგან განსხვავდება არა შეოლოდ ბერძნულიდან ახლად თარგმნილი კანონების შემოტანით, არამედ კანონთა გარდენული ჯგუფის უგულებელყოფით, რევიზიით.

მარხვანის ამ რედაქციაში ამოღებულია VIII ს-ის იურუსალიმელი პატრიარქის - ელიას ყველა პიმნოგრაფიული კანონი. ისინი განკუთვნილია დიდმარხვის კვირიაკმბისათვის - ხორციელის კვირიაკიდან დაწყებული VI კვირიაკის ჩათვლით, ამას ემატება მეექვსე პარასკევისათვის განკუთვნილი კანონი. ელიას საგალობელთა ამოღება ხდება დიდი სიზუსტით. ასე მაგ., დიდმარხვის მეორე კვირიაკზე გიორგი მთაწმილელის ავტოგრაფულ მარხვანში დადებულია კომპილაციური კანონი, რომლის ცალკეული ტროპარები ეკუთვნის თეოფანე გრამტოსს,

ელია იერუსალიმელს და თეოდორე სტუდიელს. ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში კანონის შემადგნელობით დან ამოღებულია ელიას ტროპარები, თეოფანეს და თეოდორეს ტროპარები კი ცალ-ცალკე კანონებადაა შესული. იქვე დაცულია შენიშვნა: „მარხვათა შინა პპოვნე ესე გალობანი – ორნივე გალობანი და ელიასნი დაფარენ“. ამრიგად, ელიას ტროპარების ამოღება საგანგებოდაცაა მითითებული.

ელია იერუსალიმელის საკვირაო კანონები ქართული მარხვანების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ეფრემის თანამედროვე ბიზანტიურ ტრადიციაში კი ეს რეპერტუარი, ოოგორც ჩანს, უკვე მთლიანად ამოღებულია. გამონაკლიის წარმოადგენს მხოლოდ დიდმარხვის IV კვირიაკისათვის განკუთვნილი კანონი, რომელიც ბერძნული და სლავური მარხვანების პუბლიკაციებში სახელწაურერლად აღმოჩნდა შესული. ელიას დანარჩენი კანონები კი ბერძნული და სლავური მარხვანების არსებულ გამოცემებში შესული არ არის, რადგან ისინი ხელნაწერთა შედარებით გვიანდელ ტრადიციას ემყარება. ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანიც ამ ტრადიციას ასახავს.

ელიასაგან განსხვავებით, საანალიზო მარხვანში ვრცლადაა წარმოდგენილი IX ს-ის საინტერესო ბიზანტიელი ჰიმნოგრაფიის – იოსებ მგალობლის შემოქმედება. ამ ავტორის სამსაგალობლები ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს. მარხვანის წინადროინდელი რედაქციები, მათ შორის გორგი მთაწმინდელის ავტოგრაფული მარხვანი, სამსაგალობლებთან ერთად, შეიცავს ამ ავტორის ჰიმნოგრაფიულ კანონებსაც. მათ შორისაა დიდმარხვის მოსამზადებელი პერიოდისა და ყველიერის შევიდეულისათვის განკუთვნილი 3 კანონი: 1) ჭორციელისა კპრიაკესა. გალობანი მეორედ მოხსელვისანი. ჭმად დ გ ი. ეტლთა მფლობ. – ქრებული წმიდათა შენთად...“ 2) ყველიერისა ოთხშაბათსა. ჭმად დ. გიგალობთ შენ, უფალო. – რათა მოგუცეს საზღვრად...“ და 3) ყველიერის პარასკევსა. გალობანი მარხვათა შემოსვლისათვს. ჭმად დ გ ი. ქუეყანასა

მწყურნებ. – საღმრთოვსა ამის მარხვისა...“ ბერძნული და სლავური მარხვანების პუბლიკაციებში შესულია უკული ლიერის ოთხშაბათისა და პარასკევისათვის განკუთვნილი ეს კანონები – პირველი ანდრეა კრიტელის, მეორე კი – იოსების სახელით.

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში იოსების ეს კანონები შესული არ არის. როგორც ჩანს, ანალოგიური მდგრმარეობა იყო მის თანამედროვე ბერძნულ მარხვანებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეფრემი აუცილებლად შეიტანდა მათ მარხვანის საკუთარ რედაქციაში, მით უფრო, რომ ამ კანონების ქართული თარგმანები უკვე არსებობდა.

საანალიზო მარხვანში ამოღებულია დიდმარხვის I ორშაბათისათვის განკუთვნილი შემდეგი კანონიც: „ნინჯველთა გალობანი. ჭმავ დ გ ი. ისრაელი მონაქმნული. – მოგუანიჭა დმერთმან...“ ამ კანონის ქართული თარგმანი სახელწაუწერლადაა შესული ჯერ კიდევ სინურ იაღგარებში. გვხვდება იგი მარხვანის შემდგომდროინდელ რედაქციებშიც იოანე სახელით. ეფრემის მიერ მისი ამოღება, ვფიქრობთ, განპირობებული უნდა იყოს იმ გარემოებით, რომ დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა თვით ნინეველთა – მარხვანის ერთ-ერთი უძველესი ხსნება. ბიზანტიური ეკლესია, როგორც ჩანს, XI საუკუნეში უკვე საგანგებოდ ცდილობს ამ ხსნების ამოღებას. ამას მოწმობს ნიკონ შავთელის „ტაქტიკონი“, სადაც გაქიცხულია სომხურ ეკლესიაში შემორჩენილი ეს ხსნება (კარაბინოვი 1910: 24). ამავე მიზეზით უნდა იყოს ამოღებული ამავე პერიოდის ბერძნულ მარხვანებსა და, შესაბამისად, საანალიზო მარხვანში ნინეველთა ხსნებისადმი მიძღვნილი საგალობლები.

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ მასში ამოღებულია VIII ს-ის საინტერესო ბიზანტიელი პიმნოგრაფის – სტეფანე საბაშმილელის ყველა საგალობელი. სტეფანე, ელიასთან ერთად, წინადროინდელი ქართული მარხვანების ერთ-ერთი ძირითადი ავტორია. ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში ამოღებულია ამ ავტორის

მარხვანისათვის განკუთვნილი სამსაგალობლების მოყლივებული ციკლი, აგრეთვე კანონები და მცირე ფორმის საგადატბო მოწყვეტილები. აქ აღარა შესული სტეფანე საბაწმიდელის I კვირია კისათვის განკუთვნილი კანონი „ქმად დ. მღვაც მის მეწა. — გიგალობთ შენ, ქრისტე...“ აგრეთვე IV ოთხშაბათის კანონი „ქმად დ. დაანთქენ ვნ. — ძელსა ჯუარისასა...“ როგორც ჩანს, ამ ავტორის საგალობლოთა ამოღება ბერძნული მარხვანების რეპერტუარიდან XI საუკუნეში დაწყებულა და ამ პროცესს ასახავს მარხვანის ეფრემისეული რედაქცია.

წინადროინდელ ქართულ მარხვანებთან შედარებით, ეფრემიეულ მარხვანში ამოღებულია 3 ავტორწაურწერელი კანონიც: 1) „პირველსა კურიაკესა. ქმად გ. ღმერთმან, რომელმან. — შჯულისა წესთა მასწავლელნო...“ 2) „მექუსესა შაბათსა. გალობანი ლაზარენსი. ქმად გ გ ი. - წამის ყოფითა. რომელმან ყოველივე...“ და 3) „ბზობისა კურიაკესა. ქმად დ გ ი. გალობავ შევ. - დაუსაბამოვსა მამისა...“ ბერძნულ მარხვანებში (და შესაბამისად ეფრემთან) მათი ამოღება შესაძლებელია განპირობებული იყოს მათ ავტორთა ვინაობით.

ამრიგად, ეფრემის თანამედროვე ბერძნულ მარხვანებში იწყება ავტორთა შერჩევა. მარხვანების რეპერტუარიდან ამიერიდან ამოღებულ იქნა ის ავტორები, რომლებიც იერუსალიმურ ტრადიციას მისდევენ — ელია იერუსალიმელი და სტეფანე საბაწმიდელი. როგორც ჩანს, ცელილება განიცადა მოსამზადებელი კვირიაკების მასალამაც.

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ვნების შეიღეულისათვის განკუთვნილი სამსაგალობლების თარგმანები. ვნების შეიღეულის მასალა მარხვანის უძველესი ელემენტია. კალენდარული მაჩვენებლები ამ პერიოდისათვის დაწესდა მაცხოვრის ცხოვრების შესაბამისი ეპიზოდების მიხედვით.

ბიზანტიური პიმნოგრაფის I — იერუსალიმურ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღებით დამუშავდა ამ შვიდეულის მასალა. საერთოდ, V-VII სს-ების ბიზანტიურ პიმნოგრაფიაში საგალობლები იქმნებოდა ძირითადად

ვნების შვიდეულისა და დიდმარხვის კვირა დღეებისათვის.

ვნების შვიდეულის სამსაგალობელთა I ციკლის პუტი ტემპორია ანდრეა კრიტელი. ამავე შვიდეულისათვის სამსაგალობლები შეუქმნია კოზმა იერუსალიმელს. მან გაიმეორა ანდრეა კრიტელის მიერ გაწეული სამუშაო, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ დიდი სამშაბათისათვის მას დაუწერია ორსაგალობელი, დიდი ხუთშაბათისათვის კი - სრული კანონი. საერთოდ, კოზმა იერუსალიმელის დღეისათვის ცნობილი მემკვიდრეობის ძირითად ნაწილს ვნების შვიდეულისათვის განკუთვნილი საგალობლები წარმოადგენს - დიდი ხუთშაბათის კანონი, 5 სამსაგალობელი და მცირე ფორმის საგალობლები. ამას ემატება ბზობის კვირიაკის ზემოთ განხილული კანონი და ლაზარეს შაბათის ოთხსაგალობელი.

ვნების შვიდეულისათვის განკუთვნილი კოზმას სამსაგალობლებისათვის დამახასიათებელია მოკლე აკროსტიქები: „თუ ბესტერა, თქმეთ...“, რამაც, როგორც ჩანს, გავლენა მოახდინა მათ მხატვრულ ენაზე. კოზმას სამსაგალობლები, ანდრეას მსგავსად, შექმნილია შესაბამისი დღეებისათვის დაწესებული სახარების საკითხავების მიხედვით. როგორც ცნობილია, მარხვანისათვის განკუთვნილი სახარების საკითხავების სისტემა ორგვარია: იერუსალიმელი და კონსტანტინოპოლიტი. I პერიოდის ბიზანტიული პიმოგრაფები, ცხადია, I სისტემას მისდევენ.

ვნების შვიდეულის დღეებისათვის (ხუთშაბათოს გარდა), კოზმას დაუწერია 5 სამსაგალობელი. ყველა მათგანი, ავტორზე მითითებით, შესულია ბერძნული და სლავური მარხვანების გამოცემებში. ქვემოთ მოკლედ განვიხილავთ თითოეული მათგანის ქართული თარგმანის ისტორიას და მათ უკანასკნელ - ეფრემ მცირის ოედაქციის მარხვანში დაცულ თარგმანს.

დიდი ორშაბათისათვის განკუთვნილი კოზმას სამსაგალობელი შექმნილია იერუსალიმელი სისტემით ამ დღისათვის განწესებული საკითხავის - მათე, 20, 25-28 მიხედვით. ანდრეა კრიტელის ამავე დღისათვის განკუთვნილი სამსაგალობლისგან განსხვავებით, რომლის თემატიკა

უფრო მრავალფეროვანია, კოზმას ამ სამსგალობლის ქორცხველი რითადი თემაა მაცხოვრის შესაბამისი ქადაგება. კოზმის უცილესი ამ სამსგალობლის I თარგმანი გვხვდება X ს-ის სინურ იადგარებში. სინ. 5-სინ.75 ხელნაწერებში საგალობელი შესულია ახალი თარგმანით, ავტორწაუწერლად. გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანში სწორედ ეს უკანასკნელი თარგმანია შესული. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ გიორგისთან, ჩვეულებისამებრ, მიწერილია ავტორი - „კოზმან“. რაც შეეხება ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანს, აქ კოზმას ეს სამსგალობელი ახალი თარგმანითაა დაცული. მოვიტანთ სამსგალობლის I ოდის (გალობად ა) ტექსტს გიორგი მთაწმიდელისა და ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანების მიხედვით:

სამფუძნო დიდისა თრაპაბათისა-
ნი, რომელთა თავნი იტყვან ბერ-
ძელებრ: „ორშაბათსა“. კმავ ბ.
დიდსა ორშაბათსა. ხელდრნი.
უგალობდითსა. კმავ ბ.

გეორგ. 5-ის II ნაწილი

258რ

გეორგ. 5-ის I ნაწილი

1913

სლვად უჩუეველისა
და მღელვარისა ზღვას
საღმრთოვთა ბრძანებითა თვისითა

რომელმან განაჭმო ზღვამ

განმაჭმობელსა
და წიაღ-მყვანებელსა
მას შინა რჩეულისა ისრაცლისსა,
ღმერთსა დიდებულსა,
გაღლით უგალობდეთ.

ეს სიმდაბდევ
ღმრთისად მიუწდომელი,
რამეთუ წუენთვს კაც იქმნა,
გითარცა ინება,
არავ უღირს-უვნა
მონათა მსგავსებად ღმერთმან,
არამედ აჩვენა
მოწაფეთა თვისთა
დიდებით დიდებულებად.

ზესთა გამოთქმისა
თანა შთამოსლვად ღმრთისად,
რომელი იგი თვთ ქრისტე არს-
ღმერთი და კაცი,
ღმერთად, არა ნატაცებად
შერაცხილი ყოფად მონისა
ხატსა შთაცუმასა
უჩუენებს მოწაფეთა,
რამეთუ დიდებულ არს.

მსახურებად მისსა
თუთ მოვედ, რომლისაცა
ხატი დაბადების მოქმედმან
ხეფსით შევიმოსე

ადამ გლახაკ ქმნულისა,
მდიდარმან ღმრთევებითა და თავით
თუსით დავდევ
საკსრად სული ჩემი
ღმრთევებით უვნებელმან.

„მოვედ მე დამბა-
დებელი მსახურებად
ადამის სიგლახაკესა, ურთის-
ლიც“

შევიმოსე

და დავიმდაბლე თავი
ჩემი ხეფსით თუსით, რომელი-
ცა ღმრთევებით ჭვები,
ბუნებით უვნებელი
წორცითა ვივნე კაცთათვის“

რაჟამს იხილა
დამბადებელმან ადამ
სიკუდილისაგან ვნებულად ურ-
ჩებისა მისთვე
გარდამოკდა სიმდაბლით
და შეიმოსა მოკუდავი ბუნებად
კაცთა
და მით განარინა
სიკუდილისაგან ადამ.

რომელმან ღმრთისმშო

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში კოზმას ამ
სამსაგალობელს ერთვის ბერძნული აკროსტიქის („თავ-
ნი“) ქართული თარგმანი („ორშაბათსა“). ანალოგიური ვი-
თარებაა კოზმას სხვა სამსაგალობლებთანაც, მათი ბერ-
ძნული აკროსტიქების ქართული თარგმანები პირველად
ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში გვხვდება.

თვით თარგმანებს შორის განსხვავება იწყება პირვე-
ლივე ტროპარიდან. ეფრემის მარხვანში I ტროპარი წარ-
მოადგენს ბერძნულიდან ახლად თარგმნილი ძლისპირის
სრულ ტექსტს. გიორგისთან მხოლოდ მითითებულია
ძლისპირი და თანაც, სხვა თარგმანით. ბერძნული (აგ-
რეთვე სლავური) მარხვანების გამოცემებში იგი სრული
ტექსტითაა შესული, ოდონდ მითითებულია ის გარემოე-
ბა, რომ ეს ტექსტი ძლისპირს წარმოადგენს. ანალოგიუ-
რი ვითარებაა კოზმას დანარჩენი სამსაგალობლების

ახალ (ეფრემის მარხვანში დაცულ) თარგმანშიც – ყოველი კატეგორია გელთვის სრული ტექსტებითაა მოტანილი შესაბამისად ძლისპირების ახალი თარგმანები. წინადროინდელ თარგმანებთან შედარებით, განსხვავება გვხვდება თითოეული გალობის სტრუქტურაშიც. ასე მაგ., აღნიშნულ შემთხვევაში გიორგი მთაწმიდელის მარხვანში დაცული თარგმანის I ოდაში შესულია III ტროპარი, რომელიც არ გვხვდება გეორგ. 5-ის II ნაწილში. ანალოგიური ვითარებაა ბერძნულ ტრიოდიონშიც. გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანსა და წინადროინდელ ხელნაწერებში (სინ. 5-სინ.75) განსხვავებული (დამატებითი) ტროპარები შესულია კოზმას სხვა სამსაგალობლებშიც. როგორც ჩანს, ისინი არსებობდა ბერძნული მარხვანის უფრო ძველ ტრადიციაში. რაც შეეხება 2 თანხვედრილ ტროპარს, ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში ისინი მოტანილია ახალი თარგმანით. ბერძნული ორიგინალის ზუსტ თარგმანს წარმოადგენს II ტროპარის პირველივე სიტყვები: „ზესთა გამოთქმისა. თანა შთამოსლვად დმრთისად“. შდრ. ორიგინალის „Η ἀπόδρητος Λόγου θεοῦ Κατάβασις...“ გიორგი მთაწმიდელის მარხვანში კი ძირითადი აზრია გადმოცემული: „ეპა, სიმდაბლე. დმრთისა მიუწდომელი.“ ანალოგიური ვითარებაა მომდევნო მონაკვეთშიც: „ὅπερ Χριστὸς αὐτός ἐστι, θεός καὶ ὁ ανθρώπος“ ეფრემთან სიტყვა-სიტყვითაა თარგმნილი ეს ფრაზა, გიორგისთან კი მისი ზოგადი გააზრებაა მოცემული. შემდგომშიც ორიგინალის საქმაოდ რთულ კონსტრუქციას „τὸ θεός οὐχ ἀριαγμὸν εἶναι ἡγησάμενος“ სიტყვასიტყვით გადმოსცემს II თარგმანი. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მთარგმნელი, გარკვეულად, ტერმინოლოგიურ დატვირთვას ანიჭებს სიტყვას „არა ნატაცებად შერაცხილი“. საინტერესოა გამოთქმაც „მონისა ხატსა შთაცუმასა“. შეუძლებელია ამ ბერძნული გამოთქმებისათვის უფრო ზუსტი შესატყვისების მოძებნა.

ამავე სამსაგალობლის მომდევნო ტროპარში ყურადღებას იქცევს ბერძნული სიტყვის „ό πλαστουργός“ ქართულის ინტერი და ამ-სანის ასაკურა რე

ლი თარგმანი „დაბადების მოქმედმან“, ოომელიც გიორგისთან გადმოცემულია ტრადიციული სიტყვით - „დაშმაბ დებელმან“. ორიგინალის ზუსტი თარგმანი გვაქვს გეორგ. 5-ის II ნაწილში შემდეგ გამოთქმაშიც: „օ პლიუტონ თეოტეს“ - „მდიდარმან ღმრთებითა; გიორგისთან კვლავ ტრადიციული წაკითხვა გვაქვს: „რომელიცა ღმრთებით ვჰგიე.“ ზოგად გააზრებას იძლევა ამ ტროპარის უკანასკნელი მონაკვეთი („ბუნებით უკნებელი. ჭორცითა ვივნე კაცთათგა“) გეორგ.5-ის I ნაწილში, უფრემთან კი ორიგინალის ზუსტი თარგმანი გვაქვს: „ψυχὴν ἀντίλυτρον. ὁ ἀπαθῆς Θεότης“. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სიტყვა „საგსრად“, ოომელიც ორიგინალსაც გადმოსცემს და მხატვრულადაც ძალზე შთამბეჭდავია.

ამრიგად, ამ სამსაგალობლის გეორგ. 5-ის II ნაწილში დაცულ თარგმანს იგივე თვისებები ახასიათებს, რაც ზემოთ განხილულ კანონებს. ამ თარგმანის ძირითადი თავისებურებაა ორიგინალის მაქსიმალური სიზუსტით გადმოცემა, რასაც ზოგჯერ ტერმინოლოგიური სიახლეუნიც ახლავს. ამასთან, მთარგმნელი ახერხებს ერთი შეხედვით მშრალ, ზუსტ თარგმანში სიტყვების ისეთ შერჩევას, რომელიც მოწმობს დაფარულ ლირიზმსა და ლიტერატურულ გემოვნებას. ყოველივე ეს დამახასიათებელია უფრემ მცირის მთარგმნელობითი მოღვაწეობისათვის.

საინტერესო ვითარებაა დიდი სამშაბათის სამსაგალობელთან დაკავშირებითაც. სამეცნიერო ლიტერატურის და დღეისათვის გამოქვეყნებული ბერძნულ-სლავური მარხვანების მიხედვით, ამ დღეს დადებულია კოზმას ორფსალმუნი: „Καὶ εὐθὺς τὸ Διώδιον, ὃν ἡ ἀκροστιχίς: Τρίτη τε. Ποίημα Κοσμᾶ Μοναχοῦ. Θρήνη ἡ. Ἡχος β· -Τῷ δόγματι τῷ τυραννικῷ...“ „Также двоепеснец, егоже краесточие: Трите те, сместь, во вторник же. Творение господина Космы. – Велению мучителеву...“ (სლავური მარხვანი 1975, II: 63-64), (ტრიოდოთი 1879: 632-633).

ანალოგიური ვითარებაა ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანშიც. უფრო ძველ ხელნაწერებში კი - X ს-ის სინურ იადგარებში, სინ.5-სინ.75-სა და გიორგი მთაწმიდე-

ლის რედაქციის მარხვანში დიდ სამშაბათს დადგებულია კოზმას სამსაგალობელი, რომელიც VIII-IX ოდებთან ურთად, შეიცავს II ოდასაც - მოიხილესა“ სინურ იადგარებში - სინ. 1, სინ. 14, სინ. 64 და ა.შ. იგი შესულია ავტორწაუწერდად. სინ. 14-ში მის II ოდასთან („მოიხილესა“) ქართული ტრანსკრიპციით მოტანილი ბერძნული ძლისპირი („დო-ტე-მელალოს“). ანალოგიური ვითარებაა დანარჩენ ოდებშიც. როგორც აღვნიშნეთ, ამგვარი რამ დამახასიათებელია სინ.14 ხელნაწერისათვის. იადგარისეული თარგმანითაა გადასული კოზმას ეს სამსაგალობელი სინ. 5-სინ. 75-სა და გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანშიც. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ გიორგისეულ მარხვანში იგი ცალკეა გამოყოფილი, ავტორზე მითითებითურთ, სინ. 5-სინ. 75-ში კი მის თითოეულ ოდას მოსდევს „სხუანები“, „მოიხილესა“ ოდის გარდა.

დღეისათვის ძნელდება აღნიშნული „მოიხილესა“ წარმომავლობის ზუსტად ახსნა. ფორმითაც და შინაარსითაც იგი საკმაოდ თავისებურია. მისი თითოეული სტრიქონი იწყება მთავრული ასოებით, შინაარსით საგალობელი ძალზე სქემატურია. სინურ იადგრებში, სინ.5-სინ.75 ხელნაწერებს და გიორგის მთაწმიდელის რედაქციის მარხვანში დაცულ მის ტექსტს შორის ერთადერთი განსხვავება შეიმჩნევა: უფრო ძველ ხელნაწერებში თითოეული სტრიქონი ორადაა გაყოფილი (ლამპრითა ბრწყინვალითა. მივეგებვოდით ქრისტესა...), გიორგი მთაწმიდელთან კი გაბმითაა წარმოდგენილი.

ამრიგად, X ს-ის სინური იადგარები, სინ.5-სინ.75 ხელნაწერები და გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანი დიდ სამშაბათს შეიცავს კოზმა იერუსალიმელის სამსაგალობელს. მოვიტანთ აღნიშნული ხელნაწერების მიხედვით მისი II ოდის („მოიხილესა“) სრულ ტექსტს, რომელიც შემდგომდოინდელ ტრადიციაში შესული არარის:

დიდსა სამშაბათსა. მოიხილესა. ჭმავ ბ გ~ი.
მივსცეთ, ერნო, დიდებავ დღეს

ლამპრითა ბრწყინვალითა მივეგძებულდით ქრისტენა, იუდეი
განვიფრთხოთ, მორწმუნენი, ძილისა მისგან მძღმისა,
შორად განვიშოროთ ჩუენ მოწყინებად სულისად

დღეს,
განვამრავლოთ ტალანტი უფლისად მრავალნაწილად.

მოვედით მორწმუნენო და ვიქმოდით წყალობასა,
წყალობად ლმობიერო შეკვიროთ დმრთისა ჩუენისა.
შემრაცხე მე, მაცხოვარ, მარჯუენით კრავთა მათ
თანა

განსჯასა საშინელსა, ნუ შემრაცხე თიკანთა თანა,
დამამტკიცე, სახიერ, ბრძენთა მათ ქალწულთა თანა.
სამებაო წმიდაო, მიგსენ მაქებელნი შენი,
მაღიდებელნი შენი გუაცხოვნენ, დმრთისმშობელო.

რაც შეეხება დიდი ოთხშაბათისათვის განკუთვნილ
სამსაგალობელს, ქართული თარგმანების ორიგინალთან
დამოკიდებულების თვალსაზრისით აქაც იგივე მდგომარეობაა, რაც დიდი ორშაბათის სამსაგალობელში. განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ მისი ქართული თარგმანები უფრო მეტია, ვიდრე დანარჩენი სამსაგალობლებისა. კერძოდ, X ს-ის სინურ იადგარებში – სინ.1, სინ.14, სინ.64 და ა.შ. დაცულია მისი I თარგმანი. სინ.5 – სინ.75-ში კოზმას ამ სამსაგალობლის ოდები სახელწაუწერლადაა ჩართული სხვა კანონის (კმავ ბ. ზღვსა დელ. – რომელმან მოსცა სჯული...) III, VIII და IX ოდების შემდეგ „სხვანის“ სახით. გიორგი მთაწმიდელს, კოზმას დანარჩენი სამსაგალობლებისაგან განსხვავებით, ეს საგალობელი ხელახლა უთარგმნია ბერძნულიდან და მისი რედაქციის მარხვანში გვხვდება ახალი, III თარგმანი. უფრემისეულ მარხვანში, ჩვეულებისამებრ, კოზმას ამ სამსაგალობლის ახალი (IV) თარგმანია დაცული. ამრიგად, როგორც ჩანს, დიდი ოთხშაბათისათვის განკუთვნილი ეს საგალობელი განსაკუთრებული უურადღებით სარგებლობდა, რითაც უნდა აიხსნას მისი ქართული თარგმანების სიმრავლეც.

დიდი პარასკევისათვის განკუთვნილი ქოზმას სამსახურის გაღობლის (ჯმა ბ გ ი. გაღობად ე. - შენდა აღვიმშეტყ) მომზადებული ქართული თარგმანები შეიცავს ერთ სტრუქტურულ თავისებურებას. X ს-ის სინურ იადგარებსა და ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში იგი შესულია იმავე სტრუქტურით, როგორც დღევანდველ ბერძნულ ტრიოდიონებში. გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანში კი მისი I ოდა, კოზმას ტროპარების შემდეგ, ავტორზე მითითებით შეიცავს იოანე მინჩხის ტროპარებს, რომლებიც იმავე საზომითა შესრულებული, რითაც კოზმას წინამდებარე ტროპარები. ეფრემთან, ცხადია, მინჩხის ტროპარები ამოღებულია სამსაგაღობლის შემადგენლობიდან და მთელი სამსაგაღობლებელი ხელახლა შედარებული ბერძნულთან. ამრიგად, კოზმას ამ სამსაგაღობლის I თარგმანი დაცულია X ს-ის სინურ იადგარებში, სინ. 5-სინ. 75 ხელნაწერებსა და გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანში, II თარგმანი კი - გეორგ. 5-ის II ნაწილში. II თარგმანი, ჩვეულებისამებრ, ძალზე ზუსტია.

დიდი შაბათისათვის განკუთვნილი ქოზმას ოთხსა გაღობელი უძველეს ქართულ თარგმანებში - X ს-ის სინურ იადგარებში, სინ. 5-სა და გიორგი მთაწმიდელის მარხვანში შესულია კომპილაციური კანონის შემადგენლობაში, რომლის პირველი 3 ოდა (უგაღობდითსა, განძლიერდასა, მესმასა) ეკუთვნის ოროფანე აღმსარებელს. სინ. 5 ხელნაწერსა და გიორგის უკული მარხვანში ეს კომპილაციური კანონი შეიცავს II ოდასაც, რომლის ავტორია იოანე მინჩხი. ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში კოზმას ოთხსაგაღობელი ცალკეა გამოყოფილი და მოტანილია ახალი თარგმანით. ანალოგიური მდგომარეობაა ბერძნული და სლავური მარხვანების გამოცემებშიც. გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანში საგაღობელი შესული წინადროინდელი (სინ. 5-ისა და სინურ იადგარებში დაცული) თარგმანით, ოღონდ მისგან განსხვავებით, შეიცავს ახალ ტროპარებს, რომლებიც სხვაგან არ დასტურდება. ამ ტროპარების წარმომავლობის ახსნა დღეოსათვის ჭირს.

სამსაგალობლების ახალი თარგმანების შემოტანას-
თან ერთად, ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში ხდება
უკვე არსებული რეპერტუარის გადასინჯვაც, ბუნებრივია,
ამ შემთხვევაშიც ამოსავალია თანამედროვე ბიზანტიური
ტრადიცია.

როგორც აღვნიშნეთ, ეფრემისეულ მარხვანში ამო-
ლებულია სტეფანე საბაწმიდელის მარხვანისათვის გან-
კუთვნილ სამსაგალობელთა მთელი ციკლი. ცვლილებები
შეხებია სხვა ავტორებსაც.

ქართული მარხვანების მოწმობით, ყველიერის შვი-
ლეულისათვის განკუთვნილ საგალობელთა ერთ-ერთი ძი-
რითადი ავტორია ანტონ სტუდიელი. ადნიშნულ საგალო-
ბელთაგან ბერძნული მარხვანის გამოცემებში შემორჩენი-
ლია მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი. გიორგი მთაწმი-
ლელს ხელახლა უთარგმნია ბერძნულიდან ყველიერის
შვიდეულისათვის განკუთვნილი ანტონის ხუთივე სამსა-
გალობელი. ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში ყველა
მათგანი ამოღებულია და ეს გაკეთებულია ეფრემისათვის
ჩვეული სიზუსტით. ასე მაგ., ყველიერის სამშაბათს გი-
ორგი მთაწმილელის მარხვანში დაღებულია კომპილაციუ-
რი სამსაგალობელი, რომლის ავტორები არიან ანტონი,
იოსები და თეოდორე: „მოიხილესა, ჭმად დ გ რ. სასწაუ-
ლად იხილ. – ვცანთ და გულისჯმა-ვყავთ...“ ეფრემთან
ამოღებულია ანტონის ტროპარები, იოსების და თეოდო-
რეს ტროპარები კი გვხვდება ავტორებზე მითითებები-
თურთ. სწორედ იოსებისა და თეოდორეს ამ კომპილაცი-
ურ სამსაგალობელთან დაკავშირებით გვხვდება საანალი-
ზო მარხვანში ტერმინი „წართულნი“, რომელიც კომპი-
ლაციურს, რამდენიმე ავტორის საგალობელთაგან შედგე-
ნილს უნდა ნიშნავდეს.

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში ამოღებულია
დიდმარხვის I - VI შვიდეულებისათვის განკუთვნილი
ანდრეა კრიტელის სამსაგალობლებიც, რომლებიც შესუ-
ლია წინადროინდელ მარხვანებში. კერძოდ, გიორგი
მთაწმილელის მარხვანთან შედარებით, აქ ამოღებულია
ანდრეას შემდეგი სამსაგალობლები: 1) „მეორესა ოთხშა-
ბათსა. შენ, ქრისტე დმრთისა. – ჯუარისა სიმაღლესა...“ 2)

„მესამესა ორშაბათსა. ვმავ დ გ ი. გალობად შევწირობილი მტერისა საბრჭეთა შეკურობილი...“ 3) „მესამესა ორშაბათსა. ვმავ დ. წინა საუკუნე. – ანგელოზთა კრებულ-მან...“ 4) „მეექუსესა ხუთშაბათსა. ვმავ დ გ ი, მესმა მე, ქრისტე. – გამოვსნისა ჩუენისა.“ ანდრეას სახელი საანალიზო მარხვანში გვხვდება ვნების შვიდეულის სამსაგალობლებთან დაკავშირებით. სწორედ ანდრეასა და კოზმას სამსაგალობელთა ორი სრული კომპლექტია წარმოდგენილი აქ ვნების შვიდეულის თითოეულ დღეზე.

ამრიგად, ეფრემ მცირისათვის ამოსავალ ბერძნულ მარხვანებში, როგორც ჩანს, ანდრეა კრიტელი ძირითადად ვნების შვიდეულის სამსაგალობელთა ავტორად რჩება; დიდმარხვის დანარჩენი შვიდეულების სადა დღეებზე კი დადებულია 2 ავტორის – თეოდორესა და იოსების სამსაგალობელთა ციკლები.

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანის ერთ-ერთი თავისებურება და, ამავე დროს, სიახლე მდგომარეობს მცირე ფორმის საგალობელთა – სტიქარონების ახალი რეპერტუარის შემოტანასა და დამძვიდრებაში. მარხვანის ეფრემისეული რედაქცია საკმაოდ გრცელია. სხვა ფორმის საგალობლებთან ერთად, იგი შეიცავს 542 მცირე ფორმის საგალობელს – სტიქარონს. აქედან ნაწილი ტრადიციულია, წინადროინდელი ქართული ხელნაწერებიდანაა შესული, ნაწილი კი ახლადაა თარგმნილი ბერძნულიდან და პირველად ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში გვხვდება. ტრადიციული, ანუ წინადროინდელ ქართულ ტრადიციაში უკვე არსებული სტიქარონები ეფრემთან მხოლოდ მითითებულია დასაწყისი სიტყვებით, ბერძნულიდან ახლად თარგმნილი სტიქარონები კი ყოველთვის სრული ტექსტებითაა მოტანილი. ახლად თარგმნილ სტიქარონებთან ხშირ შემთხვევაში მითითებულია მათი რაობა. მარხვანის ამ ახალ რედაქციაში ძირითადად წარმოდგენილია შემდეგი სახის სტიქარონები: „უფალო დალადყავსა“, „აქებდითსა“, „გამოავლინე“, „სტიქარონი“. რით შეიძლება აიხსნას ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში მცირე ფორმის საგალობელთა ახალი, გრცელ რეპერტუარის შემოტანა? წინადროინდელ ქართულ მარ-

ხვანებზე, აგრეთვე მარხვანის მასალის შემცველ იადგა-
რებზე დაკირვება ცხადყოფს, რომ იქ კურადღება მიმო-
თადად გამახვილებულია კრცელი ფორმის პოეტურ საგა-
ლობლებზე – კანონებსა და სამსაგალობლებზე. როგორც
ჩანს, სტიქარონების – მცირე ფორმის საგალობლების
ნაკლებობას თავიდანვე განიცდიდა ქართული ჰიმნოგრა-
ფია. ალბათ ესეც უნდა იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმისა,
რომ იადგარიდან ცალკე კრებულად გამოყოფილი I ქარ-
თული მარხვანისთვის სტიქარონული ნაწილი ანუ დიდ-
მარხვის პერიოდისათვის საჭირო მცირე ფორმის საგა-
ლობელთა ძირითადი რეპერტუარი შეუქმნია თვით ამ
კრებულის რედაქტორსა და შემდგენელს – იოანე მინჩხს.
მონოგრაფიაში „იოანე მინჩხის პოეზია“ ჩვენ ვრცლად
განვიხილეთ I ქართული მარხვანის სტრუქტურა, სადაც
კარგად ჩანს, რომ მცირე ფორმის საგალობელთა ნაკლე-
ბობა ქართულმა მარხვანმა, როგორც ჩანს, ორიგინალუ-
რი საგალობლებით შეივსო (ხაჩიძე 1987).

ერთი მხრივ, მცირე ფორმის საგალობელთა თარგმა-
ნების ნაკლებობა და, მეორე მხრივ – მინჩხის საგალო-
ბელთა პოეტური ლირსებები უნდა იყოს მიზეზი იმისა,
რომ მარხვანის შემდგომდროინდელ რედაქციებში კვლავ
კანონებისა და სამსაგალობლების რეპერტუარის დახვე-
წა, გავრციობა და ბერძნულ ორიგინალებთან შემდგომი
დაახლოვება ხდება, მცირე ფორმის საგალობელთა რე-
პერტუარის ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს კი კვლავ
მინჩხის საგალობლები წარმოადგენს.

Ath. 45 ხელნაწერზე – ავტოგრაფულ პარაკლიტონზე
დართულ ანდერტში გიორგი მთაწმიდელი წერს: „და
იშვთანი არიან ქართულისაგან და რომელნიცა ქართულ-
ნი არიან და ჩუქუნ აღგბწერიან, ფრიად კეთილ არიან და
საწადელ...“ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ გი-
ორგი მთაწმიდელი – მთარგმნელი, რომელიც ბერძნულ
ორიგინალთან შემდგომი დაახლოვების მიზნით ხელახლა
თარგმნის ბერძნულიდან ანდრეა კრიტელის „დიდნი გა-
ლობას“ თუ იოანე დამასკელის „ადგგომის კანონს“,
ხელახლა უდარებს ბერძნულს წინადროინდელ ქართულ
მარხვანებში დაცულ საგალობლებს – ხელუხლებლად

ტოვებს მინჩხის მარხვანისათვის განკუთვნილ მრავალ-
რიცხოვან სტიქარონებს ავტორზე ზუსტი მითითებით
უფრო მეტიც, იოანე მინჩხის შემოქმედების კვლევისას,
ჩეენ საშუალება მოგვეცა დაგვედგინა, რომ გიორგი
მთაწმიდელი, მისი მუშაობის ხასიათიდან გამომდინარე,
საგანგებოდ ადგენს მინჩხის საგალობელთა ტექსტებს
წინადროინდელი ქართული ხელნაწერების მიხედვით (ხა-
ჩიძე 1987:79).

ეფრემ მცირე ბერძნულ ტრადიციასთან უკიდურესი
დაახლოვების მომხრეა. ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ
ეფრემის მიერ „უსაკუთრესითა სიტყვთა“ თარგმნილი იო-
ანე დამასკელის „აღდგომის კანონი“ (ხაჩიძე 2000: 127-
139), რამაც ცხადყო, თუ რა უკიდურესი სიზუსტით ასა-
ხავს ეფრემი ორიგინალის თითოეულ იკითხვისს. ამავე
მიზნით და სულისკვეთებითაა შედგენილი მისი რედაქცი-
ის მარხვანიც. თუ გიორგი მთაწმიდელისათვის უმთავრუ-
სი იყო მისი თანამედროვე და წინადროინდელი ბერინუ-
ლი მარხვანების მთელი რეპერტუარის წარმოდგენა, ყვე-
ლა არსებული საგალობლის შექრება, დადგენა და მარ-
ხვანის უნივერსალური კრებულის შედგენა, ეფრემისათ-
ვის ამოსავალია მისი თანამედროვე ბერძნული მარხვანის
უკიდურესი სიზუსტით ასახვა, როგორც ამ კრებულის
სტრუქტურის, ისე მასში დაცულ საგალობელთა თარგმა-
ნების ხასიათის გათვალისწინებით. ამით უნდა აიხსნას
ის გარემოება, რომ ეფრემის რედაქციის მარხვანში
გვხვდება მხოლოდ ბერძნულიდან თარგმნილი საგალობ-
ლები, მათ შორის სტიქარონები. აქ ადარ გვხვდება ორი-
გინალური ჰიმნოგრაფიის ნიმუშები. ამით უნდა აიხსნას
ის გარემოება, რომ მარხვანის ამ რედაქციაში მთლიანა-
და ამოღებული იოანე მინჩხის საგალობლები. მარხვა-
ნისთვის კი მინჩხს ეკუთვნის ვრცელი რეპერტუარი, მათ
შორის 98 მცირე ფორმის საგალობელი.

ბუნებრივია, მინჩხის საგალობელთა ამოღება სერიო-
ზულ ხარვეზს შექმნიდა დიდმარხვის ლიტურგიაში სწო-
რედ მცირე ფორმის საგალობელთა თვალსაზრისით.
ამიტომ მარხვანის ახალი რედაქციის შემდგენელს, პირ-
ველ ყოვლისა, „დანაკლისის“ აღდგენაზე უნდა ეზრუნა-

ამით უნდა აიხსნას მარხვანის ამ რედაქციაში ბერძნული-დან ახლად თარგმნილი მცირე ფორმის საგალობლების სისტარბე. ამ თარგმანების უმეტესი ნაწილი თვით ეფურემს უნდა ეკუთვნოდეს. მცირე ფორმის საგალობლებთან ეფურემი ისევე, როგორც მისი წინამორბედი, მთარგმნელებს არ ასახელებს. მთარგმნელები მისი რედაქციის მარხვანში ისევე, როგორც გიორგის თუ გქვთიმეს რედაქციის მარხვანებში, მითითებულია მხოლოდ ვრცელი ფორმის პოეტურ საგალობლებთან – კანონებთან.

ეფურემ მცირის მარხვანში ახალი თარგმანებით შესული მცირე ფორმის საგალობლების უმეტესი ნაწილი აკტორწაუწერელია, ანონიმური; რიგ საგალობლებთან კი მითითებულია მათი ავტორები. დავიწყოთ ამ უკანასკნელით.

ეფურემისეულ მარხვანში ახალი თარგმანებითაა შესული VII - IX საუკუნეების ბიზანტიურ პიმნოგრაფთა – იოანე დამასკელის, სოფრონ იერუსალიმელის, თეოფანე გრაპტოსის, ანდრეა კრიტელის, იოსებ მგალობლის, თეოდორე სტუდიელის, სტეფანე საბაწმიდელისა და კოზმა იერუსალიმელის სახელებით წარწერილი მცირე ფორმის საგალობლები. ეს საგალობლები ეფურემის წინადროინდელ ქართულ მარხვანებში არ გვხვდება. მათი თარგმნა ეფურემ მცირის მარხვანის ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს.

ბიზანტიური პიმნოგრაფის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ბიზანტიური პიმნოგრაფიის რეფორმატორის – იოანე დამასკელის სახელით ეფურემ მცირის რედაქციის მარხვანში წარწერილია ბერძნულიდან ახლად თარგმნილი (და ამიტომ სრული ტექსტებით მოტანილი) 7 მცირე ფორმის საგალობელი. ესენია: ჭორციელის შაბათისათვის განკუთვნილი 3 სტიქარონი: 1) „უფ. დაღატყავსა. ჭმად და გ ძ. დიდებად. – გვოდებ მწარედ...“ 2) „სხუანი. ბ გ ი. კაცთაფქს. – დასაბამ და არსება ჩემდა...“ და 3) „ჭმად ა. სასწაულთა მოქ. – დიდებულითა სათხოებათადთა...“ ბზობის კპრიაკისათვის განკუთვნილი 2 სტიქარონი: 4) „ჭმად ა. ნათელი ნათლისაგან. – სულმან ყოლად წმიდამან...“ და 5) „სხუანი. ჭმად და გ ი.- იხარებდ

ქალაქო დირსო, სიონ...“ ამ უკანასკნელის დახატვისთან ერთგული აშიაზე მიწერილია - „თვითნი“. 6) იოანესავე სახელითმა წარწერილი დიდი პარასკევის სტიქარონი - ჭმავ ა. „ნა- თელი ნა. - მოითხოვა იოსებ...“ და 7) დიდი შაბათის სტიქარონი - „ნათელი ნა. - დღეს ჯოჯოხეთი სულთქუ- მით გოდებს...“

ი. კარაბინოვის ნაშრომში „Постная Триодь“, რო- მელიც ეყრდნობა X - XVI საუკუნეების 8 ბერძნული „სტიქარონის“ ჩვენებებს, იოანე დამასკელის ზემოთ ჩა- მოთვლილი სტიქარონებიდან პირველი 3 - ხორციელის შაბათისათვის განკუთვნილი სტიქარონები არაა მოხსენი- ებული. ისინი სახელწაულერლადაა შესული ბერძნული და სლავური მარხვანების გამოცემებში. დანარჩენი 4 სტიქარონი კი (№№4-5-6-7) სტიქარონთა სხვადასხვა კრუ- ბულების მიხედვით მითითებული აქვს კარაბინოვს (კარა- ბინოვი 1910: 110-111). კერძოდ, ბზობის კვირიაკეზე დამას- კელის სტიქარონებს შორის იგი უთითებს შემდგებ მცირე ფორმის საგალობლებს: „Всесвятый Дух апостолы научитый глаголати“ და „Радуйся и веселися граде Сионе“. ბერძნული და სლავური მარხვანების გამოცემებში ისინი სახელწაუ- ლერლადაა შესული. იგივე უნდა ითქვას დიდი შაბათი- სათვის განკუთვნილ დამასკელის სტიქარონზეც „Днесъ аль стена вон: еть“. რაც შეეხება დიდი პარასკევისათვის განკუთვნილ დამასკელის სტიქარონს „ ჭმავ ა. ნათელი ნა. - მოითხოვა იოსებ...“ მასთან დაკავშირებით საინტე- რესო ვითარებაა. X - XVI საუკუნეების სტიქარონთა ბერ- ძნული კრებულების მიხედვით, ი. კარაბინოვი დიდი პა- რასკევისათვის უთითებს დამასკელის სხვა მცირე ფორ- მის საგალობლებს: „Уже омакается..“ ამავე დროს, იგი შენიშნავს, რომ ივირონის სტიქირარი №954 დამასკელის სახელით მოხსენიებს კიდევ 2 სტიქარონს: „Днешний день“ და „Прости Иосифъ“, რომლებსაც სხვა სტიქირარები თეოფანეს ან კოზმას მიაწერენ. კარაბინოვი ფიქრობს, რომ შესაძლოა, ივირონის სტიქირარის გადამწერი შეცდა გრაფიკულ ნიადაგზე იოანესა და თეოფანეს სახელების გამო (კარაბინოვი 1910: 110-111). ივირონის სტიქი-

რაოი №954 შედარებით გვიანდონდელია, თარიღდება 1539 წლით. მისი ჩვენების სიზუსტეს მხარს უჭერს უფრუქ
მცირის რედაქციის მარხვანი (XI საუკუნე), სადაც ამ
სტიქარონის ავტორად მითითებულია აგრეთვე იოანე და-
მასკელი. საინტერესოა, რომ ეფრემის მარხვანში დამას-
კელის ამ სტიქარონს წინ უძღვის 1 სხვა ტროპარი, იოა-
ნეს ავტორობის აღმნიშვნელი მონოგრამა კი მიწერილია
სწორედ იმ ტროპარის გასწვრივ, რომელიც იწყება სიტ-
ყვებით „მოითხოვა იოსებ“ (შდრ. „პრის იოსიფ“). საინ-
ტერესოა, რომ იმ ბერძნული სტიქარების მიხედვით,
რომლებსაც ეყრდნობა ი. კარაბინოვი, დამასკელის გვა-
ლა ეს სტიქარონი „თუთნია“. უძლისპიროდა ისინი შესუ-
ლი ბერძნული და სლავური მარხვანების გამოცემებშიც.
ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში 3 მათგანს (№4-6-7)
ძლისპირად მითითებული აქვს ერთი და იგივე სიტყვები:
„ნათელი ნათლისაგან“, №5 საგალობელთან კი მიწერი-
ლია „თუთნი“. ის გარემოება, რომ №4, №6, №7 საგალობ-
ლებს ერთი და იგივე ძლისპირი აქვთ, მხარს უჭერს კა-
რაბინოვის მიერ მათ მიჩნევას „თვითძლისპირ“ საგა-
ლობლებად. რაც შეეხება ხორციელის შაბათისათვის
განკუთვნილ სტიქარონებს, მათ განსხვავებული ძლისპი-
რები აქვთ.

ამრიგად, ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში ახა-
ლი თარგმანებით წარმოდგენილი იოანე დამასკელის
მცირე ფორმის საგალობელთა ერთი ნაწილი (№4,5,6,7)
ემთხვევა ბერძნულ - სლავური ხელნაწერების მონაცე-
მებს, ერთი მათგანი (№6) ნათელს ფენს დამასკელისადმი
მისი მიკუთვნების სისტორებს, სამი მათგანი კი (№1-2-3)
გამოქვეყნებულ ბერძნულ - სლავურ მარხვანებში სა-
ხელწაუწერლადა შესული. მსგავსი ვითარება IX საუკუ-
ნის ბიზანტიელ ჰიმნოგრაფთან - თეოფანე გრაპტოსთან
დაკავშირებითაც. ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში
მისი სახელით წარწერილია ბერძნულიდან ახლად თარ-
გმნილი 2 მცირე ფორმის საგალობელი. ესენია: 1) ყველი-
ერის ხუთშაბათის სტიქარონი - “ჭმად ა გი. სიბრძნე. –
ჯუარი უფლისად წადიერად...” და 2) დიდი პარასკევის
სტიქარონი - “ჭმად ა გი. – დღეს შეიცავს საფლავი...”

I მათგანი სახელწაუწერლადაა შესული ბერძნული და სლავური მარხვანები პუბლიკაციებში, ი. კარაბიზე ნაშრომში კი მითითებული არ არის ანონიმურობის გამო. თეოფანეს სახელით წარწერილი II მცირე ფორმის საგალობელი კი შესაბამის დღეს (დიდ პარასკევს) შესულია ბერძნულ სტიქირარებში. კარაბინოვი უთითებს მის დასაწყისსაც: “Днесь содержите гробъ“.

ბიზანტიური ეკლესიისა და სასულიერო პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ბერძნული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი თეოფანე გრატოსის შემოქმედების შესწავლისათვის ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს იმ თვალსაზრისით, რომ შეიცავს დიდი პარასკევისათვის განკუთვნილ ვრცელი ფორმის პოეტურ საგალობელს – პიმნოგრაფიულ კანონს, რომელიც ჩვენ საგანგებოდ განვიხილეთ (ხაჩიძე 2000: 140-158). კანონის მთარგმნელია ეფრემ მცირე. თეოფანე გრაპტოსის პიმნოგრაფიული კანონისა და მისივე მცირე ფორმის საგალობლების თარგმანები ახლოსაა ერთმანეთთან, რაც მოწმობს, რომ ყველა მათგანი შესრულებული უნდა იყოს ერთი პირის – ეფრემ მცირის მიერ.

ჭორციელის შაბათის მწუხრის განგებაზე მარხვანის ახალ რედაქციაში დადებულია ანდრეას სახელით წარწერილი მცირე ფორმის საგალობელი – „უფ. დადატყვავსა. მდინარე. - რაჟამს დაიდგინენ საყდარნი...“ ანდრეას სახელით ბერძნული მარხვანებში ცნობილია ორი პიმნოგრაფი – ანდრეა კრიტელი და ანდრეა პიროსი. ჩვენთვის საინტერესო სტიქარონის ავტორი შესაძლოა ანდრეა კრიტელი იყოს, რადგან ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში, ჩვეულებრივ, ერთი და იგივე ავტორის სხვადასხვა სახის საგალობლებია შესული. ანდრეა კრიტელს კი მარხვანის ამ რედაქციაში ეკუთვნის 2 პიმნოგრაფიული კანონი და სამსაგალობლების ციკლი. ანდრეა კრიტელის სახელითაა წარწერილი კიდევ ერთი მცირე ფორმის საგალობელი, ტომელიც მითითებულია სამეცნიერო ლიტერატურა-ფრემისეულ მარხვანში გადასულია წინადროინდელი ქართული თარგმანი. რაც შეეხება ჭორციელის შა-

ბათისათვის განკუთვნილ ზემოთაღნიშნულ მცირე ფორ-
მის საგალობელს, იგი სრული ტექსტითაა შესული ეჭრება და მისეულ მარხვანში და, ამდენად, ახლადაა თარგმნილი
ბერძნულიდან. ეს საგალობელი არ არის მითითებული
სამეცნიერო ლიტერატურაში არც ანდრეა კრიტელთან და
არც ანდრეა პიროსთან დაკავშირებით. მისი კვალი ჩანს
ი. კარაბინოვის მიერ შედგენილ იმ ანონიმურ საგალო-
ბელთა ნუსხაში, რომელიც მხოლოდ უძველეს ბერძნულ
ტრიოდიონებში გვხვდება. სწორედ ამ ნუსხაშია მითითე-
ბული შესაბამის დღეზე ჩვენთვის საინტერესო მცირე
ფორმის საგალობელი: „පდ.“ – „Оте ზღόνი εις κρίσιν ταθώσιν
Κύριε“ (კარაბინოვი 1910: 251). ეს სტიქარონი სახელწა-
უწერლად ყოფილა შესული ბერძნული ტრიოდიონის უძ-
ველეს ნუსხაში – სინ. №734. რაც შეეხება ბერძნული და
სლავური მარხვანების არსებულ პუბლიკიციებს, შესაბა-
მის დღეზე იქ სახელწაუწერლადაა შესული მცირე ფორ-
მის საგალობელი, რომელიც სიტყვასიტყვით არ ემთხვე-
ვა აღნიშნულ სტიქარონს, მაგრამ ეს მაინც ერთი და იგი-
ვე საგალობელია (ტრიოდიონი 1879: 32).

„Глас и. – Егда поставяется престоли...“ (სლავური მარ-
ხვანი 1975: 49-50).

ამრიგად, ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანი ერთა-
დერთი ხელნაწერია, რომელშიც სტიქარონის ტექსტთან
ერთად, დასახელებულია მისი ავტორიც - ანდრეა. ამ-
რიგად, უძველეს ბერძნულ მარხვანში ანონიმურად შესუ-
ლი ამ საგალობლის ავტორის დადგენის საშუალებას იძ-
ლება მისი ქართული თარგმანი, დაცული მარხვანის
ახალ რედაქციაში.

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში ახალი თარ-
გმანებითაა შესული თეოდორე სტუდიელის 2 მცირე
ფორმის საგალობელიც: 1) ჭორციელისა კვირიაკესა. მწუხარი.
ჭმავ ბ. ვითარცა იგი პირველად. – მარხვავ ყო-
ლადვე... და 2) მეხუთესა ხუთშაბათსა. მწუხარი. მჯდომა-
რე. – პირველითა მით გარდახლვითა...

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ თეო-
დორე სტუდიელს, სხვა სახის საგალობლებთან ერთად,

მარხვანისათვის შეუქმნია მცირე ფორმის საგალობლებული სამსახურის მიერ და სამსახურის მსგავსად, მისთვის სტიქარონებიც „სხუანებს“ წარმოადგენს – შექმნილია წინამორბედთა მიერ შემოღებულ რიტმულ-მელოდიურ საზომებზე. ხმების თვალსაზრისით ისინი თანხვდება შესაბამისი დღეებისათვის განკუთვნილ ამავე ავტორის სამსახურის დღეებს.

ეფრემისეულ მარხვანში სრული ტექსტებით შესული თეოდორეს ზემოთაღნიშნული 2 მცირე ფორმის საგალობელი შესაბამის დღეებზე ავტორწაუწერლადაა შესული ბერძნული და სლავური მარხვანების გამოცემებში: 1) Τῇ β'. πρωὶ, εἰς τὸν στίχον. τὸ παρόν. Ἰδιόμελον. Ἡχος γ'. – Πάντα τὸν χρόνον. „На стиховне. стихира самогласна. Глас г. на всякое время...“ 2) Καὶ ψάλλομεν τὸ Ἰδιόμελον. Ἡχος πλ.δ'. - Αύτεξουσιώς ἔξεδυθην... „Поем самогласен. дважды. Глас г. Самовластно совлекохся...“

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში სრული ტექსტითაა შესული ბერძნულიდან ახლად თარგმნილი საინტერესო მცირე ფორმის საგალობელი – „ვმავ ბ გ ბ. მდინარენი. – სტადიონი სათხოებათავა...“ იგი განკუთვნილია ყველიერის კვირიაკისათვის. დასაწყისთან აშიაზე მიწერილია ავტორი - „სტეფანე“. VIII საუკუნის ამ საინტერესო ბიზანტიულ პიმნოგრაფზე, ი.კარაბინოვის სიტყვით, თითქმის მხოლოდ სახელით ვიცნობთ. მისი შემოქმედების ძირითადი ნაწილის რეკონსტრუქცია დღეს მხოლოდ ქართული თარგმანებითაა შესაძლებელი. ამას ემატება ეპრემ მცირის მარხვანში სტეფანეს სახელით წარწერილი ზემოთ აღნიშნული სტიქარონი, რომელიც ბერძნული და სლავური მარხვანების არსებულ პუბლიკაციებში შესული აღმოჩნდა სახელწაუწერლად. აქ იგი გაყოფილია 2 თოთოგროპარიან საგალობლად; ამასთან, ჯერ მოდის II ტროპარის შემცველი საგალობელი: „Οἴμοι! ὁ Ἄδαμ ἐν θρήνῳ...“ (ტროდიონი 1879: 107). „Самогласны. – Увы мне. Адам рыданием...“ (სლავური მარხვანი 1975: 144). შემდგებ მას მოსდევს I ტროპარისაგან შედგენილი საგალობელი:

„Τό στάδιον τῶν ἀρετῶν“ (Γροποδονο 1879: 144 -145). Μωζης
Γαντ σεργιανής αθήνας αδη σαρανδοβλούς I Γροπαρούς καρτζέζ
ταρχόμαντες γραμμή μεταρούς ρεδακτούς μαρκενίσ μέθεζε
γιοτ:

γεγελογερούς αριστοκράτες αράθιστοις γεγελογούς.
διάδο.

Σεργαδονούς σατυρογέδαταρα γανδερέζεζ ερσ,
ρομηλταρ γερέδαρ γεγελγαρ, γεγελοτ
δα μαρκενίσαρ γερέδαρ δηγαντέζεζ ερτοιλαρ μοιράζεζ
νέτ,

ραμετερ γρομηλταρ

σιδερότορ οργαντέρον

δα σχελογεράραρ

ρετραγένονταραν-ογκένεδιαν.

αλγοιροτ γρολαρ σακτεργελιο γεράρισαρ

δα γανεγέζεζεζερ μερερσαρ γερολαραρ

δα θερεδερ

γεγερέζεζελαρ

γεγειθδεζοτ μερκαρεζερ σαρντμενερεδαρ

δα ναρελαρ δακτέσα

γεγειθδεζοτ λορεζερ φιμοιρα

δα κατεργέραρ δαργοιραρ μεργαλερέδαρ

δα μακελαρ ορκοιραρ γριγαροτ μαρκενίσαρ,

ρομηλοι μοκκετερ γρωγελταρ δηρορέτα

ρενέδισαρα

δα ρομηλοι σαρροδερες γεσρετερ γετοιλαρ

ρετραγένονταρ διρεδεδισασαρ διορε-ογκένεσ δαρδαρ

δα σαμδαρ δελεγοισα

γεγειθδεζοτ γρωγελτα

μεργοισαρα

ρελεσαρ μασ σασινερελσαρ σασιγελοισασα,

ρομηλοισ μορεδερα

ροιρε-ρεγερε, κριστερ μεργερ,

ρενεταρ δηροτοισθερδελοισαρα,

ეთიომოწვევა ხან მრავალმოწყალე.

ეფიქრობთ, საგალობელი ნათელი დადასტურებაა სტეფანე საბაშმიდელის შემოქმედების მხატვრული სრულყოფისა. მის I ტროპარში, რომელიც ერთგვარად, სტიქარონის დამოუკიდებელ ნაწილს წარმოადგენს, მარხვა გააზრებულია თავგანწირულ, ფიცხელ ბრძოლად, „ღუაწლად“, რაც დამახასიათებელი იყო შეა საუკუნეების რელიგიურ - ფილოსოფიური აზროვნებისათვის და რაც განსაკუთრებით ახლობელი აღმოჩნდა ქართველი აგიოგრაფებისა თუ პიმზოგრაფებისათვის. „გობრონის წამების“ ავტორი თუ I ქართული „მარხვანის“ შემდგენელი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ მოწამეების თუ მმარხველთა სამოღვაწეო ასაპარეზის ბრძოლის ველად გააზრებაზე. აღნათ ესეც უნდა იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ სტეფანე საბაშმიდელის აღნიშნული საგალობელი ქართულად ადექვატური თარგმანითაა გადმოცემული.

საგალობლის II ნაწილში – II ტროპარში ყურადღება მახვილდება ადამის ექსორიობაზე, რადგან ამ დღეს ეს ხსენებაა დადებული ეფრემის მარხვანში. უნდა ვიფიქროთ, რომ მთარგმნელი აქაც შესანიშნავად ახერხებს სტეფანეს საგალობლის განწყობილების გადმოცემას. საგალობლის ეს ნაწილი განსაკუთრებული სიცხადით მოწმობს, რომ მისი მთარგმნელი იგივე პირი უნდა იყოს, ვინც იშვიათი მხატვრული ძალის მევით შეძლო თეოფანე გრაპტოსის დიდი პარასკევისათვის განკუთვნილი „ღვთისმშობლის გოდების“ თარგმნა.

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში ჭორციელის შაბათის მწუხარზე შესულია ბერძნულიდან ახლად თარგმნილი 5 მცირე ფორმის საგალობელი, რომელთა ავტორები არიან ანდრეა კრიტელი, იოანე დამასკელი და იოსებ მგალობელი, 2 მათგანი კი ანონიმურია. ქართული მარხვანის წინადროინდელ რედაქციაში, რომელიც გიორგი მთაწმიდელს ეკუთვნის, დადებულია მხოლოდ 2 მცირე ფორმის საგალობელი, რომელთა ავტორია იოანე მინჩხი. აღნიშნული განგების სიმცირით უნდა აიხსნას ის გარე-

მოება, რომ მარხვანის ახალი რედაქციის შემდგენელს სტიქარონთა ჯგუფი უთარგმნია ბერძნულიდან. ამ ძხოვანი თარგმანთა შორისაა თვალსაჩინო ბიზანტიელი პიმნოგრაფის – იოსების 1 მცირე ფორმის საგალობელი „ქმაღლ და განისაზღვრი მარხვანების პუბლიკციებში იგი შესულია სახელწაურებლად: (ტრიოდიონი 1879: 43); (სლავური მარხვანი 1975: 65).

ბზობის კვირიაკეზე - „კურიაკესა ბადათასა“ ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში დადებულია სტიქარონი - „ამაღლდი ზეც. - საშინელ არს შევრდომაღ...“ დასაწყისთან მიწერილია ავტორი - „სოფრონ“. სოფრონის სტიქარონს მოსდევს 3 ავტორწაურებელი მცირე ფორმის საგალობელი: 1) მჯდომარე, - ბოროტო და მემრუშეო...“ 2) სიბრძე, - მორავ-ვიდოდა ქრისტე...“ და 3) „მოვედით აღ. - მივიწიენით მორწმუნებო...“ შემდეგ კი მოდის კოზმას სახელით წარწერილი სტიქარონი. გადაჭრით ძნელია თქმა, მაგრამ შესაძლებელია დავუშვათ, რომ სოფრონს უნდა ექუთვნოდეს მისი სახელით წარწერილი საგალობლის მომდევნო 3 სტიქარონიც...

ეს სოფრონი უნდა იყოს VII საუკუნის იერუსალიმელი პატრიარქი (634 - 644წ.წ.), რომლის სახელი არ ჩანს წინადროინდელ ქართულ მარხვანებში. დღეისათვის გამოვლენილი მასალების მიხედვით, ამ მეტად საინტერესო ავტორის გამოჩენა ქართულ პიმნოგრაფიაში ეფრემ მცირის სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული.

სოფრონ იერუსალიმელის შემოქმედების კვლევა დღეისათვის ძალზე გართულებულია. ბერძნულ-სლავურ ხელნაწერთა ერთი ჯგუფი მას მიიჩნევს ვნების პარასკევის განვლენილი მასალების მიხედვით, ამ მეტად საინტერესო ავტორის გამოჩენა ქართულ პიმნოგრაფიაში ეფრემ მცირის სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული.

საფიქრებელია, რომ დიდი პარასკევის ჟამისწირვის და შუაღამის დასდებლები (ტროპარები) სოფრონამდვე დღეს დი ხნით ადრე არსებობდა და შემდეგაც განიცადა ცვლილება, ამიტომ მისი წვლილის გამოყოფა დღეისათვის შეუძლებელია. ამ განგებათათვის განკუთვნილი ანტიფონზე ბი და ტროპარებიც სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა პირთა მიერ უნდა იყოს შექმნილი. „შესაძლოა, აქ არის წმ. სოფრონის ნამოღვაწარი, მაგრამ მისი განსაზღვრა შეუძლებელია“ (კარაბინოვი 1910: 92). ვარაუდობენ, რომ სოფრონს უნდა ეკუთვნოდეს დიდი პარასკევის ჟამისწირვისათვის განკუთვნილი ის 5 საგალობელი, რომელიც საერთოა დიდი პარასკევის განგებასთან. გამოთქმულია ვარაუდი იმის შესახებაც, რომ სოფრონს მიეწერებოდა მხოლოდ დიდი პარასკევის ჟამისწირვის დასდებლები (ტროპარები). ყოველივე ზემოთქმული ვარაუდის სფეროში რჩება და დღეს გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელდება.

ხელნაწერთა ერთი ჯგუფი სოფრონს მიაწერს შობის და გამოცხადების ტროპარებს. ივირონის სტიქირარი № 954 კი მას მოიხსენიება ანდრია მოციქულისადმი მიძღვნილი „თვათძლისპირის“ ავტორად. ერთი ცხადია, VII საუკუნის იერუსალიმელ პატრიარქს – სოფრონ იერუსალიმელს, როგორც ჩანს, სერიოზული მუშაობა ჩაუტარებია ლიტურგიკისა და პიმნოგრაფიის სუეროში, მაგრამ დღეს მისი ლგაწლის განსაზღვრა თითქმის შეუძლებელია. ბერძნული და სლავური ხელნაწერები მას მიაწერენ სხვადასხვა საგალობელს, მაგრამ არცერთ მათგანში არაა აღნიშნული, რომ სოფრონს ეკუთვნის ბზობის კვირიაკისათვის განკუთვნილი მცირე ფორმის საგალობელი (ამაღლდი ზეცა. საშინელ არს შევრდომავ) და, შესაძლოა, მისი მომდევნო 3 სტიქარონი. ბერძნული და სლავური მარხენების არსებულ პუბლიკაციებში სოფრონის ეს მცირე ფორმის საგალობელი სახელწაუწერლად აღმოჩნდა შესული: (ტრიოდიონი 1879: 615). „Стих. Воспойте господи вы. – Страшно еже...“ (სლავური მარხენი 1975: 34).

ეფრემ მცირის რედაქციის მარხენი მისი ავტორის დადგენის საშუალებას იძლევა. მოვიტანთ სოფრონის სახელით წარწერილი 1-ტროპარიანი საგალობლის ტექსტს:



ეროვნული კურსებისა ბაითასა. ჭმად ა გ ი. ამაღლდი ზეც ულიკოვის

საშინელ არს შევრდომად ჭელთა ღმრთისა ცხოველისათა, რამეთუ ესე არს განმკითხველი გონებათა და ზრახვათა გულისათავ, ნუვინ შევალნ განცდად სარწმუნოებისა უბიწოდესა, არამედ შიშით და სიმშვიდით ქრისტესა ღმერთსა შეუვრდეთ და გევედრნეთ, რადთა მივიღოთ ჩუენ წყალობად და ვპოოო მაღლი ჟამსა შეწვენისასა.

მომდევნო საგალობლებიც, რომლებიც სოფრონსვე უნდა ეკუთვნოდეს, თითო ტროპარისაგან შედგება. ამრიგად, თვით ფორმაც მიუთითებს მათ სიძველეზე.

სოფრონის მოტანილი საგალობელი, მიუხედავად სიმოქლისა, ავტორის თეოლოგიურ განსწავლულობასა და უდრმეს პოეტურ განცდებს მოწმობს. მაცხოვარი აქ გააზრებულია, როგორც არა მხოლოდ ცოდვათა, არამედ გულისთქმათა და ბიწიერ ფიქრთა განმკითხველიც.

ბიზანტიური პიმნოგრაფიის ეს ერთ-ერთი უძველესი ნიმუში შექმნილია VII საუკუნეში ანუ ბიზანტიური პიმნოგრაფიის რეფორმამდე. ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში მას მითითებული აქვს ძლისპირი - „ამაღლდი ზეც“. ეს ძლისპირი, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში დაერთო სოფრონის 1-ტროპარიან დასდებელს. ბერძნულ - სლავური მარხვანებში სხვა ძლისპირია მითითებული.

ეფრემ მცირის მიერ შემოტანილ სიახლეებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბიზანტიური პიმნოგრაფიის რეფორმატორის, იოანე დამასკელის თანამოაზრისა და თანამოღვაწის - კოზმა მაიუმელის ანუ იერუსალიმელის საგალობლები. ვნების შვიდეულისათვის განკუთვნილ კოზმას კანონისა და სამსაგალობლების ახალ თარგმანებთან ერთად, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ, ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში გვხვდება ამა-

ე ავტორის ბერძნულიდან ახლად თარგმნილი 3 მცირე ფორმის საგალობელიც. ესენია: 1) ბზობის კვირია გვის სტიქარონი „ჭმა ა გ ი. გიხაროდენი. – უფალო, მოშავალო ვნებად.. 2) დიდი სამშაბათის სტიქარონი „ჭმა ა. კპა, დიდებული საკპ. – ბრწყინვალებასა წმიდათა შენთასა...“ და 3) დიდი ოთხშაბათის „თუთნი“ სტიქარონი „ჭმა ბ გ ი. – იუდა მზაკვარმან...“

დღეისათვის გამოქვეყნებულ ბერძნულ და სლავურ მარხვანებში I მათგანი არ არის შესული; დიდი სამშაბათისათვის განკუთვნილი სტიქარონი კი სახელწაუწერლადაა შეტანილი: „Стихира самогласна. глас а.-Во светлостех святых твоих...“ (სლავური მარხვანი 1975: 64). ბერძნული და სლავური მარხვანების პუბლიკაციებში სახელწაუწერლად აღმოჩნდა შეტანილი კოზმა იერუსალიმელის დიდი ოთხშაბათისათვის განკუთვნილი მცირე ფორმის საგალობელიც; „Седален. глас д. подобен. Удивися Иосиф. – Иуда пьстец...“ (სლავური მარხვანი 1975: 75).

კოზმას ამ სტიქარონების ქართული თარგმანები ძორითადად თანხვდება დღეისათვის გამოქვეყნებულ მათ ბერძნულ ორიგინალებს. განსხვავებაა მხოლოდ მათ საზომებს შორის. დიდი სამშაბათისათვის განკუთვნილ მცირე ფორმის საგალობელი ბერძნულ - სლავური მარხვანების მიხედვით „თუთნია“, ეფრემთან კი მითითებულია ძლისპირი - „კპა, დიდებული საკურველი“. განსხვავებული ვითარებაა დიდი ოთხშაბათისათვის განკუთვნილ სტიქარონთან, რომელიც ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანის მიხედვით „თუთნია“ და ეს საგანგებოდაცაა აღნიშნული, ბერძნულ - სლავურ მარხვანებში კი მითითებულია ძლისპირი.

ეფრემის მარხვანში სრული ტექსტებით დაცული სტიქარონების დიდი ნაწილი ანონიმურია. ამ სახის საგალობლები დღეისათვის ნაკლებადაა შესწავლილი, ამიტომ მათი ქართული თარგმანების კვლევა ძნელდება. საანალიზო მარხვანში სრული ტექსტებით შესული (როგორც ავტორწარწერილი, ისე ანონიმური) საგალობლების ქართული თარგმანები ერთმანეთთან ახლოს დგას

და მათი ძირითადი ნაწილი ერთი მთარგმნელის ხელიდან უნდა იყოს გამოსული.

ხმარებიდან გამოსული, უძველეს ბერძნულ ხელნაწერებში დაცული სტიქარონების იმ ნუსხაში, რომელიც შედგენილია ი. კარაბინოვის მიერ, შესული აღმოჩნდა საანალიზო მარხვანში სრული ტექსტების შესული 9 მცირე ფორმის საგალობელი. მოვიტანთ მათ ნუსხას:

1. მეზვერისა და ფარისევლის კვირიაკე. ჭმავ ა. კადიდებული. ნუმცა ვილოცავთ ფარისევლისაებრ... მარავასი
2. გამოავლინე. ჭმავ დ გ~ი. – ჭმასა მას მეზუერისასა... კორციელისა შაბათსა მწუხერი. ჭმავ ბ გ~ი; უფ; ღაღატყავსა. დიდებავ. მდინარე. – რაჟამს დაიდგინენ საყდარნი
3. ყველიერისა კპრიაკესა. ჭმაი ბ გ~ი. – განიდევნა ადამ...
4. გამოავლინე. ჭმავ ბ. დედანო. – ვდემით განძებულ ვიქმენ...
5. პირველსა შაბათსა. დიდებასა ზედა. ჭმავ ა. – წამებისა სტადიონი...
6. პირველსა კპრიაკესა. ლიტანიისავ. ჭმავ ბ. – უხრწელსა ხატსა შენსა...
7. კპრიაკესა ბადათასა. ჭმავ ა გ~ი. გიხაროდენნი. – უფალო, მომავალი ვნებად...
8. დიდსა ოთხშაბათსა. ჭმავ ბ. მჯდომარე. – ოდეს ცოდვილი შესწირვიდა მირონსა...“

ამ საგალობლების შემცველი ბერძნული ხელნაწერები X - XV სს-ებით თარიღდება, 2 მათგანი კი (№1 და №9) შესულია XII - XIII-ებით დათარიღდებულ 3 სლავურ ხელნაწერში. საანალიზო მარხვანში დაცულია მათი ქართული თარგმანი, შესრულებული XI ს-ში, რის გამოც მას მნიშვნელობა ენიჭება ამ საგალობლების ტექსტის დაღგენისათვის. საინტერესოა ისიც, რომ ანონიმურად მიჩნეულ ამ სტიქარონთაგან ერთ-ერთი (№8) საანალიზო

მარხვანში „კოზმას“ სახელითაა წარწერილი და, ამდენად ნად, მისი ავტორის დადგენა ხერხდება.

ი. კარაბინოვის მიერ შედგენილ ნუსხაში გვხვდება კიდევ რამდენიმე სტიქარონი, რომელთა დასაწყისები გაგონებს საანალიზო მარხვანში შესულ სტიქარონებს, მაგრამ ორიგინალებთან შედარების გარეშე ძნელია მათი იდენტურობის მტკიცება.

მარხვანის ახალი რედაქციისათვის დამახასიათებულია სტიქარონთა მთელი კომპლექტების შემოტანა. ეს მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა. ახლად თარგმნილ სტიქარონთა ძირითადი ნაწილი პირველად შემოდის ქართულ მარხვანებში, მეორე ნაწილი ადრეც ყოფილა თარგმნილი ქართულად, ეფრემს კი მათი ახალი თარგმანები მოაქვს.

სტიქარონთა პირველი ასეთი კომპლექტი გვხვდება ყველიერის ხუთშაბათს სათაურით : „იბაკონი სულისანი. ოდესცა ვის გინდენ“ (221r-222v). ესაა ვრცელი მასალა, რომელიც შედგება 26 ტროპარისაგან. ტროპარები დანომრილია ასოებით: „ა,ბ,გ... კვ“, რომლებიც მიწერილია აშიაზე.

„იბაკონი და წარდგომანი სულთანი“ გვხვდება ჯერ კიდევ „უძველეს იადგარში“ (უძველესი იადგარი 1980: 352-354). ამავე კრებულში სათაურით „სულთანი“ შესულია საგალობლების სხვა ჯგუფიც, რომელიც მოთავსებულია საწელიწდო ნაწილის ბოლოს – თარიღზე მითითების გარეშე (უძველესი იადგარი 1980: 327-333). „უძველესი იადგარის“ სულის დასდებლები შეისწავლა ლ. ხევსურიანმა (უძველესი იადგარი 1980: 736-740). მისი დაკვირვებით, შესვენებულთა ანუ სულის სსენება თავდაპირველად დაწესებული ყოფილა ყველიერის შაბათს, რომელმაც დროთა განმავლობაში ზოგადი შინაარსი შეიძინა. „უძველეს იადგარში“ აისახა ის ეტაპი, როცა აღნიშნული სსენება დაშორდა თავის თავდაპირველ ადგილს და გადაიქცა ზოგადი შინაარსის საშაბათო მასალად. შემდგომში ყველიერის შაბათს დამკვიდრდა მამათა სსენება. შესვენებულთა სსენება არ ამოუღიათ, მაგრამ კონკრეტულ

დღესთან დაკავშირებით აღარ ჩანს (უძველესი იადგარებული 1980: 736-740).

სინ. 34 ხელნაწერში (Xს. შუა წლები), რომლის შემდგენელი და ერთ – ერთი გადამწერია იოანე – ზოსიმე, ზოგად დღესასწაულთა ჯგუფი ცალკეა გამოვოფილი სათაურით „შეკრებულად მსგებსისა დღესასწაული“. იოანე-ზოსიმე ძირითადად იადგარის მასალას ეყრდნობა.

სინ. 5 ხელნაწერში სულთა ხევნება დადებულია ხორციელის შაბათს, რასაც მოწმობს შემდეგი შენიშვნა: „კორციელისა შაბათსა ჭენებად აღესრულების ბერძულად სულთა ყოველთა. დასდებელი, უფ. დადატყავსა და გალობანი პარაკლიტონსა შინა დამიწერია. შემინდევ, აქა ვერდარა შემეძლო“ (28v). ამრიგად, გადამწერს ეს მასალა აღარ მოუტანია, რადგან იგი პარაკლიტონში პქონია შეტანილი.

მსგავსი ვითარებაა გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფიულ მარხვანში. ხორციელის შაბათს აქ დადებულია მამათა ხევნება და შესაბამისი საგალობლები, რასაც მოსდევს შენიშვნა: „სულისა დასდებელი... სტიქარონთა შინა პჰოვო...“ (3v). ამრიგად, აქაც სულთა ხევნება ხორციელის შაბათსაა დადებული.

საინტერესოა, რომ მარხვანის ახალ რედაქციაში ეს მასალა კვლავ ყველიერის შვიდეულზეა განწესებული, როგორც უძველეს ტრადიციაში. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ყველიერის შაბათის მაგიერ იგი ყველიერის ხუთშაბათსაა დადებული. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ყველიერის შაბათს უკვე მამათა ხევნება იყო დამკვიდრებული. საანალიზო მარხვანში საგალობელთა ამ ჯგუფზე დართულ სათაურში მითითებულია მათი ზოგადი შინაარსი: „ოდესცა ვის გინდენ“. ამრიგად, მარხვანის ამ რედაქციის შემდგენელი ითვალისწინებს სულის დასდებლების ისტორიასაც და მათ შინაარსსაც. ამგვარი კვლევა დამახასიათებელია ეფრემ მცირის მოღვაწეობისათვის. კ. ხინთიბიძის მიერ გამოვლენილია ეფრემის მოღვაწეობის მეცნიერული ხასიათის დამადასტურებელი ოვალსაჩინო მაგალითები (ხინთიბაძე 1982 : 176-179). სახარების ერთი ფრაზის დასადგენად ეფრემი საგანგებოდ

სწავლობს ქართული სახარების სხვადასხვა ნუსხების გადაწყვეტილების ჩვენებებს, აგრეთვე ბერძნული სახარების ტექსტის აღმოჩენის რიას და ნათელყოფს, რომ მისთვის საინტერესო ქართული თარგმანი უკრძალობა IV საუკუნეში გავრცელებულ ბერძნულ რედაქციას (ხინთიბაძე 1982: 183). საგანგებო კვლევა ჩაუტარებია მას „ასკეტიკონის“ ავტორის დასადგნადაც (ხინთიბაძე 1982: 183). ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაშიც.

ეფრემ მცირის მიერ ჩატარებული ტერმინოლოგიური კვლევის მაგალითი განხილული აქვს ე. ჭელიძეს (ჭელიძე 2001: 136).

„იბაკონი სულისანი“ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მხატვრული ოვალსაზრისით. აქ საოცარი ძალითაა დამუშავებული სოფლისა და ზესთასოფლის მიმართების საკითხი. საგალობლის ლირიკული სუბიექტია მიცვალებული, რაც მის ზემოქმედებას კიდევ უფრო ზრდის. „იბაკონი სულისანი“ მთლიანი საგალობლის შთაბეჭდილებას ტოვებს. წინადროინდელ ქართულ ხელნაწერებში იგი შესული არ არის. არ გვხვდება იგი არც ბერძნულ - სლავური მარხვანების პუბლიკაციებში, მხოლოდ ხორციელის შაბათს დადგებული რამდენიმე ტროპარი შეესაბამება მის ზოგიერთ მონაკვეთს.

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში „იბაკონი სულისანი“ სახელწაუწერლადაა შესული.

ყველიერის კვირიაკეს ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში შესულია 4 „თუთნი“ სტიქარონი, რომლებიც ეძღვნება ამ დღეს დადგებულ „აღამის ექსორიობას“. ეს სტიქარონები შესულია ბერძნულ - სლავურ მარხვანებში, ოღონდა გაბნეულად - ამავე დღეს, სხვადასხვა ფუნქციით, უძლისპიროდ.

9 ახალი სტიქარონია შეტანილი საანალიზო მარხვანში I შაბათს, სათაურით „სტიქარონი წმიდისანი“. ისინი ეძღვნება ოეოდორე ტირონს, რომლის სხენებაც დადგებულია ამ დღეს. მათი უმეტესობა შესულია ბერძნულ - სლავური მარხვანების პუბლიკაციებში შესაბამის დღეებზე. აქ ყველა შემთხვევაში ზუსტადაა მითითუბული საგალობელთა რაობა და დანიშნულება.

ეფრემთანაც შეიმჩნევა ამის მცდელობა. ასე მაგთ სტიქტონის „ორდანოდ იკუმია...“ აშიაზე მიწერილი აქებითი რაობა და ლიტურგიკული ფუნქცია - „უფ. დაღატყავსა. დიდებასა ზედა“; VIII სტიქარონის გასწვრივ კი („წმიდა-სა ეველრე ცხორებად...“) აშიაზე მიწერილია - „აღვიგსფ-ნითსა. დიდებასა“ ბერძნულ - სლავურ მარხვანებშიც ეს სტიქარონები სწორედ „დიდებასა ზედაა“ დადგებული.

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში 4 ახალი სტი-ქარონია დადგებული IV სამშაბათს სათაურით „სტიქარონ-ნი ჯეარისანი“. ეს სტიქარონები შესულია ბერძნულ - სლავურ მარხვანებშიც. საინტერესოა, რომ ტექსტთან ერ-თად, ემთხვევა მათი საზომებიც. ასე მაგ. IV სტიქარონ-თან - „გხედვიდეს-რად“ ბერძნულ მარხვანში მიწერილია „Idiōμελον“, სლავურში „самогласен“. ეფრემთან იგი ძლის-პირზე მითითების გარეშეა შესული და, ამრიგად, იგუ-ლისხმება, რომ ეს მართლაც „თვთძლისპირია“.

დიდმარხვის V ხუთშაბათს, „დიდნი გალობანის“ წინ, ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში შეტანილი სტიქარონთა ახალი, ვრცელი კომპლექტი, რომელიც 24 ტროპარისაგან შედგება. სტიქარონთა ამ კომპლექტს ახ-ლავს შემდეგი სათაური: „სტიქარონნი სინანჯლისანი. მწუხრი. უწინარეს დიდთა გალობათასა. ბერძნულსა ან-ბანსა ზედა ჩავლენ, ვითარ ესე თითოეულისა მუკლისა-და თანა დაგუსუამს ასოდ თვსი.“

წინადროინდელ ქართულ მარხვანებში, მათ შორის გიორგი მთაწმიდელთან, ეს სტიქარონები შესული არ არის. მათი ქართული თარგმანი პირველად საანალიზო მარხვანში გვხვდება.

სტიქარონთა ეს კომპლექტი შესულია ბერძნულ-სლავური მარხვანები პუბლიკაციებში V ოთხშაბათს. ორიგინალში ისინი მართლაც ანბანურ აკროტოქს შეი-ცავს, რომელიც არაა დაცული სლავურ და ქართულ თარგმანებში. საანალიზო მარხვანში სტიქარონთა ეს კომპლექტი ანონიმურია. ორიგინალში იგი წარწერილია სკომეონ მეტაფრასტის სახელით, რაც სათაურშივეა მითი-თებული: (ტრიოდიონი 1879: 457-461).

სლავურ თარგმანში სტიქარონთა ამ კომპლექტს ერთ-
ოფიციული, სადაც მის ავტორად დასახელებულია „ანდრეი კრიტსკი“
დრეა კრიტელი: „Ины стахиры по алфавиту, кд, великого
Канона. Творение господина Андрея Критского“ (სლავური
მარხვანი 1975: 572-577).

ამრიგად, ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში დიდ-
მარხვის V ხუთშაბათის განგება განახლებულია არსები-
თად – ანდრეა კრიტელის „დიდნი გალობანი“ მოტანილია
ახალი, არსებ იყალთოელისეული თარგმანით. ამავე
დროს, შემოტანილია „დიდნი გალობანის“ წინ შესასრუ-
ლებელ სტიქარონთა ახალი კომპლექტი.

7 ვრცელი სტიქარონია შესული საანალიზო მარ-
ხვანში VI პარასკევის მწერეზეც. ისინი ეძღვნება ლაზა-
რეს ხელნებას. ამ სტიქარონთა უმეტესობა შესულია ბერ-
ძნულ - სლავურ მარხვანებში.

სტიქარონთა ზემოთგანხილული კომპლექტები საანა-
ლიზო მარხვანში ავტორებზე მითითების გარეშეა შესუ-
ლი. განსხვავებული ვითარებაა ბზობის კვირიაკისათვის
განკუთვნილ ახლად თარგმნილ სტიქარონებთან. ერთ-
ერთ მათგანთან (ჭმად ა გ ი. ამაღლდი ზეც. – საშინელ
არს...) მიწერილია „სოფორნ“ (იხ. ამ სტიქარონის შესახებ
ზემო). შესაძლებელია, ამავე ავტორს კუთვნოდეს მომ-
დევნო 3 სტიქარონიც. სტიქარონთან „გიხაროდენნი. –
უფალო, მომავალი ვნებად...“ საანალიზო მარხვანში მი-
წერილია ავტორი - „კოზმან“. სულ ბზობის კვირიაკეს
ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში შესულია ბერძნუ-
ლიდან ახლად თარგმნილი 9 მცირე ფორმის საგალობე-
ლო.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მარხვანის ახალ რე-
დაქციაში განსაკუთრებული ყურადღებითაა დამუშავებუ-
ლი ვნების შეიდეულის რეპერტუარი. ეს ეხება მცირე
ფორმის საგალობლებსაც. ვნების შეიდეულის თითოეულ
დღეზე დიდი ორშაბათიდან დაწყებული დიდი შაბათის
ჩათვლით საანალიზო მარხვანში დადგებულია სტიქარონ-
თა ახალი კომპლექტები. ამ სტიქარონთა უმეტესობა ანო-
ნიმურია, ერთი ნაწილი კი ეკუთვნის კოზმა იერუსალი-
მელს, რომელიც დიდი ყურადღებით სარგებლობს მარ-

ხვანის საანალიზო რედაქციაში. კოზმას ამ სტრიქონთა-
გან რამდენიმე სახელწაუწერლადაა შესული ბერძნულ-
სლავურ მარხვანებში, მაგ. დიდი სამშაბათოსათვის „გან-
კუთვნილი სტიქარონი – „ბრწყინვალებასა წმიდათა შენ-
თას...“

დიდი პარსკევისათვისაა განკუთვნილი ის მცირე
ფორმის საგალობლებიც, რომლებიც საანალიზო მარ-
ხვანში გამოყოფილია სათაურით „სტიქარონი“. ორ
მათგანთან მიწერილია ავტორები – იოანე და თეოფანე,
დანარჩენები კი ანონიმურია.

9 ანონიმური სტიქარონია შესული ეფრემ მცირის
რედაქციის მარხვანში დიდი შაბათის მწუხარზეც. მათი
ერთი ნაწილი ავტორწაუწერლადაა შესული ბერძნულ-
სლავური მარხვანების პუბლიკაციებში.

ადღონის კვირიაკის განგების შემდეგ ეფრემ მცი-
რის რედაქციის მარხვანში იწყება „თვთნი სტიქარონი“,
განკუთვნილი ბზობის კვირიაკის, დიდი ორშაბათის, დი-
დი სამშაბათის, დიდი ოთხშაბათის და დიდი ხუთშაბათი-
სათვის, რასაც მოსდევს ლიტურგიკული განგებები
(ფერწობანის, დიდი პარასკევის და იოანე ნათლისმცემ-
ლის თავისეკვეთის) და აკათისტო, რომლის ქართულ ენა-
ზე თარგმნის ისტორია ცალკე კვლევას მოითხოვს.

მარხვანის ეს რედაქცია, როგორც აღნიშნეთ, ბო-
ლონაკლულია. იგი წყდება იოანე ნათლისმცემლის თა-
ვისეკვეთის განგებისათვის განკუთვნილი ერთ-ერთი კანო-
ნის III ოდაზე. უნდა ვიგარაუდოთ, რომ იგი შეიცავდა
გნების შვიდეულის დანარჩენი დღეებისათვის განკუთ-
ვნილ „თვთნი“ სტიქარონებსაც. ამას გვაფიქრებინებს
მარხვანის ამ რედაქციისათვის დამახასიათებელი წესრი-
გი და სისტემურობა.

ბერძნულ - სლავური მარხვანების არსებულ პუბ-
ლიკაციებში აღნიშნული „თვთნი“ სტიქარონების ერთი
ნაწილი სახელწაუწერლადაა შესული შესაბამის დღეებ-
ზე.

სასულიერო პოზიის მკლევართათვის ცნობილია,
თუ რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული საგალო-
ბელთა თარგმნა. უშუალოდ ტექსტის გადმოღებასთან ერ-

თად, მთარგმნელს უნდა დაეცვა ორიგინალის რიტმულურებული მელოდიური საზომები, რაც დიდ ძალის ხმევას და პროფესიული ფესიონალიზმს მოითხოვდა. პიმოგრაფთა უძველესი თაობა - „მეხელები“ ერთდროულად პოეტებიც იყვნენ და მუსიკოსებიც, რაც მათ შემოქმედებას უნივერსალურ ხასიათს ანიჭებდა. XI საუკუნეში ხდება დიფერენციაცია საგალობელთა ტექსტების თარგმნის და მათი მელოდიებზე განწყობისა. პროფესიონალი მუსიკოსის შრომა ემიჯნება პროფესიონალი მთარგმნელის მოღვაწეობას, მაგრამ თვით ამ პერიოდშიც განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის „თვითძლისპირ“ სტიქარონთა თარგმნა ანუ თარგმნა იმ საგალობლებისა, რომლებსაც საკუთარი სალექსო საზომი და მელოდია ჰქონდათ. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ქართული პიმოგრაფია თავიდანვე ამ სახის საგალობელთა ნაკლებობას განიცდიდა.

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანი უმნიშვნელოვანეს თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ აქ ახალი თარგმანებითაა მოტანილი „თვითძლისპირ“ საგალობელთა მთელი კომპლექტები. მათი გაცნობა მოწმობს, რომ მთარგმნელი თავს არ არიდებს განსაკუთრებით მნელად სათარგმნელ რეპერტუარს და ამით მნიშვნელოვნად ავსებს ქართულ პიმოგრაფიას. მიუხედავად იმ სირთულეებისა, რაც „თვითძლისპირ“ საგალობელთა თარგმნასთან იყო დაკავშირებული, მათ ქართულ თარგმანებს არ აკლია მხატვრული ლირსება და ლირიკულობა, რაც მთარგმნელის ოსტატობაზე მეტყველებს (ხაჩიძე 1993: 39-46).

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანისათვის დამახასიათებელია ახალი პოეტური ფორმების დამკვიდრება. მათ შორისაა „გამოავლინება“ სახის სტიქარონები. ასე მაგ, პირველივე დღის – მეზევერისა და ფარისეველის კვირიაკის განგებაზე აქ წარმოდგენილია 8 მცირე ფორმის საგალობელი, რომლებიც სრული ტექსტებითაა მოტანილი და გიორგი მთაწმიდელის მარხვანში არ გვხვდება. მათ შორის I „გამოავლინება“, „გამოავლინენი“ ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში ყოველთვის ახალი თარგმანებითაა წარმოდგენილი. ამ მხრივ დამახასიათებელია

შემდეგი მაგალითი: უძღები შვილი კვირიაკის განგება საანალიზო მარხვანში იწყება ასეთი სათაურით: „ტერჯი ციელსა უძღებისა ყოველივე ზემოთ პპორთ და გამოაგდინე აქეთ თქვით ესე“, შემდეგ მოტანილია „გამოავლინეს“ სრული ტექსტი. ამრიგად, ამ დღეზე ეფრემისათვის მთლიანად მისადებია ძველი მასალა, „გამოავლინე“ კი, ჩევულებისამებრ, ახალი თარგმანით, სრული ტექსტითაა მოტანილი.

„გამოავლინე“ გვხვდება მარხვანის წინადროინდელ რედაქციებში – სინ.5 - სინ.75 ხელნაწერებსა და გიორგი მთაწმიდელის მარხვანშიც, მაგრამ მისი სისტემატურად შემოტანა და დამკიდრება დიდმარხვის თითოეული დღის განგებაში ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანის ერთ-ერთი სიახლეა. როგორც ჩანს, ეფრემის თანამედროვე ბიზანტიურ მარხვანებში ამ სახის საგალობელი მტკიცებ იმკვიდრებს ადგილს და ეფრემ მცირეც ამ ვითარებას ასახავს. როგორც წესი, ეფრემის მარხვანში დაცული „გამოავლინენი“ ანონიმურია და ძირითადად 1 ტროპარისაგან შედგება.

სამცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ გიორგი მთაწმიდელის რედაქციის „თუენებისათვის“ დამახასიათებელია „წარდგომანთა“ დამკიდრება (ჯდამაია:). ანალოგიური მდგომარეობა მისივე რედაქციის მარხვანშიც. ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანის ასეთივე აუცილებელი ელემენტია „გამოავლინეთას“ ვრცელი, ბერძნულიდან ახლად თარგმნილი რეპერტუარი.

მარხვანის ახალი რედაქციისათვის დამახასიათებელია კიდევ ერთი პოეტური ფორმის - „კონდაკის“ აღორძინება. როგორც ცნობილია, ეს პოეტური ფორმა VI საუკუნის დასაწყისიდან აღმოცენდა ბიზანტიურ პიმნოგრაფიაში. თუ ტროპარები უმეტესად წმ. წერილის პერიფრაზს წარმოადგენდა, კონდაკი შედარებით დამოუკიდებელი იყო შინაარსობრივად, ხოლო ფორმის თვალსაზრისით – უფრო ვრცელი. კონდაკში სტროფები გაერთიანებულია აპროსტიქით. ამ გარეგნულ ერთიანობას შეესაბამება შინაარსიც – იგი ვითარდება თანმიმდევრულად, I სტროფიდან დაწყებული უკანასკნელის ჩათვლით. აქედან გამომდინარებული ტერმინი არის სტროფების განვითარების უკანასკნელი.

რე, კონდაკთა დაყოფას სტროფებად იმდენად შინაარსობრივი მხარე არ მოითხოვდა, როგორც პრაქტიკული დანიშნულება - მგალობელთათვის მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო მათი შესრულება. შედარებით დამოუკიდებელ ხასიათს ატარებს კონდაკთა შესავალი სტროფები (ყდის ან koukouslikon), რომელთა უმეტესობა თვით კონდაკის მომდევნო სტროფებზე ძველია. ამას მოწმობს ის გარემოებაც, რომ კონდაკს ხშირად აქვს ერთი ან რამდენიმე შესავალი სტროფი, რომლებიც ცალკე საგალობელს წარმოადგენს. ეს შესავალი სტროფები შეიძლება იყოს ტროპარი, მჯდომარე ან იბაჟო. ძველად სწორედ მხოლოდ მოკლე შესავალ სტროფს ეწოდებოდა „კონდაკი“ (კარაბინვი 1910 :74).

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ კონდაკის აღმოცენება სირიული პოეზიის ზეგავლენით უნდა აისხნას. ამის ერთ-ერთ არგუმენტად მოაქვთ თვით კონდაკის სტროფის დასახელება - oīkos. მკვლევართა მეორე ნაწილი კი თვით ბერძნული პოეზიის სალექსო ფორმებში ეძებს მის სათავეს.

კონდაკი ერთბაშად შემოდის და მკვიდრდება ბიზანტიურ პიმნოგრაფიაში. ბიზანტიური აგიოგრაფია მის შემოგანას აღმოსავლურ ლიტერატურის უკავშირებს რომანზე მელოდოსს. მის შემოქმედებაშივე მიაღწია კონდაკმა კლასიკურ სრულყოფას. ამ ლეთაებრივი ნიჭით გამორჩეული პიმნოგრაფის შესახებ დღეისათვის ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს. რომანზის შემოქმედების აღიარების დაწყება უკავშირდება კარდინალ პიტრას სახელს, რომელმაც ბიზანტიური პიმნოგრაფიის „ანთოლოგიაში“ უპირველესი ადგილი მიაკუთვნა რომანზს. ამით მან მეცნიერთა ყურადღება მიაპყრო პოეტს, რომელსაც აღმოსავლური ეკლესია განადიდებს, როგორც „დიდებულ საგალობელთა დასაბამს“, პიმნოგრაფთა „მამამთავარს“, „ანგელოსური პიმნების“ შექმნელს.

რომანზის მრავალრიცხოვან საგალობელთა შორის საა მარხვანებში შესული კონდაკები. ეს კონდაკები მარ-

ხვანისათვის არ შექმნილა, ისინი შემდგომში იქნა შეტყიცული
ნილი ამ კრებულში.

გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში რო-
მანოზის საგალობლები მოიხსენიება „იბაკონად“. აქ მისი
სახელით წარწერილია შემდეგი საგალობლები:

1. ყველიერისა კპრიაკესა (ადამის ექსორიობად).
იბაკონი. ჭმავ დ გ ი. არავ დააკლდი. – უსწავლელთა
მასწავლელო...“

2. პირველსა კპრიაკესა. იბაკონი. ჭმავ დ გ ი... არავ
დააკლდი...“

3. მეოთხესა ხუთშაბათსა. მწუხრი. სხუანი. ედემნი.
– რომელი აქმაღლდი ჯუარსა ზედა...“

4. იბაკონი დიდსა ორშაბათსა. ჭმავ დ გ ი. არავ დააკ-
ლდი. – საიდუმლოთა გნებათა...“

5. იბაკონი დიდსა სამშაბათსა. ჭმავ დ გ ი. სხუანი.
ედემნი. – მესმა რავ იგავი...“

6. იბაკონი დიდსა ოთხშაბათსა. ჭმავ გ გ ი. მჯდომა-
რე. – ქრისტე, რომელმან...“

7. დიდსა ხუთშაბათსა. იბაკონი. ჭმავ დ გ ი. არავ
დააკლდი. – მიიღო პური კელითა...

8. იბაკონი დიდისა პარასკევისანი. ჭმავ დ გ ი. ედემ-
თა ზედა. – იხილა რავ გლოვად ქალწულისად...“

9. დიდსა შაბათსა. იბაკონი. ჭმავ გ გ ი. მჯდომარენი.
– რომელმან დაპწმნა...“

ამ საგალობელთა ტექსტები და ავტორზე მითითებუ-
ბი გეორგ-ის I ნაწილში კარგად ჩანს. მხოლოდ №2 სა-
გალობელთან იკითხება მკრთალად ავტორის აღმნიშვნე-
ლი მონოგრამა.

ამრიგად, ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანისათვის
დამახასიათებელია კონდაკის ფორმის საგალობლები.
კერძოდ, აქ შესულია საგალობლები, რომელთაც I სტრო-
ფის გასწვრივ მიწერილი აქვთ „ქონდაკი“, ხოლო II
სტროფის გასწვრივ - „პკოსი“. ეს საგალობლები დადებუ-
ლია ხორციელის შაბათს, ყველიერის შაბათს, I შაბათს,
I კვირიაკეს, III კვირიაკეს, VI შაბათს, ბზობის კვირია-
კეს, დიდ ორშაბათს, დიდ სამშაბათს, დიდ ოთხშაბათს,

დიდ ხუთშაბათს, დიდ პარასკევს, დიდ შაბათს. ამასთან, დიდი პარასკევს დადებულია „კონდაკ - ჰკოსთა“ 2 კონდაკის პლექტი. ანალოგიური საგალობელი („კონდაკ - ჰკოსთა“) შესულია დიდ ხუთშაბათს იმ „თუთკილო“ სტიქარონებს შორის, რომლებიც დართულია საანალიზო მარხვანზე. ამ სახის საგალობელი გვხვდება იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის განგებაშიც.

ყველა ამ შემთხვევაში „კონდაკი“ ნახმარია თავდა-პირველი მნიშვნელობით – როგორც შესავალი მოკლე სტროფი; მომდევნო სტროფების აღმნიშვნელად კი გვხვდება საერთოდ დამკვიდრებული ტერმინი - „ჰკოსი“ (οἶκος).

საინტერესოა, რომ კონდაკის ფორმის აღორძინებას ადგილი პქონია IX საუკუნეში, რასაც უკავშირებენ თეოდორე სტუდიელის სახელს. თუ გავითვალისწინებთ ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანის ხასიათს, შეიძლება დავასკვნათ, რომ მსგავს მოვლენას პქონია ადგილი XI სის მეორე ნახევრის ბიზანტიურ პიმნოგრაფიაშიც.

უერადდებას იმსახურებს თვით ტერმინი „კონდაკიც“. ე. უელეშის მიხედვით, ეს ტერმინი შემოვიდა IX ს-ში. თვით კონდაკთა ავტორები მას უწოდებდნენ პიმნს, ფსალმუნს, დასდებელს, გალობას, შესხმას ან ლოცვას. ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს IX ს-ში კონდაკის ფორმის აღორძინება და თვით ამ ტერმინის შემოსვლა.

ამრიგად, ბიზანტიურ პიმნოგრაფიაში VI საუკუნეში აღმოცენებულ კონდაკს ხელახლა განუცდია აღმავლობა IX საუკუნეში, რასაც თან ახლდა ტერმინოლოგიური ძიებაც. ანალოგიური მოვლენა უნდა მომხდარიყო XIს-ის ბიზანტიურ პიმნოგრაფიაშიც. ამით უნდა აიხსნას ამ ფორმის საგალობლების სიმრავლე და ტერმინოლოგიური ძიება ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში. როგორც ჩანს, ამ დროისათვის ტერმინმა „კონდაკი“ თავდაპირველი მნიშვნელობა დაიბრუნა.

საანალიზო მარხვანში კონდაკებად, ავტორზე მითითების გარეშე, აღმოჩნდა შესული გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში რომანოზის სახელით წარწერი-

ლი იბაკონიც. რომანოზის კონდაქტი ეფრემ მცირს მუკლუკი დაქცის მარხვანში შესულია ახალი თარგმანით მოღმაციუა ტანთ ყველიერის კვირიაკისათვის განკუთვნილი რომანოზის კონდაქტის I ტროპარს გიორგი მთაწმიდელისა და ეპ- რემ მცირის მარხვანების მიხედვით:

გიორგი მთაწმიდელის რე -
დაქციის მარხვანი

ეფურემ მცირის რედაქციის დამარტინი

ყველიერისა კურიაქესა.
ადამის ექსორიობად. იბაკო-
ნი. ჭმად დ გ ი. არად დააკ-
ლდი.

ყველიერისა კურიაქესა. ადა-
მის ექსორიობად. სტიქარონ-
ნი. სხუანი თვთნი. კონდაკი.
ჭმად ბ გ ი .

უსწავლელთა მასწავლე-
ლო
და სიბრძნისა მომცემელო
და გლახაქთა ჭელის -ამ-
პყრობელო ქრისტე,
განამტკიცე და განაბრძნევე ნამტკიცე და განავრცე გული
გული ჩემი

სიბრძნისა წინამძღვარო,
ცნობისა მომცემელო,
უგუნურთა მასწავლელო
და გლახაქთა ჭელის ამ-
პყრობელო,
განამტკიცე და განავრცე გული
ჩემი,

და მომეც მე სიტყუად,
სიტყუაო დმრთისაო,
რაღთა ლმობიერად გიღა-
ლადებდე:

მეუფეო, შენ მომეც მე სიტ-
ყუად,
სიტყუაო მამისაო.
რამეთუ აპა ესერა, ბაგენი
ჩემნი არა დავაცხრვნე
კმობად შენდამი,

„მრავალმოწყალეო,
შემიწყალე მე, დაცემული
ესე“.

მოწყალეო, შემიწყალე და-
ცემული ესე.

როგორც ვხედავთ, ეფურემ მცირესთან საგალობელი
მოტანილია ახალი თარგმანით. ანალოგიური ვითარებაა
რომანოზის სხვა კონდაკებთან დაკავშირებითაც. ეფურემ
მცირეს ხელახლა უთარგმნია ბერძნულიდან მარხვანი-
სათვის რომანოზ მელოდოსის კონდაკები.

გიორგი მთაწმიდელის და ეფურემ მცირის მარხვანე-
ბში შესულია რომანოზ მელოდოსის 9 მცირე ფორმის
საგალობელი – კონდაკი. აქედან I, რომელიც ყველიერის
კვირიაკისათვისაა განკუთვნილი, ბერძნულ - სლავური

მარხვანების პუბლიკაციებში შესული არ არის. არ გვხვდება იგი არც პიტრასა და კრუმბახერის პუბლიკაციებში. მხოლოდ I ბერძნულ ხელნაწერებში – სინ. №756 ყოფილა შესული ყველიერის კვირიაკისათვის განკუთვნილი კონდაკი ავტორზე მითითებით: „პიუმა ‘Романовъ‘“. შესაძლოა, ეს ჩვენთვის საინტერესო საგალობელი იყოს.

ბერძნულ - სლავური მარხვანების პუბლიკაციებში შესულია ქართული მარხვანებიდან ცნობილი რომანოზ მელოდისის საგალობლების ერთი ჯგუფი. კერძოდ: დიდი ორშაბათის, დიდი პარასკევის და I კვირიაკის კონდაკები დღემდე მიღწეულ ბერძნულ ტექსტთან ახლოს დგას რომანოზის ამ საგალობლების ეფრემისული თარგმანი.

უძველეს ტრიოდიონებში შესული რომანოზის კონდაკების უმეტესობა ხმარებიდან იქნა ამოღებული. 7 ასეთი კონდაკი გამოცემულია პიტრასა და კრუმბახერის მიერ. 7-ვე მათგანი შესულია გიორგი მთაწმიდელისა და ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანებში. ესენია: დიდი ორშაბათის, დიდი სამშაბათის, დიდი ოთხშაბათის, დიდი ხუთშაბათის და დიდი პარასკევის კონდაკები. ამრიგად, ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანებში შესული ბერძნული-დან ახლად თარგმნილი სტიქარონების ერთი ნაწილი სახელწარწერილია. მათი ავტორები VII - IXსს-ების ცნობილი ბიზანტიელი ჰიმნოგრაფები არიან. ამ საგალობელთა უმეტესობა შესაბამის დღეებსა და განგებებზე გვხვდება X - XVI სს-ების ბერძნულ და სლავურ მარხვანებსა და სტიქარონთა კრებულებში. განსაკუთრებულ უურადღებას იმსახურებს ის სტიქარონები, რომლებიც დღუისავის გამოცემულ ან სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ ბერძნულ და სლავურ მარხვანებში არ ჩანს. ბერძნულ მარხვანებსა და სტიქარონთა კრებულებში დაცული მცირე ფორმის საგალობლების შემდგომმა კალვამ, შესაძლოა, გამოავლინოს მათი ორიგინალები. არც ისაა გამორიცხული, რომ ქართული თარგმანები ზოგიერთი მათგანის აღდგენისათვის ერთადერთი წყარო აღმოჩნდეს.

ეფრემ მცირის სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული კანონის გალობათა აღნიშვნის ახალი წესის შემოტანაც ქართულ ჰიმნოგრაფიაში. როგორც ცნობილია, ქარ-

თულ პიმნოგრაფიაში შემონახული იერუსლიმური ტრადიცია მოიხსენიება კიის ამსახველ ერთ - ერთ თავისებურებას წარმოადგენს მართლის კანონის გალობათა (ოდების) აღნიშვნა შესაბამისი ბიბლიოური გალობების დასაწყისი სიტყვებით: I გალობა - უგალობდითსა; II - მოიხილესა; III - განძლიერდესა; IV - უფალო მესმასა; V - დამითგანსა; VI - დაღატყავსა; VII - კურთხეულარსა; VIII - აკურთხევდითსა; IX - აღიდებდითსა. ეს ტრადიცია უძველეს ვითარებას უნდა ასახავდეს, რადგან პიმნოგრაფიის სათავე სწორედ ბიბლიურ გალობებს უკავშირდება. ბიზანტიურ და სლავურ პიმნოგრაფიაში კანონის გალობები აღინიშნება ასოებით, რომლებსაც რიცხობრივი მნიშვნელობა აქვთ.

ქართული პიმნოგრაფიისათვის დამახასიათებელ ამ თავისებურებას პირველად ყურადღება მიაქცია ქ. კეკელიძემ. „იერუსალიმურ ლექციონარზე“ დართულ ლიტურგიკულ ტერმინთა ლექსიკონში „გალობანის“ განმარტებისას ქ. კეკელიძე წერს: „კანონის შედგება 9 გალობისაგან, რომლებიც ქართულ ენაზე იხსენიება იმ ბიბლიური გალობების დასაწყისი სიტყვების მიხედვით, რომლებიც მათ საფუძველს წარმოადგენს.“ (კეკელიძე 1912:)

კანონის გალობათა აღნიშვნის წესის განსხვავება ბერძნულ - ქართულ ძლისპირთა კრებულებში ნაჩვენები აქვს ელ. მეტრეველს: „საფიქრებელია, რომ ქართულმა შემოგვინახა გალობათა უძველესი სახელწოდებები, რომლებიც დროთა ვითარებაში დაკარგა ბერძნულმა. ქართული ძლისპირნისა და სადღესასწაულოს გვიანდელ ნუსხებში ეს სახელწოდებები შეცვლილია რიცხვითი აღნიშვნებით.“ (მეტრეველი 1971: 011). მაშასადამე, ქართულ პიმნოგრაფიაშ გარევეული პერიოდიდან კანონის გალობა აღინიშნება რიცხობრივად, რაც საყოველოაოდაა გავრცელებული ბერძნულ ში. როდის უნდა მომხდარიყო ეს ცვლილება?

„უძველეს იადგარში“, რომელიც შეიცავს VI-IX საუკუნეების ბიზანტიური პიმნოგრაფიის თარგმანებს, მცირე ფორმის საგალობლებთან ერთად, დაცულია პიმნოგრაფიული კანონებიც. მათი გალობები კველგან ძველი წესით - ბიბლიურ გალობათა დასაწყისი სიტყვებითაა მითითე-

ბული. ამავე წესითაა აღნიშნული კანონის გალობები X ს-ის პიმნოგრაფიულ კრებულებში – სინურ იადგარებში, მიქაელ მოდრევილის იადგარში და სხვ.

ძელი წესითაა აღნიშნული ანდრეა კრიტელის „დიდნი გალობანის“ ოდები ექვთიმე და გიორგი მთაწმი-დელების მიერ შესრულებულ თარგმანებშიც. საინტერუ-სოა, რომ ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების თანადრო-ულ ბიზანტიურ პიმნოგრაფიაში კანონის გალობები რიც-ხობრივადაა აღნიშნული. ექვთიმესა და გიორგისათვის, რომლებიც შესანიშნავად იცნობდნენ მათ თანამედროვე ბიზანტიურ ლიტერატურის პრაქტიკას, ცხადია, ცნობილი იყო კანონის გალობათა რიცხობრივი აღნიშვნის წესი. მიუხედავად ამისა, ორივე მათგანი ძველ - ქართულ პიმ-ნოგრაფიაში დამკვიდრებულ ტრადიციას მისდევს.

XI ს-ის II ნახევრიდან ქართულ პიმნოგრაფიულ კრე-ბულებში კანონის გალობები უკვე რიცხობრივადაა აღ-ნიშნული: გალობათ ა, ბ, გ, დ, ჰ, ტ, რ.

XI ს-ის ქართული პიმნოგრაფიული კრებულების შესწავლა მოწმობს, რომ პიმნოგრაფიული კანონების გა-ლობათა აღნიშვნის ეს წესი ქართულ პიმნოგრაფიაში ეფ-რემ მცირის მიერ უნდა იყოს შემოღებული. ეფრემის მიერ შემოღებულ ამ წესს, როგორც ჩანს, გაჟყვა მისი მოწაფე და მიმღევარი – არსენ იყალთოელი. საანალიზო მარხვან-ში დაცულ მის თარგმანებს – ანდრეა კრიტელის „დიდნი გალობანს“ და თეოდორე სტუდიელის „მეორედ მოსვლის კანონს“ ახლავს გალობათა რიცხობრივი აღნიშვნა (ხაჩი-ძე):

XII - XVIII სს-ების პიმნოგრაფიულ კრებულებში შე-იმჩნევა შემდეგი კანონზომიერება: კანონის ოდები, რომ-ლებიც თარგმნილია ეფრემ მცირისა და მისი მიმღევრე-ბის მიერ, ამ ხელნაწერებში ყოველთვის რიცხობრივადაა აღნიშნული, ხოლო ეფრემამდე თარგმნილი კანონების ოდები XI - XVII საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში ძველი წესით – შესაბამისი ბიბლიური გალობების და-საწყისი სიტყვებითაა მითითებული.

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანის ტრადიციული ნაწილი

მარხვანის ახალი რედაქცია, რომლის შედგენა უკავ-
შირდება ეფრემ მცირის სახელს, ასახავს ეფრემის თანა-
მედროვე ბიზანტიურ ტრადიციას. მას საფუძვლად უდევს
ბერძნული მარხვანი, რომლის მიხედვით ეფრემ მცირე
ადგენს ქართული მარხვანის ახალ რედაქციას. მისი მუ-
შაობა, როგორც ჩანს, ორმხრივ ხასიათს ატარებს – რე-
დაქტორულს და მთარგმნელობითს. იმ შემთხვევაში, თუ
წინადროინდელი ქართული მარხვანების რეპერტუარი შე-
ესაბამება ეფრემის თანამედროვე ბიზანტიურ ტრადიციას,
იგი უცვლელად იყენებს მას. იმ შემთხვევაში კი, როცა
წინადროინდელი ქართული მარხვანები განსხვავდება ეფ-
რემის თანამედროვე ბიზანტიური ტრიოდიონებისაგან, ეფ-
რემი სათანადო რედაქტორულ სამუშაოს ატარებს და,
ხშირად, როგორც ჩანს, თავად თარგმნის ბერძნულიდან
იმ საგალობლებს და განგებებს, რომლებსაც არ იცნობ-
და ქართული ტრადიცია. ანალოგიური სამუშაო ჩაუტარე-
ბიათ თავის დროზე ქართული მარხვანის წინადროინდე-
ლი რედაქციების შემდგენლებსაც (ხაჩიძე 1987 : 22 -37 ;
59-74).

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანი მოიცავს რო-
გორც ტრადიციულ ნაწილს, ისე სიახლეებს. ამ მხრივ
იგი თანხვდება ქართული მარხვანის წინადროინდელ რე-
დაქციებს. როგორც ირკვევა, ეფრემ მცირის რედაქციის
მარხვანის უმთავრესი ქართული წყაროა გიორგი მთაწმი-
დელის რედაქციის მარხვანი. ეს ბუნებრივია, რადგან გი-
ორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანი უკლაზე
სრულყოფილია ქართულ მარხვანებს შორის როგორც
მოცულობით, ისე შედგენილობით. ამას ემატება გიორგის
მუშაობის მეცნიერული ხასიათი როგორც საგალობელთა

ტექსტების, ისე მათი ავტორების დადგენის თვალსაზრისით მიღებულია.

გიორგი მთაწმიდელი ტრადიციული - წინადროინდებული ქართული მარხვანებიდან აღებულ მასალას ხშირად ხელახლა ადარებს ბერძნულთან - იძლევა ახალ თარგმანებს ან ცვლის ძლისაირებს, შემოაქვს ახალი ტრაპარები, აზუსტებს საგალობელთა რიტმულ - მელოდიურ საზომებს. ანალოგიური ხასიათის სამუშაო უნდა ჩაეტარებინა სინ. 5-სინ. 75-ის ტიპის მარხვანის შემდგენელსაც (ხევსურიანი : 45).

განსხვავებული დამოკიდებულება აქვს წინადროინდელ ქართულ ტრადიციასთან, კერძოდ გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანთან, ეფრემ მცირეს. ის, რაც მისაღებია ეფრემისათვის გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანიდან, მის მიერ ყველა შემთხვევაში გადმოღებულია უცვლელად. გეორგ. 5-ის II ნაწილში გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანიდან დასაწყისებით მითითებულია ეფრემისათვის მისაღები საგალობლები ავტორებითურთ. როგორც აღვნიშნეთ, მითითებები ყოველთვის ძალზე ზუსტია. ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანის შემცველ სხვა ხელნაწერებში (სინ. 70, ივრ. 67, A 147, A 446 და სხვ.) ამ მითითებებს უკვე შესაბამისი საგალობლების სრული ტექსტები ცვლის.

ქვემოთ განვიხილავთ ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანის ტრადიციულ ნაწილს, რომელიც შესული იყო როგორც ეფრემის თანამედროვე ბიზანტიურ ტრიოდიონებში, ისე წინადროინდელ ქართულ ტრადიციაში - გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანში. ეს მასალა მოიცავს ყველა სახის პოეტურ საგალობლებს - პიმნოგრაფიულ კანონებს, სამსაგალობლებს და მცირე ფორმის საგალობლებს. კლასიფიკაციას ვახდეთ პოეტური ფორმების მიხედვით.

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში გიორგი მთაწმიდელის მარხვანიდან შესულია 17 დიდი ფორმის პოეტური საგალობელი - პიმნოგრაფიული კანონი. მოვიტანო მათ ნუსხას გეორგ.5 -ის II ნაწილის მიხედვით:



- 1) ყველიერისა შაბათსა. უგალობდითსა. ჭმად და და გალობად შევ. - გალობითა სულიერითა დღეს ყოველი კველი შევასხე...“ „ესე გალობანი, ეგრე ვითა მარხვათა სწერია მოიხილეთურთ, ეგრე უნდა.“ აშიაზე მითითებულია ავტორი - თეოდორე.
- 2) ყველიერისა კპრიაკესა. უგალობდითსა. ჭმად დ გ ი. გალობად შევწი. - მოედ შ სულო ჩემო ცოდვილო...“ „ესე გალობანი მარხვათა პპოვნე“. ქრისტეფორე.
- 3) პირველსა შაბათსა წმიდათა მარხვათასა. ქსენჯბად წმიდისა და დიდებულისა თეოდორე მოწამისად. უგალობდითსა. ჭმად დ გ ი. ქუეყანასა მწყურ. - უწყი ტრუიალება შენი...“ „ესე გალობანი მარხვათა პპოვნე. მონ ბოლოსა ღმრთისმშობლისანი სწერიან და აქა არა ეწერნეს.“ იოანე.
- 4) მისივე წმიდისა სხუანი გალობანი. ეტლთა მფლ. - მძღავრთა მიმართ და მდევართა...“ „ესეცა მონვე პპოვნე და ღმრთისმშობლისა არცა...“ გიორგი.
- 5) პირველსა კპრიაკესა. უგალობდითსა. ჭმად გრომელმან წამისყოფ. - მოვედით, მორწმუნენო...“ „ესე გალობანი მარხვათა პპოვნე“. თეოფანე.
- 6) მეორესა კპრიაკესა. უგალობდითსა. ჭმად დ. ზღუად უვალი. - მარხვად ღმრთივ-დიდებული...“ თეოფანე.
- 7) „უგალობდითსა. ჭმად დ. ზღუად უვალი. ვცოდჭ, უსჯულო ვიქმენ.“ „მარხვათა შინა პპოვნე ესე გალობანი - ორნივე გალობანი და ელიასნი დაფარენ“. თეოდორე.
- 8) მესამესა კპრიაკესა. უგალობდითსა. ჭმად ბ. დღვსა მას. - წინავთვე გამოსახა...“ „ესე გალობანი მარხვათა შინა პპოვნე და მოიხილე აქაცა ეწერა და მონცა სწერია.“ თეოდორე.
- 9) მეოთხესა ოთხშაბათსა. უგალობდითსა ჭმად დ. ზღუად უვალი. - ძელსა ყოლად წმიდასა...“ „ესე გალობანი მარხვათა შინა პპოვნე“. იოსებ.
- 10) მეოთხესა ხუთშაბათსა. სხუანი გალობანი. უგალობდითსა. ჭმად დ გ ი. ეტლთა მფლ. - მოვედით დღეს, მორწმუნენი...“ „ესე გალობანი მარხვათა პპოვნე“. იოსებ.

11) მეოთხესა კპრიაკესა. „უგალობდითსა. ჭმად გ გ~o. წამისყოფი. – მოვედით, წადიერად...“ „მარხვათა პპოვნებ ესე გალობანი და აქა ღმრთისმშობლისანი არ ეწერნებ. ელიძ.“

12) მეხუთესა კპრიაკესა. გალობანი ლაზარესნი და მდიდრისანი. „უგალობდითსა. ჭმად დ გ ი. ქუეყანასა მწყ. – მივემსგავსე...“ „ესე გალობანი მარხვათა პპოვნე და აქა ბოლოსა ღმრთისმშობლისად არა ეწერა.“ იოსებ.

13. მეექუსესა შაბათსა. „უგალობდითსა. ჭმად ა. სახ-წაული. – ოთხისა დღისა...“ „ესე გალობანი მარხვათა პპოვნე.“ ანდრეა.

14. „სხუანი გალობანი წმიდისა ლაზარესნი. „უგა-ლობდითსა. ჭმად დ გ ი. „უგალობდეთ. – უგალობდეთ უფალსა...“ „ესე გალობანი მარხვათა პპოვნე.“ იოანე.

15. მეექუსესა (ბზობისა) კპრიაკესა. სხუანი გალობა-ნი. ჭმად გ გ ი. წამისყოფი. – განკვენ ღმრთისა სიტყუ-აო...“ „ესე გალობანი მარხვათა პპოვნე და აქა ღმრთის-მშობლისად არა ეწერა.“ ქრისტეფორე.

16. დიდსა პარასკევსა. „უგალობდითსა. ჭმად ბ გ ი. უფსერულმან. შენ, რომელი მოსლვად ხარ...“ „ესე გალო-ბანი მარხვათა პპოვნე და მოიხილე დააგდე, აქა არ ეწე-რა.“ იოსებ.

17. დიდსა შაბათსა. სხუანი გალობანი. „უგალობდით-სა. ჭმად ბ გ~o. რომელმან დაფა. – ქრისტე, მცხნელო ჩუპ-ხო...“ „ესე გალობანიცა მონვე პპოვნე და ადიდებდითსა – „შენ მხოლოდ სანატრელ ხარ“ მონამდის ეწერა და იგი არა.“

როგორც ვხედავთ, თითოეულ ამ კანონს ეფრემ მცი-რის რედაქციის მარხვანში ერთვის შენიშვნები, სადაც ყურადღებაა გამახვილებული იმ გარემოებაზე, რომ აღ-ნიშნულ კანონთა სრული ტექსტები შესულია მარხვან-ში, რომელიც, როგორც გავარკვიეთ, გიორგი მთაწმიდე-ლის ავტოგრაფს წარმოადგენს (ხაჩიძე 1987). სხვა შემ-თხვევებში ყურადღება გამახვილებულია კანონის II ოდა-ზე - „მოიხილესა“ (№№1, 8, 13, 16). როგორც ცნობილია,

კანონის ამ ოდამ მეტად საინტერესო და თავისებული ისტორია განვლო.

სხვადასხვა დროს ამ საკითხს იყვლევდნენ ალაციუსი, პიტრა, კრისტი, პაპადოპულო-კერამევსი, ვაი, ლოვიაზინი, ვიზნესენსკი, უელეში, ბეკა, სქირო (კვირიკაშვილი 1982: 21-25). კანონი II ოდის შესახებ საინტერესო გამოკვლევა ეკუთვნის ლ. ბერნარდს (ბერნარდი 1969: 91-101). დასახელებულ მკვლევართა ნაშრომებში სხვადასხვა მხრივ, სხვადასხვა კუთხითაა გაშუქებული პიმნოგრაფიული კანონის II გალობის ისტორია. მიუხედავად ამისა, მოღწეული მასალების სიმცირის გამო, II გალობის ისტორიის საკვანძო საკითხები დღემდე საკამათოდ რჩება.

II გალობა კანონის თავდაპირეველი კომპოზიციის აუცილებელი ნაწილია. ამ ოდას კანონი კარგავს უკვე VIII საუკუნეში. იოანე დამასკელისა და კოზმა მაიუმელის კანონებში II ოდა, ჩვეულებრივ, არ გვხვდება. მერყეობა იწყება შემდეგ - ოერთან გრაპტოსის ეპოქიდან. IX - X საუკუნეების ბერძენ პიმნოგრაფთა შემოქმედებაში გვხვდება როგორც 8-ოდიანი, ისე სრული - II ოდის შეცველი კანონები.

კანონების II ოდის რედუქციას მკვლევარი სხვადასხვა მიზეზით ხსნიან (ხაჩიძე 1987: 104-105).

II გალობის ისტორიის შესწავლისათვის დიდ ყურადღებას იმსახურებს მევლექართული წყაროები, რადგან ქართულ პიმნოგრაფიაში მიმდინარე პროცესების სათავეს, როგორც წესი, შესაბამისი პერიოდების ბიზანტიური პიმნოგრაფია წარმოადგენს.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ უძველეს იადგარში, რომელშიც იქრუსალიმურ ლიტერგიის არქაული სახეა დაცული, II გალობა კანონის კომპოზიციის აუცილებელი ელემენტია (უძველესი იადგარი 1980: 858).

ქართულ ძლისპირთა I რედაქციაში, რომელიც შეიცავს იოანე დამასკელისა და კოზმა მაიუმელის ძლისპირთა აკოლუთიებს, ეს გალობა შესული არ არის. (მეტრეველი 1971).

II ოდის გარეშეა წარმოდგენილი ბერძნული დანართი თარგმნილი კანონები X ს-ის სინურ იადგარებში – სინ. 1, სინ. 14, სინ. 34, სინ. 59, სინ. 64, სინ. 65. ამ მხრივ მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისი არსებობს.

ყველაფერი ეს შესაბამისი პერიოდების ბერძნული პიმნოგრაფიის ტრადიციით უნდა იყოს განკირობებული.

დღეისათვის გარკვეულია, რომ X საუკუნის 50-იანი დღებიდან ქართულ პიმნოგრაფიაში იწყება კანონების შექსება II ოდებით, რაც ამავე პერიოდის ბერძნულ პიმნოგრაფიაში მიმდინარე პროცესს უნდა ასახავდეს (ხაჩიძე 1987: 106). ამ ტრადიციის სათავე X ს-ის ქართულ პიმნოგრაფიაში იოანე მინჩხთან მიღის. ბერძნული დანარგმნილი კანონების ქართული თარგმანები იოანე მინჩხს II ოდებით უნდა შეევსო იადგარიდან ცალკე ქრებულად გამოყოფილი I ქართული მარხვანისათვის (ხაჩიძე 1987: 103). შემდგომში ამ ტრადიციას აგრძელებს მიქაელ მოდრეკილი.

სინ. 5 - სინ. 75 ხელნაწერებში დაცული მარხვანისათვის განკუთვნილი კანონების უმეტესობა შეიცავს II ოდას. გიორგი მთაწმიდევლის ავტოგრაფულ მარხვანში გვხვდება როგორც სრული, ისე არასრული (8-ოდიანი) კანონებიც. მინჩხის მიერ ბერძენ პიმნოგრაფთა კანონებისათვის დაწერილი მოიხილეები აქ ყოველთვის შეტანილია.

გეორგ. 5-ის II ნაწილში ზემოთ აღნიშნულ კანონებზე დართული შენიშვნები მოწმობს, რომ მარხვანის ახალი რედაქციის შემდგენლისათვის ამოსავალია მისი თანამედროვე ბიზანტიური ტრადიცია. იმ შემთხვევაში, თუ მისთვის საინტერესო კანონი ბერძნულ მარხვანში შეიცავს II გალობას, მიზანშეწონილადაა მიჩნეული ქართულ თარგმანში მისი არსებობა. მესამე კვირიაკისათვის განკუთვნილ კანონთან (№8) აღნიშნულია, რომ II ოდა „აქაც“ (ე.ი. ამოსავალ ბერძნულ მარხვანშიც) ეწერა და „მონცა“ (ე.ი. გიორგი მთაწმიდევლის მარხვანში). ანალოგიური მდგომარეობაა მეექვსე შაბათისათვის განკუთვნილ კანონთანაც (№13). ყველიერის შაბათის კანონზე (№1) დართულ შენიშვნაში აღნიშნულია, რომ გიორგი მთაწ-

მიღელის მარხვანში ეს გალობა შეიცავს II ოდას და ეს მიზანშეწონილია - „ეგრე უნდა“. ბუნებრივია, ამ შემთხვეულობისას გაშიც ამოსავალია ბერძნული მარხვანი, სადაც, როგორც ჩანს, ეს კანონი შეიცავდა II ოდას. განსხვავებული ვითარებაა დიდი პარასკევისათვის განკუთვნილ კანონთან, რომელიც ბერძნულ მარხვანში II ოდას გარეშე ყოფილა შესული. გიორგი მთაწმიდელის მარხვანში იგი შეიცავს II ოდას. კანონზე დართული შენიშვნა მოითხოვს „მონილესას“ „დაგდებას“ - გამოტოვებას, რადგან „აქა“ (ე.ი. ამოსავალ ბერძნულ მარხვანში) არ ეწერა.“

ამრიგად, წინადროინდელი ქართველი პიმნოგრაფებისაგან განსხვავებით, რომლებიც გარკვეული პრინციპით მოქმედებდნენ კანონის II ოდასთან - „მოიხილესთან“ და კავშირებით - სისტემატურად ურთავდნენ მას ბერძნული დან თარგმნილ და ორიგინალურ კანონებს, ან პირიქით - უგულებელყოფდნენ მას, ეფრემისათვის ამოსავალია მისი თანამედროვე ბერძნული მარხვანი, სადაც კანონის ეს ოდა ხან შედის კანონთა შემადგენლობაში და ხანაც გამოტოვებულია. თუ გავითვალისწინებთ ბიზანტიურ ტრადიციასთან მაქსიმალურად დაახლოების მცდელობას, რაც დამახასიათებელია ეფრემ მცირის მარხვანისათვის, უნდა ვივარაუდოთ, რომ XI საუკუნის II ნახევრის ბიზანტიურ პიმნოგრაფიაში კანონის II ოდასთან დაკავშირებით რაიმე განსაზღვრული პოზიცია არ არსებობდა. ამ დროს ბერძნულ მარხვანებში გვხვდებოდა როგორც სრული, ისე არასრული კანონები.

მარხვანის ხალი რედაქციის შემდგენელი ასევე დიდ ეურადღებას ამახვილებს ღმრთისმშობლისანზე. კანონებზე დართულ შენიშვნებში (იხ. №3, 4, 11, 12, 15, 17) იგი აღნიშნავს, რომ მისთვის ამოსავალ ბერძნულ მარხვანში („აქა“) ღმრთისმშობლისანი არ ეწერა, განსხვავებით გიორგი მთაწმიდელის მარხვანისაგან.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია გარკვეული, „ღმრთისმშობლისავ“ როგორც ბერძნულ, ისე ქართულ პიმნოგრაფიაში რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება: (მეტრეველი 1966: 160): I) „ღმრთისმშობლისავ“ ეწოდება „გაღლობას“ - სრულ კანონს, რომელიც ღვთისმშობელს ეძ-

დგნება; 2) „ღმრთისმშობლისაა“ ეწოდება კანონის IX გზატით ლობას, რომელიც დვთისმშობლის შესხმას წარმოადგენს; 3) „ღმრთისმშობლისაა“ ეწოდება ერთტროპარიან შესხმას, რომელიც სრულდება კანონის ყოველი გალობის შემდეგ, გალობისავე ძლისპირზე გარკვეულია ისიც, რომ ძლისპირთა ქართულ კრებულებში კანონის ძლისპირები და ამავე ძლისპირებზე დაწერილი „ღმრთისმშობლისანის“ ტროპარები ერთადაა მოტანილი და კრებულსაც ამის შესაბამისად „ძლისპირი და ღმრთისმშობლისანი“ ეწოდება (მეტრეველი 1966: 160) კრებულის ამგვარი შედგენილობა და შესაბამისი სახელწოდებაც „მხოლოდ ქართულისთვის არის დამახასიათებელი, ვინაიდან ბერძნულ კრებულებში, ისევე როგორც სლავურსა და რუსულში, თავმოყრილია მხოლოდ ძლისპირები და კრებულიც ორივე ენაზე ირმოლოგიონის სახელწოდებას ატარებს, რაც მხოლოდ ძლისპირთა კრებულს ნიშნავს“ (მეტრეველი 1971: 010).

ჩვენთვის საინტერესო კანონებზე დართულ შენიშვნებში „ღმრთისმშობლისაა“ უნდა აღნიშნავდეს კანონის ყოველი ოდის ბოლოს არსებულ მითითებებს ღმრთისმშობლისანზე – დვთისმშობლისადმი მიძღვნილ ტროპარებს ან მათ სრულ ტექსტებს. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ღრმთისმშობლისანი გიორგი მთაწმიდელის მარხვანში „ბოლოსა“ - ე.ი. კანონის თითოეული ოდის ბოლოს „სწერიან და აქა (ე.ი. ამოსავალ ბერძნულ მარხვანში) არა ეწერნეს.“ როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია ნაჩვენები, „ღმრთისმშობლისანი“ წარმოადგენს ქართულ ძლისპირთა კრებულების აუცილებელ ელქმენებს. ასეა ქართულ პიმნოგრაფიულ კრებულებშიც, სადაც ყოველი ოდის ბოლოს გაქვს მითითება შესაბამის ღმრთისმშობლისანზე ან მოტანილია მისი სრული ტექსტი. იგივე წესია გატარებული გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანშიც. ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში მითითებულია ამ მხრივ ბერძნულ მარხვანებსა და გორგის მარხვანს შორის არსებული განსხვავება. როგორც ჩანს, ეფრემის თანამედროვე ბერძნულ ტრიოდიონებში

მხოლოდ ძლისპირები ყოფილა მითითებული კანონების „ტრადიციული მდგებთან, ღმრთისმშობლისანები კი არა. ზემოთ აღნიშვნული ნულ კანონებზე დართულ შენიშვნებში ღმრთისმშობლისანების შესახებ არაა ისეთი კატეგორიული მსჯელობა, როგორც „მოიხილებთან“ დაკავშირებით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქართული ტრადიცია კანონის თოთოეულ გალობასთან „ღმრთისმშობლისას“ მითითებისა არაა მიუღებელი მარხვანის ახალი რედაქციის შემდგენლისათვის, თუმცა ამ მხრივ ბერძნულ-ქართულ მარხვანებს შორის არსებულ სხვაობას იგი ყველა შემთხვევაში აღნიშნავს.

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში დაცული „ტრადიციული“ (გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანიდან უცვლელად გადასული) კანონები მიეკუთვნება ანდრეა კრიტელს, იოანე დამასკელს, ელია იერუსალიმელს, თეოდორე სტუდიელს, იოსებ მგალობელს, მარკოზს, ქრისტეფორეს, თეოფანე აღმსარებელს.

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში დაცული ზემოთ მოტანილი კანონების ქართული თარგმანები დიდ მნიშვნელობას იძენს მათი ბერძნული ორიგინალების ტექსტის დადგენისათვის, ზოგიერთ შემთხვევაში ისინი ადასტურებს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოოქმულ ვარაუდებს ამა თუ იმ ავტორისადმი მათი მიკუთვნების შესახებ, ზოგიერთი მათგანის ბერძნული ორიგინალები კი დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის ცნობილი და, ამდენად, მათი ქართული თარგმანები ორიგინალების აღდგენის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს. ქვემოთ ავტორთა მიხედვით განვიხილავთ ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში დაცულ „ტრადიციულ“ კანონებს.

ბიზანტიური აგიოგრაფია კანონის პოეტური ფორმის შემოტანას მიაწერს ანდრია კრიტელს, რომლის „ცხოვრება“ გამოცემულია პაპალოპულო – კერამევსის მიერ. თუმცა თავის დროზე მის აღმსარებლობაში ეჭვი შექმნდათ მონოთელიტური ტენდენციების გამო, მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ადრევე განაწესა მისი კანონები ღვთისმსახურებაში და აღიარა იგი წმინდანად გარდაცვა-

ლების შემდეგ. „ანდრია კრიტელი მართლაც უდიდესი პიმნოგრაფია, რომელიც, რომანოზის მსგავსად, შეუდარქნავ ბელია ბიბლიური სახეების სინანულის განწყობილების შექმნაში“ (ნილი 1863: 23).

ანდრია კრიტელი პირველია პალესტინელ პიმნოგრაფთა შორის, რომლის ნაწარმოებებმა განსაზღვრა ხასიათი და შედგენილობა მარტვის კრებულისა. მისი შემოქმედება ნაკლებადაა შესწავლილი. ეს იმითაცაა განპირობებული, რომ მისი საგალობლების დიდი ნაწილი ხმარებიდან გავიდა დროთა განმავლობაში და ხელნაწერებშია გაბნეული. ირმოლოგიონების მიხედვით მას 70 კანონი შეუქმნია. ანდრია კრიტელის კანონები ამ უანრის ჩვენამდე მოღწეული პირველი ნიმუშებია, თუმცა მის შემოქმედებაში კანონის უკვე განვითარებული ჩანს. მისი კანონები შეიცავს განსაკუთრებით ვრცელ გალობებს (ოდებს). ისინი ყოველთვის სრულია, შეიცავს II ოდას.

დღევანდველ ბერძნულ ტრიოდიონებში შესულია ანდრიას 4 კანონი. ესენია: ყველიერის ოთხშაბათის, მეხუთე ხუთშაბათის („დიღნი გალობანი“), ლაზარეს შაბათის და ბზობის კვირიაკის კანონები. მასვე მკუთვნის ვნების შვიდეულისათვის განკუთვნილი სამსაგალობლები და მცირე ფორმის საგალობლები. დროთა განმავლობაში ამავე დღეებისათვის (იგულისხმება კანონებისათვის განწესებული დღეები) შექმნილმა იოანე დამასკელისა და კოზმა მაიუმელის კანონებმა დაიწყო ანდრიას კანონების განვითარება. ასე მაგ. იერუსალიმის „განჩინება“ 1122 წლისა, რომელიც შედგენილია IX - X სს-ების ძეგლის მიხედვით, არ შეიცავს ანდრიას არც ერთ კანონს. XI ს-ის ერთ-ერთი სტუდიური განგების მიხედვით ბზობის კვირიაკისათვის განკუთვნილი ანდრიას კანონი შესრულება უკვე „ძველ ჩვეულებად“ ითვლება. დროთა განმავლობაში ცვლილება განიცადა ანდრიას კანონების ტექსტებმაც. ასე მაგ. ჩვენთვის საინტერესო ლაზარეს შაბათის კანონი თავდაპირველად შეიცავდა II, VI და VIII გალობების ორმაგ კომპლექტებს. დღეს II კომპლექტები დაკარგულია.

ქართულ პიმნოგრაფიაში ანდრია ქრიტელი ერთ ერთი გამორჩეული ავტორია. მისი „დიდი გალობანი“ რომელიც „კანონთა მეფის“ სახელითაა ცნობილი, ქართულად ჰჯერ უთარგმნიათ – ექვთიმე და გიორგი ათონელებს და არსენ იყალთოელს. ეს უკანასკნელი თარგმანი დაცულია ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში.

აქედა დაცული მითითება ლაზარქს შაბათისათვის განკუთვნილ კანონზე: „უგალობდითსა. ვმავ ა. საწაული. – ოთხისა დღისა...“, რომელიც სრული ტექსტითაა შესული გიორგი მთაწმიდელის მარხვანში. სინ.5 - სინ.75 ხელნაწერებსა და წინადროინდელ სინურ იადგარებში ანდრიას ეს კანონი არ არის შესული. როგორც ჩანს, იგი პირველად გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანში გვხვდება და თვით მის მიერ უნდა იყოს თარგმნილი.

ბერძნული და სლავური მარხვანების არსებულ გამოცემებში ამ დღეს შესულია კანონი, რომლის I, III, IV და V ოდები წარწერილია თეოფანეს სახელით, დანარჩენი ოდები კი – კოზმას სახელით: (ტრიოდიონი 1879:). „Канона два, до шестия песн, тварение господина Феофана... Первыи канон с ирмосом на и Глас. и Песнь а. Поим господиви. – Лазаря умершего...“ (სლავური მარხვანი 1975)

ბერძნულ და სლავურ მარხვანებში ამ კანონის თითოეული ოდა შედგება 4 ტროპარისაგან. ქართულ ხელნაწერებში კი (გიორგი მთაწმიდელის და ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანებში) თითოეული ოდა 8 ტროპარს შეიცავს. ამასთან, თითოეული ოდის პირველი 4 ტროპარი ემთხვევა ბერძნულ - სლავურ მარხვანებში თეოფანესა და კოზმას სახელით წარწერილ ტროპარებს, ანდრია ქრიტელი კი თითოეული გალობის 4 უკანასკნელი ტროპარის ავტორი უნდა იყოს. ანდრეასვე უნდა ეკუთვნოდეს ამ კანონის II ოდაც. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ მისი კანონები ყოველთვის შეიცავდა ამ ოდას. თეოფანე-კოზმას კომპილაციური კანონი კი ბერძნულ - სლავურ მარხვანებში ამ ოდას არ შეიცავს.

მოვიტანთ ლაზარქს შაბათისათვის განკუთვნილი ამ კანონის II ოდის „მოიხილესას“ ტექსტს გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანის მიხედვით:



მოიხილესა

ზეშთა ბუნებისა

უწყით მეუფეო,

რამეთუ შენ ხარ ღმერთი, რომელმან

ოთხ დღე დამარხული

მკუდარი და სახუეველთა მიერ შეკრული

კმითა მით საუფლოთა

უწოდე-რად: „ლაზარე, გამოვედ გარე“

მეყსეულად საფლავით ადადგინე

და თანამეინაპერ იჩინე.

ლოდი რა შეიძრა,

მეყსეულად განცხოველდა მკუდარი,

ქრისტე მეუფეო,

რამეთუ ბრძანებასა შენსა პმონებს ყოველი,

ვინაცვა უწოდე რა ა,

ვითარმედ „ლაზარე, გამოვედ გარე“,

სრბით გამოვიდა იგი და თაყუანის - გცა,

უფალო, სასწაულთა მოქმედო.

უძღები მუცელი

შენი სიტყვთ დააცარიელა

მჯსნელმან ყოველთამან,

მძლავრო ჯოჯოხეთო, ყოველთა შემჭამელო,

და აღადგინა მკუდრეთით

შეკრული, რომელი იგი შთაგენთქა შენ,

უწოდა - რა სასწაულთა მოქმედმან,

ვითარმედ „ლაზარე, გამოვედ გარე!“

კმობდა ჯოჯოხეთი:

„ნეტარ თუმცა არა მეხილვე შენ,

რამეთუ ესერა

შენ მიერ წარმიწყმდებიან სხუანიცა მკუდარნი

და... ვიქმნები,

არამედ აღდეგ და განვედ ამიერ
და ვრჩდი ქრისტესა, რაუამს ჭმა-გიყოს,
ვითარმედ „ლაზარე, გამოვედ გარე!

ისმინე ლაზარე –
ჯოჯოხეთი ეტყოდა – ვითარმედ
გიწეს შენ უფალი
და მიბრძანებს მე კელმწიფედ საშინელად,
რომელსა ვმა-უყო მე
განეშორე მისგან და ნუ აყენებ,
ჯოჯოხეთო ბილწო, დაბნელებულო,
ვითარმედ „ლაზარე, გამოვედ გარე!“

მეუფეო ქრისტე,
რომელმან აღადგინე ლაზარე,
მეგობარი შენი,
მკუდრეთით და სულიერ - ჰყავ და განაცხოველე
ბრძანებითა შენითა,
ოხითა მისითა იქსენ სამწყსო შენი
მონებისაგან მტერისა ბოროტისა,
რაღთა მადლობით გადიდებდეთ შენ.

სამებაო სრულო,
დაუსაბამოო და მოუწდომელო,
ყოლად დიდებულო,
მამაო და ძეო და სულო წმიდაო,
გუაცხოვნენ ჩუენ, რომელნი
მართლმადიდებლობით თაყუანის - გცემთ და
გმონებთ

და ნუ მიხედავ შეცოდებათა ჩუენთა
ყოლად ბოროტა და მწიქულევანთა.

რამეთუ შენ ხარ უფალი ჩუენი,
რომელი წიაღთა
მამისათა არახესადა გარეშორე
და კუალად ქალწულისა
მკლავთა ზედა სძითა იზარდებოდე,

ერთი მხოლოდ წმიდისა სამებისად მამით და სულით სწორად დიდებული.

ვფიქრობთ, მოტანილი ტექსტი ვრცელ კომენტარს არ საჭიროებს ანდრია კრიტელის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი იშვიათი პოეტურობა და უღრმესი ემოცია აქაც ცხადად იგრძნობა. საგალობელს რეფრენივით გახდევს და ემოციურობას მატებს მაცხოვრის ფრაზა, ნათქვამი ლაზარქს აღდგინებისას: „ლაზარქ, გამოვედ გარე“, რომელიც საგალობლის სხვადასხვა ტროპარში სხვადასხვა დატვირთვას იძენს. საგალობელი შესაფერისი თარგმანითაა გადმოცემული ქართულად. ანდრიას კანონებისათვის დამახასიათებელია ვრცელი გალობები, ასეთია მოტანილი გალობაც. ძნელია მხოლოდ იმის თქმა, ეკუთვნოდა თუ არა უკანასკნელი 2 ტროპარი („სამებისანი“ და „დმრთისმშობლისანი“) საგალობლის ავტორს – ანდრია კრიტელს. განსაკუთრებით ეს ითქმის „სამებისანის“ შესახებ, რომლის მშრალი, დოგმატური ენა განსხვავდება დანარჩენი ტროპარებისაგან.

ამრიგად, ლაზარქს შაბათისათვის განკუთვნილი კანონის ქართული თარგმანი, გარდა იმისა, რომ ანდრია კრიტელისადმი მისი მიკუთვნების სისწორეს ადასტურებს, II გალობის აღდგენის საშუალებასაც იძლევა.

კანონის განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი მიეკუთვნება წმ. საბას მონასტერს. აქ VIII საუკუნის შუა წლებში ჩატარდა ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის რეფორმა, რომელიც შეკავშირდება იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის სახელებს. ბიზანტიური ლიტერატურის მკვლევარნი და თვით ბერძენი მწერლები ამ ავტორთა კანონებს ყველაზე მაღლა აყენებენ.

იოანე დამასკელი ქრისტიანული რელიგიურ - ფილოსოფიური აზროვნების უპირველესი წარმომადგენელია. მისი ნაშრომები საფუძვლად დაედო სასულიერო მწერლობის არაერთი დარგის შემდგომ განვითარებას. მის ადგილს ადმოსავლეთის ეკლესიაში ადარებენ თომა აქვინელისას დასავლეთის ეკლესიაში. მართლმადიდებლობისადმი ერთგულებამ იგი ხატთა თავგამოდებულ



დამცველად აქცია, ხოლო ოქტოებოსზე გაწეულმა დიდმართველი შრომამ სამუდამოდ დაუმკიდრა მას თვალსაჩინო ადგილი ბიზანტიური ლიტურგიისა და პიმნოგრაფიის ისტორიაში.

იოანე დამასკელის ქართულად თარგმნა აღრე დაუწყიათ. თვით ეფრემ მცირეს – მარხვანის ახალი რედაქციის შემდგენელს – ქართულ ენაზე უთარგმნია არაერთი ნაწარმოები.

მასვე ეკუთვნის დამასკელის ყველაზე ცნობილი საგალობლის - „აღდგომის კანონის“ ახალი თარგმანიც, რომელიც საგანგებოდ განვიხილეთ (ხაჩიძე 2000).

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში გიორგისეული მარხვანიდან შესულია ამ ავტორის 2 კანონი. I მათგანი განკუთვნილია დიდმარხევის პირველი შაბათისათვის, რომელზეც დაწესებულია ცნობილი წმინდანის – თეოდორე სტრატილატის ხეენება: „პირველსა შაბათსა წმიდათა მარხვათასა. ჭენენებად წმიდისა და დიდებულისა თეოდორე მოწამისა. უგალობდითსა. ჭმად დ გ ი. ქუეყანასა მწყურ. – უწყი ტრფიალებად შენი...“ კანონს ერთვის შენიშვნა, რომელიც ზემოთ განვიხილეთ.

დიდმარხევის პირველი შაბათისათვის განკუთვნილი ეს კანონი აღრევე უთარგმნიათ ქართულად. X ს-ის სინურ იადგარებში – სინ. 1, 14, 26, 64 შესულია მისი პირველი თარგმანი: „პირველსა შაფათსა წმიდათა მარხვათა წმიდისა თეოდორესი დასდებელნი. უგალობდითსა. ქუეყანასა მწყურნება. – მეცნიერ ვართ შენდა, სანატრელო...“ (სინ.1, 87v –

87r). ამავე თარგმანითაა შესული იგი სინ.5 და სინ.75 ხელნაწერებში. გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში შესულია ეს თარგმანი, რომელსაც მოსდევს შემდეგი შენიშვნა: „მისვე წმიდისა გალობანი. ჭმად დ გ ი. ქუეყანასა მწყურ. – უწყი ტრფიალებად შენი ღმრთისა მიმართ...“ (29r - 30r). კანონის დასაწყისის გასწვრივ აშიაზე მიწერილია ავტორი – იოანე. როგორც კვლევამ ცხადყო, ესაა იოანე დამასკელის აღნიშნული კანონის II თარგმანი, რომელიც თავად გიორგი მთაწმიდელს უნდა ეპუ-

ვნოდეს. მოვიტანთ კანონის I ოდის (უგალობდითსა) რექსტს ორივე თარგმანის მიხედვით.

სინ. 5

გეორგ. 5

743 296 მეცნიერ ვართ შენდა, უწყი ტრფიალებად შენი სანატრელო, ღმრთისა მიმართ წმიდაო თეოდორე, სიყუა- რულითა შენითა და სიყვარულითა შენითა უსაზღვროთა შეპყრო- ბილ ვარ

გონებანი ჩუენნი აღიძვრი- სულით და ჭორცით და სიტ- ან ყუათა
და ქებით გალობასა შე- შესხმისათა შევსწირავ შენ- და, თეოდორე.
გასხამთ.

დაიწერა შენთვე განჩინე- დაიწერა ბრძანებად შეგინე-
ბა ღმრთისმოულისაგან, ბული,
რადთა შესწირო მსხუერ- რადთა პმსახურებდენ კერპთა
პლი და არა ღმერთსა ცხოველსა,
კერპთა მიმართ უსულო- არამედ შენ ღმერთისა შეიწი-
თა, რე
ხოლო შენ შეიწირე და და არა უგე პერპთა ღუაწ-
არა შესწირე. ლით შემოსილო.

განეწესე სტრატიოტად სიყუარულითა საღმრთოოთა
მისა, აღეტყინე
წმიდაო თეოდორე, რო- მელმან მგედარ ექმენ,
მოსაგებელად გვრგზი თეოდორე, ნეტარო მოწამეო



ზეცისა მოგანიჭა და გპრგბნსა მარტულთასა უკრიველი
და გუნდთა თანა ზეცისა- მიემთხვე. გილელი გერი

თა აღგრაცხა.

კრებული ანგელოზთ.

კრებული

იოანე დამასკელის აღნიშნული კანონი შესულია ბერძნული და სლავური მახვანების არსებულ გამოცემებში პირველ პარასკევს:

„Творение Иоанна Дамаскина, егоже краесточие. песнь а.

Воду пропед. - Божия тя рачителя...“ (სლავური მარხვანი 1975: 261-265).

ორიგინალში იგი აკროსტიქულია, თარგმანებში კი არ შეიცავს აკროტიქს. ბერძნულ და სლავურ მარხვანებში, ისევე ორგორც გიორგი მთაწმიდელის მარხვანში, იგი II ოდის გარეშე შესული, სინ. -სინ.75 ხელნაწერებში დაცული ქართული თარგმანი კი შეიცავს ამ ოდას. სამეცნიერო ლიტერატურაში ნაჩვენებია, რომ დამასკელის ეს კანონი შესულია ყველა ბერძნულ ტრიოდიონში, გარდა ვატიკანი №771 ხელნაწერისა. ყველა ამ ხელნაწერში იგი წარწერილია იოანე ბერის სახელით.

ამრიგად, იოანე დამასკელის აღნიშნული კანონის I – სინ.5-სინ.75 ხელნაწერებში დაცული – ვერსია თავისუფალი თარგმანის შთაბეჭდილებას ტოვებს, სადაც მთავარია აზრის ძირითადად სწორად გადმოცემა და არა ორიგინალთან ზედმიწვენით სიახლოვე. ასეთივე მიმართებაა დამასკელის „აღდგომის კანონის“ გიორგისეულ და წინადროინდელ თარგმანებს შორის.

იოანე დამასკელის სახელითაა წარწერილი ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში ლაზარეს შაბათისათვის განკუთვნილი კანონიც: „მეუქუსესა შაბათსა. სხუანი გალობანი წმიდისა ლაზარესნი. უგალობდითსა. ქმად დ გ ი. უგალობდეთ. – უგალობდეთ უფალსა...“ ეს კანონიც, ორგორც ჩანს, ადრევე უთარგმნიათ ქართულად. სინ. I-ში (X ს. I ნახვარი) უკვე შესულია მისი ქართული თარგმანი: „უგალობდითსა. უგალობდეთ უფალსა. – უგალობდეთ

უფალსა, რომელმან...." (108r-109v). გვხვდება იგი სინ. 64 ხელნაწერშიც, აგრეთვე სინ.5 და სინ.75 ხელნაწერებში.

X ს-ის სინურ იადგარებსა და სინ.5-სინ.75 ხელნაწერებში იოანე დამასკელის ეს კანონი შესულია ავტორწა-უწერლად, ერთი და იგივე თარგმანით.

გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში აღ-ნიშნული კანონი წინადროინდელი თარგმანითაა შესული. კანონის დასაწყისის გასწვრივ აშიაზე მიწერილია ავტო-რი - „იოანე“. ბერძნულ ხელნაწერებში დამასკელის ეს კანონი, ისევე როგორც თეოდორე ტირონისადმი მიძღვნი-ლი კანონი, წარწერილია იოანე ბერის სახელით. ზოგი-ერთ ხელნაწერში ლაზარეს შაბათისადმი მიძღვნილ კა-ნონში იოანეს მიეწერება მხოლოდ უკანასკნელი 4 გალო-ბა; პირველი 4 გალობის ავტორებად კი დასახელებულია თეოფანე (ათანასეს ლავრის ბერძნული ხელნაწერი №47), იოსები (ვატოპედის ტრიოდი №315-349) ან კოზმა (ბარბე-რინის ბიბლიოთეკის ბერძნული ტრიოდი №484). ეს გარე-მოება სამეცნიერო ლიტერატურაში ახსნილია იმით, რომ მარხვანებში იოანე დამასკელის აღნიშნული კანო-ნის წინ დადგებულია კოზმა იერუსალიმელის ოთხსაგა-ლობელი, რომელიც შეესტებულია თეოფანე გრაპტოსის მიერ. როგორც ჩანს, ამის ანალოგიით მიიჩნიეს მომღევ-ნო კანონიც კომპილაციურად და მიაწერეს ორ ავტორს. ი. კარაბინოვის აზრით, ლაზარეს შაბათისათვის განკუთ-ვნილი ეს კანონი ერთ ავტორს – იოანე დამასკელს უნ-და ეკუთვნოდეს (კარაბინოვი 1910: 108). ამას მოწმობს ის გარემოებაც, რომ კანონი ძლისპირები აღებულია იოანე დამასკელის საკვირაო კანონებიდან.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ ამ თვალ-საზრისს ადასტურებს ლაზარეს შაბათისათვის განკუთ-ვნილი ამ კანონის ქართული თარგმანები. ქართული მარ-ხვანის ორი რედაქცია – გიორგი მთაწმიდელისა და ეფ-რემ მცირისა - კანონის ავტორად ასახელებს ერთადერთ ავტორს – იოანე დამასკელს.

დამასკელის ეს კანონი შესულია ბერძნული და სლავური მარხვანების გამოცემებში, ოდონდ ქართულისა-

გან განსხვავებით, ბერძნულ მარხვანში იგი წარწერილია კოზმას სახელით

აღნიშნულ გამოცემებში ამ კანონის ოდები მოხსელი და დაცული ამავე დღისათვის განკუთვნილი კანონის („კმად ა. სასწაული. – ოთხისა დღისა...“) შესაბამის ოდებს. კანონი არ შეიცავს II ოდას, ისევე როგორც გოორგი მთაწმიდებლის ავტოგრაფულ მარხვანში. სინ.5- სინ.75 ხელნაწერებში დაცული მისი ქართული თარგმანი კი ამ ოდას შეიცავს.

ამრიგად, იოანე დამასკელის აღნიშნულ კანონების ქართული თარგმანები ყურადღებას იმსახურებს მათი ავტორობის საკითხის დაზუსტების და ორიგინალის ტექსტის ისტორიის შესწავლისათვის; ნათელყოფს ქართველ მთარგმნელთა მუშაობის ხასიათს.

როგორც ნაშრომის წინა თავებში ვაჩვენეთ, ეფრემ ციირის რედაქციის მარხვანში, მარხვანის წინადროინდებული რედაქციასთან შედარებით, სისტემატურადაა ამოღვაბული VIII ს-ის იერუსალიმელი პატრიარქის – ელია III-ის საკვირაო კანონები. ეს გარემოება განპირობებული

უნდა იყოს ეფრემის თანამედროვე ბიზანტიური პრაქტიკით. დიდმარხვის მეორე კვირიაკისათვის განკუთვნილ კანონებზე დართულ შენიშვნაში საგანგებოდაა აღნიშნული: „ხოლო ელიასნი დაფარებ“. მით უფრო მოულოდნელია ეფრემ ციირის რედაქციის მარხვანში დიდმარხვის IV კვირიაკეზე ელია იერუსალიმელის კანონის არსებობა: „მეოთხესა კურიაკესა. უგალობდითსა. კმად გ გ ი. წამის-ყოფი – მოვედით, წადიერად...“ ავტორი მითითებული არ არის. გიორგი მთაწმიდებლის ავტოგრაფულ მარხვანში კი, სადაც სრულადაა შესული ამ კანონის ტექსტი, აშიაზე მიწერილია ავტორი – ელია. საინტერესოა ის გარემოება, რომ ამ დღეს გიორგის მარხვანში დადებულია ელიას ხასიათ წარწერილი კიდევ ერთი კანონი - „უგალობდითსა. კმად გ გ ი. უგალობვ. – შენ, რომელმან თავს იღვევ...“ ეფრემ მცირის მარხვანში ეს კანონი ამოღვაბულია.

ელია იერუსალიმელის საკვირაო კანონები ჩვენ საგანგებოდ განვიხილეთ (ხაჩიძე 1987). შევეხეთ იქვე აღვიშნეთ, რომ სინ.5 - სინ.75 ხელნაწერებში ისინი შესუ-

ლია სინურ იადგარებში დაცული თარგმანი. აღინიშნა ისიც, რომ ელიას საკვირაო კანონები I ქართული მარტ ხვანის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი უნდა იყოს.

დიდმარხვის IV კვირიაკისათვის განკუთვნილი კანონი, რომელიც შესულია გიორგი მთაწმიდელის და ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანებში, სინ.5-სინ.75 ხელნაწერებსა და სინურ იადგარებში არ არის შესული. იგი პირველად ქართულ ენაზე, შესაძლოა, თავად გიორგის მიერ იყოს თარგმნილი.

ოთხებ მგალობლის შემოქმედებაზე მსჯელობისას ი. კარაბინოვი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ იოსებს კანონები დაუწერია დიდმარხვის კვირა დღებისათვის, მაგრამ გამოუტოვია IV კვირიაკე, რომლის-თვისაც განკუთვნილი იყო იერუსალიმის პატრიარქის – ელიას კანონი (კარაბინოვი 1910: 156). ეს სწორედ ის კანონია, რომელიც ეფრემ მცირეს, გამონაკლისის სახით, დაუტოვებია მარხვანის საკუთარ რედაქციაში. ამ ფაქტს მხოლოდ ერთი ასენა შეიძლება მოექცენოს – ეფრემი, როგორც ჩანს, ასახავს ამოსავალ ბერძნულ მარხვანში არსებულ ვითარებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ელია იერუსალიმელის მარხვანისათვის განკუთვნილი საკვირაო კანონების აღდგენა დღეისათვის შესაძლებელი ხდება მათი ქართული თარგმანების მიხედვით. მხოლოდ დიდმარხვის IV კვირიაკისათვის განკუთვნილი ზემოთაღნიშნული კანონია ცხობილი სამეცნიერო ლიტერატურაში. ი. კარაბინოვი „უთო-თებს მის შემცველ ბერძნულ ხელნაწერებს – სინ. № 742 და № 737 (კარაბინოვი 1910: 110).

ბერძნული და სლავური მარხვანების არსებული პუბლიკაციებში დიდმარხვის IV კვირიაკეს სახელწაუწერლად შესულია შემდეგი კანონი: „Канон Трипесица. Глас е. Песнь а. Спасителю Богу. – Упадобихся, Христе...“ (სლავური მარხვანი 1975: 536-546).

როგორც გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანთან შედარებამ ცხადყო, ამ კანონის ავტორია ელია იერუსალიმელი. ამრიგად, დიდმარხვის IV კვირიაკისათვის განკუთვნილი ელია იერუსალიმელის კანონი, რომ-

ლის არსებობა ცნობილია X - XI საუკუნეების 2 ბერძნული და ქართული ხელნაწერის მიხედვით, სახელწაულერლად აღმოჩნდა მარხვანის არსებულ პუბლიკა-ციებში, აგრეთვე სლავურ მარხვანში.

ელიას ამ კანონის ქართული თარგმანი ყურადღებას იმსხურებს ორიგინალის ტექსტის დადგენის თვალსაზრი-სითაც. იგი შეიცავს რიგ ტრაპარებს, რომლებიც არ შე-დის ბერძნული და სლავური მარხვანების გამოცემებში. უნდა ვივარაუდოთ, რომ, როგორც ყოველთვის, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანი ბერძნული ტრიო-დიონის უფრო ძველ ვითარებას ასახავს, ვიდრე მისი დღეისათვის არსებული პუბლიკაციები.

ნაშრომის წინა თავში აღინიშნა, რომ ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანის ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს მეორედ მოსვლისადმი მიძღვნილი თეოდორე სტუდიელის კანონის III თარგმანი, რომელიც ეფრემის მოწაფეს და თანამოაზრეს –არსენ იყალთოელს ეპუთვნის. მარხვანის ახალი რედაქცია შეიცავს ამავე ავტორი 3 სხვა კანონს, რომლებიც გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანი-დან უცვლელადაა გადასული.

პირველი მათგანი განკუთვნილია ყველიერის შაბა-თისათვის: „უგალობდითსა. ქმაღ დ გ ი. გალობაღ შევ. – გალობითა სულიერითა...“ თეოდორე სტუდიელის ეს კა-ნონი ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში. მასში გვაქვს პირდაპირი მითითება ხატმბრძოლობაზე, თეოდო-რე სტუდიელის სამსაგალობლებისაგან განსხვავებით. ამის მიხედვით ვარაუდობენ, რომ იგი დაწერილი უნდა იყოს განდევნამდე ან თვით განდევნის პერიოდში (813-820წ) (კარაბინოვი 1910: 129 -130).

სინური იადგარების I (მოკლე) რედაქციაში თეოდო-რე სტუდიელის ეს კანონი არ არის შესული. მის ქარ-თულ თარგმანს შეიცავს სინ.34, სინ. 59, სინ.64 ხელნაწე-რები. ამავე თარგმანითაა გადასული იგი სინ.5 და სინ.75 ხელნაწერებში. გიორგი მთაწმიდელს, როგორც ირკვევა, თეოდორეს ამ კანონის წინადროინდელი ქართული თარ-გმანი შეუდარებია ორიგინალთან და შეუტანია მასში გარევეული ცვლილებები, მაგრამ ეს არ არის ახალი

თარგმანი. გიორგისათვის დამახასიათებელია წინადროინ დელი თარგმანები შედარება ბერძნულთან და მთაშორის გარეული ცელილებების შეტანა. ამ მხრივ გიორგის მიერ ჩატარებული მუშაობის ნათელსაყოფად მოვიტანთ ოქონორე სტუდიელის აღნიშნული კანონის I ოდას – უგალობდითსა სინ.5 და გეორგ.5 ხელნაწერების მიხედვით:

ყველიერისა შაბათსა. უგალობდითსა. ჭმად დ გ ბ.
გალობად შევწი

სინ. 5	გეორგ. 5
41ე გალობითა	37რ სულიერითა
დღეს	გალობითა
ყოველნი შევასხმიდეთ დირ- სად	ყოველნი შევასხმიდეთ დირსად
ნეტართა მამათა, რომელ ყვნა.. გგპატემან, ლუბიას, თებადდას, რათხს, სინას და სენაქებს და ყოველთა ქრისტეს სანახებთა.	ნეტართა მამათა, რომელ ბრწყინვიდეს ლუბიას, თებადდას, რათხს, სინას და სენაკებს და ყოველთა ქრისტეს სანახებთა.
გიხაროდენ, მონაზონთა მთავარო ანტონი, შრომითა შემკობი- ლო,	გიხაროდენ, მონაზონთმთა- ვარო ანტონი, ყოვლად შემკობი- ლო,
შენ ამონი ბრძენო, ნიტრისა მნათობო, არსენი ანგელოზო, რათხისა სიმჯნეო და ამონი, სულითა შემკობილო.	და შენ, ამმონ ბრძენო, ნიტრისა მნათობო, არსენი ანგელოზო, დაყვდებისა სუეტო და ამონა, სულითა შემკობილო.

იშუებდი საჭურველითა იშუებდ ჭური სამართ... ქ-



ღმრთისადთა

შენ, აგათონ ღმერთშემოსილო,

აქილა და ამოო,
უდაბნოვსა ყუავილნო,
ამონ და ამონიე,
ამონა და ანთეა,
სათნოებით
ბრწყინვალედ მნათობნო.

მნათობად შეუნიერებისა
დღეს
იქებოდენ არსენი ჩუენგან,
ამპოლოს მოღუაწე,
ფორტა არაფიოსითურთ,
ამბაკუროზ და ელგამო,
რომელ არს ღმერთშემოსილი
და ყუავილი მონაზონებისა.
საო.

მთასა მაღალსა აღშენებულად

ქალაქად გამოჩნდა ავქსენ-
ტი,
მოღუაწე მრავლისა,
აბრაჟამოს დიდი,
მათ თანა აფროდიოს,
სუეტი განეცნებისად,
ანითდეათურთ
გამოჩნდეს ბრწყინვალედ.

ბრწყინავს, ვითარცა ვარ-
სკულავი დღისა

მონაზონთა შორის ამონიოს ბრწყინავს, ვითარცა ვარ-
და საღმრთო ანანია

აქილა და ამოო,
უდაბნოვსა ყუავილნო,
ანობ და ალონიე,
ამონა და ანთე,
სათნოებით
ბრწყინვალედ მნათობნო.

ბულო, სკოლის მუზეუმი

შენ, აღათონ ღმერთშემოსილო,

აქილა და ამოო,
უდაბნოვსა ყუავილნო,
ანობ და ალონიე,
ამონა და ანთე,
სათნოებით
ბრწყინვალედ მნათობნო.

მნათობად შეუნიერებისა
დღეს

იქებოდნენ არსენი ჩუენ
ერ,
ამპოლოს მოღუაწე,
მორჩილებისა ჭურნი,
აკაკიოს და ათრე.
და ამბაკუროს მათ თანა,
ვითარცა რად
ვარსკულავუნი ნათობენ.

მთად მოღუაწებისა მის
მაღლისა

გამოჩნდა ნეტარი ავქსენტი,
მუშაკად მარხვისა,
აბრაჟამ დიდებული,
მათ თანა აფროდიოს,
სუეტი მომინებისად,
ათიხოდორე –

თურთ გამოჩნდეს ბრწყინ-
ვალედ.

და მათ თანავე ნათობს
ანტიოქოს, აპაპი,
და ფორტა დიდი, რომელი
ელვის სახედ
განბრწყინდა სულითა.

თეოდორე სტუდიელის ეს კანონი შესულია ბერძნული და სლავური მარხვანების გამოცემებში.

სლავურ მარხვანში იგი აკტორწაუწერლადაა შესული. ბერძნულ - სლავურ მარხვანებში, ისევე ორგორცქართულ თარგმანში, კანონი სრულია, შეიცავს II ოდას; გმოხვევა ძლისპირ - ღმრთისმშობლისანებიც, ოდონდ ორიგინალსა და ქართულ თარგმანში ღმრთისმშობლისანთა ტექსტები სრულადაა მოტანილი, სლავურ მარხვანებში კი - მხოლოდ მითითებული.

ორგორც შედარებამ ცხადყო, გიორგი მთაწმიდელი ძირითადად იყენებს სინ.5 - სინ.75 ხელნაწერებში დაცულ თარგმანს, ოდონდ ორიგინალის შესაბამისად, შეაქვს მასში გარკვეული ცვლილებები. ცვლილებები ძირითადად ეხება საკუთარ სახელთა მართლწერას. გვაქვს ზოგიერთი სხვა განსხვავებაც. საგალობლის II ტროპარში სინ.5 და სინ. 75 ხელნაწერებში არსენის ეპითეტად გვხვდება „რათოისა სიმწნეო“; გიორგი მთაწმიდელთან - „დაყუდებისა სუეტო“. ამ შემთხვევაში გიორგი ბერძნულიდან ამოდის: „κράτος τῆς ἡσυχίας“; შდრ. სლავური „Державо безмолвия“. საგალობლის IV ტროპარის სინ.5-სინ.75-ში დაცულ თარგმანში წმინდა მამათა შესახებ გვხვდება ეპითეტი „ყუავილი მონაზონებისაა“, გიორგი მთაწმიდელთან კი - „ვითარცა რად ვარსკულავნი ნათობებ“. ეს ჟანასქნელი წაյთხვა მოდის ორიგინალიდან: „እտ ተስ ይውቆብርድር“; ანალოგიურია სლავური თარგმანიც: „Якоже денница“. ბერძნულ ორიგინალს ეთანხმება გიორგისეულ თარგმანში V ტროპარის შემდეგი ფრაზაც: „მთად მოღუწებისა მის მაღლისა“. სინ.5 - სინ.75-ში ეს ფრაზა ასეა თარგმნილი: „მთასა მაღალსა აღშენებულად ქალაქად.“

მონაზონთა შორი ამონიოს, და საღმრთო ანანია უკანვეული და მათ თანავე ნათობს ანტიოქო ნეტარი ღირსისა აპაპისტოდს თანა ელვის სახედ ბრწყინვენ სულითა.



ამ ფრაზის მთარგმნელი, როგორც ჩანს, განიცდის სახურავები რების შესაბამისი ადგილის გავლენას: „ვერ ჰელენიშე და მა- ბის ქალაქება დაფარვად, მთასა ზედა დაშენებულსა“ (მა- თე, 5,14). გიორგი მთაწმიდელი კი ორიგინალიდან ამო- დის: „Одос поитеас үпхлам „შდრ. სლავური თარგმანის „Гора жительства высокого“. ბერძნულის მიხედვით ასწო- რებს წინადროინდელ თარგმანს გიორგი მთაწმიდელი VI ტროპარშიც. სინ.5-ში წმ. ამონიოსის ეპითეტად გვხვდება „ვარსკულავი დღისავ“, გიორგისთან კი – „ვარსკულავი ცისავ“. საგანგებო კვლევა არცაა საჭირო, რომ უპირა- ტესობა გიორგისეულ წაკითხვას მივანიჭოთ. მართლაც, ბერძნულ ორიგინალში გვაქვს „ასთერ ეν იუდანი“, სლა- ვურ თარგმანში კი – „звезда на небеси“.

მიუხედავად ამგვარი სწორებისა, რომლებიც ორი- გინალთან შედარებას ეყიდება, გიორგისეული ტექსტი ძირითადად მიჰყება წინადროინდელ თარგმანს. ეს არ არის ორი სხვადასხვა თარგმანი. მარხვანის საკუთარ რე- დაქციაში შეგანილი საგალობლების დიდ ნაწილზე გი- ორგის სწორედ ამგვარი სამუშაო აქვს ჩატარებული.

დიდმარხევის მეორე კვირიაკეს ეფრემ მცირის რედაქ- ციის მარხვანში დადგებულია თეოდორე სტუდიელის მეო- რე კანონი: „უგალობლიოთსა. წმავ დ ზღუავ უვალი. – კცოდე, უსჯულო ვიქმენ...“ გიორგი მთაწმიდელის ავტოგ- რაფულ მარხვანში თეოდორეს ეს კანონი შედის კომპი- ლაციური კანონის შემადგენლობაში, რომელიც თეოდო- რესთან ერთად, შეიცავს თეოფანე აღმსარებლისა და ელია იერუსალიმელის კანონებს. ეფრემ მცირის რედაქ- ციის მარხვანში თეოდორესა და თეოფანეს კანონები ცალ - ცალკეა გამოყოფილი. ელიას კანონი კი ამოღებუ- ლია.

წინადროინდელ ქართულ ხელნაწერებში – X საუკუ- ნის სინურ იადგარებსა და სინ.5 - სინ.75-ში თეოდორეს ეს კანონი არაა შესული. იგი პირველად გვხვდება გიორ- გი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანში. საფიქრებელია, რომ იგი თავად გიორგის მიერ უნდა იყოს თარგმნილი.

ბერძნული და სლავური მარხვანების არსებულ გა-
მოცემებში თეოდორეს ეს კანონი შესული არ არის. მო-
გვევდება იგი არც ბერძნულ ხელნაწერთა უმეტესობაში.
სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ მხო-
ლოდ ერთ ბერძნულ ხელნაწერში – ტიპოგრაფ. №137
(XIII.) გვხვდება თეოდორეს ავტორობის აღმნიშვნელი
მონოგრამა დიდმარხვის II კვირიაკის კანონთან, რომე-
ლიც უძლები შეიძლის ხელნებას ეძღვნება. ი. კარაბინოვი
ვარაუდობს, რომ ეს კანონი მართლაც შეიძლება ეკუთ-
ვნოდეს თეოდორეს, რადგან იგი შესულია (ავტორწაუ-
წერლად) ვატოპედურ ტრიოდიონში №315-949, რომელიც
სტუდიურ გავლენას განიცდის და, ამდენად, სტუდიელი
მოღვაწის საგალობლებს შეიძლება შეიცავდეს. გამოთ-
ქმულ ვარაუდს და ტიპოგრაფ. №137-ის ჩვენებას ადას-
ტურებს XI საუკუნის 2 ქართული ხელნაწერი – გიორგი
მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანი და ეფრემ მცირის
მარხვანი. ორივე მათგანში აღნიშნული კანონის ავტორად
დასახელებულია თეოდორე. თუ გავითვალისწინებთ აღ-
ნიშნული კრებულების სიზუსტეს საგალობელთა ავტორე-
ბის მითითებაში, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ დიდ-
მარხვის II კვირიაკისათვის განკუთვნილი კანონის „ჭმა
დ. ზღუად უვალი. – ვცოდე, უსჯულო ვიქმენ...“ თეოდორე
სტუდიელისადმი მიკუთვნება ამიერიდან ეჭვს აღარ იწ-
ვევს.

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში დიდმარხვის
მესამე კვირიაკებე შესულია თეოდორე სტუდიელის III
კანონი: „უგალობდითსა. ჭმა ა. დღესა მას. – წინამთვე
გამოსახა...“ მისი სრული ტექსტი დაცულია გიორგი
მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში, სადაც კანონს
ერთვის შემდეგი სათაური: „ძლისპირთა წილ ამათ გა-
ლობათა ესე თქუან, რომელ ესერა დაგვწერიან, მაგრა
სხუად არასადა გინა ამათი თქუმავ“. წინადროინდელ ქარ-
თულ ხელნაწერებში – სინურ იაღგარებსა და სინ.5-
სინ.75-ში იგი შესული არ არის. ამრიგად, შესაძლოა ეს
კანონიც პირველად გიორგის მიერ იყოს თარგმნილი ქარ-
თულად.



თეოდორე სტუდიელის ეს კანონი შესულია ბერძნული კულტურული და სლავური მარხვანების გამოცემებში.

ბერძნულ ტექსტთან შედარებით, კანონის ქართულ თარგმანში გარკვეული ცვლილებები შეიმჩნევა. ქართული თარგმანი შეიცავს ისეთ ტროპარებსაც, რომლებიც არ გვხვდება ბერძნული მარხვანის პუბლიკაციებში. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ თეოდორეს ამ კანონმა დროთა განმავლობაში ცვლილება განიცადა: დაიკარგა 4 ტროპარისაგან შემდგარი II გალობა; სხვადასხვა ხელნაწერში გამოტოვებულია სხვადასხვა ტროპარი (IV, I; V,I; VII,I; VII, I(2); 4; VIII, 1-2; IX, 1-2). ეს ის ტროპარებია, რომლებიც შინაარსობრივად ქრისტეს აღდგომას ეხება. ი. კარაბინოვის აზრით, თეოდორე სტუდიელს ეს კანონი აღდგომის ძლისპირებზე უნდა შეექმნა; მოგვიანო ხანის ხელნაწერებში კი მის თითოეულ ოდასთან მითითებულია სხვა ძლისპირები. მეცნიერის აზრით, ეს უნდა გაკეთებულიყო იმ თვალსაზრისით, რომ განელებულიყო საგალობლის საზემო ხასიათი, შეუფერებელი მარხვის პერიოდისათვის. ამიტომ შეცვალეს, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში მისი ძლისპირები და გამოტოვეს ქრისტეს აღდგომისადმი მიძღვნილი ტროპარები.

ქართულ თარგმანზე დართული სათაური მოწმობს, რომ მთარგმნელი ტოვებს ავტორისეულ ტრადიციას (აღდგომის ძლისპირებს – ლ.ბ.), მაგრამ ამასთან, აღნიშნავს, რომ მარხვის პერიოდში აღნიშნული ძლისპირების სხვაგან (სხვა საგალობლებში – ლ.ბ.) გამოყენება არაა მართებული. ორიგინალის ტექსტის დადგენის თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ კანონის ქართული თარგმანი სრულია – შეიცავს II ოდას და იმ ტროპარებს, რომლებიც ქრისტეს აღდგომას ეძღვნება. მაშასადამე, ქართულ თარგმანში იგი დაცულია იმ სახით, როგორც გამოვიდა ავტორის ხელიდან და, ამდენად, ქართული თარგმანის მიხედვით ორიგინალის სრული სახით აღდგენის შესაძლებლობა იქმნება.

თეოდორე სტუდიელის მრავალრიცხოვან მიმდევართა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს იოსებ მგალობელს. იოსები კვლავ ხაყოფიერ ავტორად იოვლება ბი-

ზანგიელ პიმნოგრაფთა შორის. ისაა ტიპური წარმომადგენელი ბიზანტიური პიმნოგრაფიის კონსტანტინოპოლის რი პერიოდისა. იგი თანაბარი წარმატებით ქმნიდა კანონებს, სამსაგალობლებს და სტიქარონებს. მასვე უნდა ეკუთხნოდეს მარხვანის ახალი რედაქცია. მის მიერ შექმნილ საგალობლელთა რაოდენობის განსაზღვრა შეიძლება მხოლოდ ბერძნული თუენების, ტრიოდიონების, ოქტოებოსების და სხვა ლიტურგიკული წიგნების და მათი თარგმანების შესწავლის შემდგებ. მისი საგალობლები წარმოადგენს „სხუანებს“ - შედგენილია წინამორბედთა რიტმულ - მელოდიური საზომების მიხედვით. მან გაიმურა თეოდორე სტუდიიელის შრომა - შექმნა საგალობლელთა ციკლი დიდმარხვის I ორშაბათიდან დიდი შაბათის ჩათვლით. იოსების მარხვანისათვის განკუთვნილ სამსაგალობლებს ქვემოთ განვიხილავთ, აქ კი შევახებით მის პიმნოგრაფიულ კანონებს.

ბერძნული და სლავური მარხვანების შემცველი ხელნაწერებისა და პუბლიკაციების გათვალისწინებით ი. კარაბინოვი უთითებს იოსებ მგალობლის 11 პიმნოგრაფიულ კანონს (კარაბინოვი 1910:) ისინი ძირითადად დიდმარხვის კვირა დღეებზეა დადგებული, ამიტომ მკვლევარი მათ მოიხსენიებს „საკვირაო კანონებად“. აქევე იმასაც მიუთითებს, რომ მათ რაიმე საერთო გეგმა და მიზანდასახულება არ უნდა ჰქონდეთ.

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში შესულია იოსების 4 პიმნოგრაფიული კანონი. აქედან მხოლოდ ერთია განკუთვნილი დიდმარხვის კვირიაკისათვის. ამრიგად, იოსებს კანონები შეუქმნია დიდმარხვის სადა დღეებისთვისაც.

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში შესული იოსების I კანონი განკუთვნილია დიდმარხვის მეოთხე თოხშაბათისათვის: „უგალობდითსა. წმად დ. ზღვად უგალი. - ძელსა ყოლად წმიდასა...“. მისი ქართული თარგმანი პირველად გვხვდება გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანში, წინადროინდელ ქართულ ხელნაწერებში კი იგი შესული არ არის. ამრიგად, შესაძლოა, მისი ქართული თარგმანი თვით გიორგი მთაწმიდელს ეკუთვნოდეს.

ქართულ ხელნაწერებში დაცული იოსებ მგალობლის ამ კანონის ქართულ თარგმანს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის გამო, რომ დღეისათვის არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში იგი მოხსენიებული არ არის. არ გვხვდება იგი არც ბერძნული და სლავური მარხვანების პუბლიკაციებში. დღეისათვის არსებული მასალების მიხედვით მისი ორიგინალის აღდგენის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს ქართული თარგმანი, დაცული გორგი მთაწმიდელისა და ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაფერია ცნობილი დიდი პარასკევისათვის განკუთვნილ იოსებ მგალობლის კანონის შესახებაც. მისი ქართული თარგმანი შესულია გიორგი მთაწმიდელისა და ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანებში: „დიდსა პარასკევასა. უგალობდითსა. ჭმარ ბგი. უფსერულმან. – რომელი მოხვლად ხარ...“ მიუხედავად იმისა, რომ ეფრემ მცირის მარხვანში ვნების შვიდეულის მასალა, ფაქტიურად, განახლებულია, იოსების აღნიშვნული კანონი მაინც მითითებულია გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანიდან, მითითებულია მისი ავტორიც. როგორც ჩანს, ეფრემისათვის ამოსავალ ბერძნულ მარხვანში იოსებ მგალობლის ეს კანონი შესული ყოფილა II ოდის გარეშე. მარხვანის ახალი ქართული რედაქციის შემდგენელის კატეგორიული ტონი: „მოხილე დააგდე, აქა არ ეწერა“, რომელიც ახლავს კანონზე დართულ შენიშვნას, შესაბამისი დღის (დიდი პარასკევი) გამორჩეულობით უნდა აიხსნას.

ამრიგად, ქართული მარხვანის გიორგისა და ეფრემისეული რედაქციები საშუალებას იძლევა ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენლის – იოსებ მგალობლის აქამდე ცნობილი მემკვიდრეობა შეივსოს 2 ახალი საგალობლით – IV ოთხშაბათისა და დიდი პარასკევის კანონებით. ორივე მათგანი გამოირჩევა იმ დიდი ლირიზმითა და პოეტურობით, რაც დამახასიათებელია ამ ავტორისათვის.

იოსებ მგალობლის კანონი „სხუანი გალობანი. უგალობდითსა. ჭმარ დ გ ი. ეტლთა მფლ. – მოვედით, დღეს

მორწმუნებო...“ ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში დატეკული დადგმარხვის შეოთხე ხუთშაბათს. გიორგი მთავრის მიღების რედაქციის მარხვანში დაცულია მისი სრული ტექსტი. წინადროინდელ ქართულ ხელნაწერებში იგი შესული არ არის და, ამდენად, შესაძლოა, თვით გიორგის მიერ იყოს თარგმნილი.

იოსების ამ კანონის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არაფერია ნათქვამი.

ბერძნული და სლავური მარხვანების გამოცემებში შესაბამის დღეზე (IV ხუთშაბათს) დადგებულია იოსების სამფსალმუნი, რომელიც გვხვდება ეფრემ მცირისა და გიორგი მთაწმიდელის მარხვანებიც. ამრიგად, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ იოსების აღნიშნული კანონი არ ჩას ჩეენს ხელთ არსებულ ბერძნულ - სლავურ წყაროებში. სინამდვილეში, იგი შესული აღმოჩნდა ბერძნული და სლავური მარხვანების გამოცემებში დიდმარხვის IV პარასკევს, ბერძნულ მარხვანში მითითებულია ავტორიც: სლავურ მარხვანში ეს კანონი ავტორწაუწერლადაა შესული: „Канон егоже краестrophicе: Покланяемое всем поем древо. Глас й. Песнь а. Колеснициегонителя фараона. Господню пришедшее днесь...“.

ქართული წყაროების მოწმობით, ეს კანონი ეპუთვნის იოსებ მგალობელს. ამრიგად, ქართული მარხვანის გიორგი მთაწმიდელისა და ეფრემ მცირის რედაქციები ბერძნულ - სლავურ მარხვანებში ანონიმურად შესული ამ კანონის ავტორის დადგენის საშუალებას იძლევა, იოსებ მგალობლის დღეისათვის ცნობილ მემკვიდრეობას კი ემატება მისი კიდევ ერთი ჰიმნოგრაფიული კანონი.

დადგმარხვის V კრიაკეს ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში დადგებულია იოსების სახელით წარწერილი შემდეგი კანონი: „გალობანი ლაზარესნი და მდიდრისანი. უგალობდითსა. კმარ დ გი ქუეყანასა მწყ. – მივემსგავსე...“ მისი სრული ტექსტი დაცულია გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში. წინადროინდელ ქართულ ხელნაწერებში იგი შესული არის. მისი თარგმანი პირველად მარხვანის გიორგისეულ რედაქციაში გვხვდება.

იოსების შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურული მომართვის მიერ დაში არც ეს კანონია მოხსენიებული, რაც კიდევ ურთხელ მოწმობს, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ძველქართულ თარგმანებს ბიზანტიური პიმნოგრაფიის შესწავლისათვის. ბერძნული და სლავური მარხვანების გამოცემებში იოსების ეს კანონი სახელწაულებრივ აღმოჩნდა შესული: (ტრიოდიონი 1879: 525-532); (სლავური მარხვანი 1975: 670-679).

ამრიგად, ქართული მარხვანის გიორგისა და ეფრემისეული რედაქციები ამ შემთხვევაშიც საშუალებას იძლევა ავტორი მოვაუდებნოთ ამ ანონიმურ საგალობელს.

დიდ შაბათს ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში შესულია მარკოზის სახელით წარწერილი კანონი „უგალობდითსა. ჭმავ ბ გ ი. რომელმან დაფა. — ქრისტე, მწინელო ჩუენო...“ მისი სრული ტექსტი დაცულია გიორგი მთაწმიდელის მარხვანში. წინადროინდელ ქართულ ხელნაწერებში იგი არ არის შესული. კანონის ავტორი — მარკოზ ბერი, ოტრანტის ეპისკოპოსი, თეოდორე სტუდიელის მიმდევრად ითვლება.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ დიდი შაბათის ოთხსაგალობელი („Αφρον γηραλέε“) დაუწერია IX ს-ის პიმნოგრაფ ქალს — კასიას. სინამდვილეში, ეს არის კოზმა იერუსალიმელის აღნიშნულ დღეს დადგბული ოთხსაგალობლის დამატებით 4 გალობა. კასიას ამ გალობათა ისტორიას გვაცნობს კოზმა იერუსალიმელის კანონების კომენტატორი — თეოდორე პროდრომე (XII ს.): „მომდევნო პერიოდში მოღვაწე მაქება შეუფერებლად მიიჩნიეს კოზმას გალობებზე ქალის მიერ შექმნილი საგალობლის მიმატება, ამიტომ დაავალეს მარკოზს (ოტრანტელს) ახალი ტროპარების შედგენა ძველ ძლისპირებზე“. 6. ქანთოპულოს ცნობით, მარკოზს ეს სამუშაო შეუსრულებია იმპერატორ ლეონ VI-ის დავალებით. როგორც ჩანს, მარკოზის ტროპარებმა ერთბაშად ვერ შეძლო კასიას ოთხსაგალობლის შეცვლა, რადგან ეს უკანასკნელი გვხვდება XII ს-ის ზოგიერთ ხელნაწერშიც.

ბერძნული და სლავური მარხვანების გამოცემებში დიდ შაბათს შესულია კომპილაციური კანონი, ორმლის აეტორები – მარკოზი და კოშმა მითითებულია სათაურ-შივე. კასიას მიერ შექმნილად მიიჩნევს ამ კანონის ძლის-პირებს კ. უელეში.

მარკოზის კანონის ქართული თარგმანიც ამავე ძლისპირებზეა შექმნილი, ოდონდ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული თვალსაზრისისაგან განსხვავებით, მარხვანის გიორგისა და ეფრემისეულ რედაქციებში მარკოზი მიიჩნეულია მთელი კანონის (და არა კოზმას ტროპარებზე დართული ოთხსაგალობლის) ავტორად.

უფრემ მცირის რედაქციის მარხვანში აღნიშნულ კანონს ერთვის შემდეგი შენიშვნა: „ესე გალობანიცა მონვე პჲოვნე და აღიდებდითსა შენ მხოლოდ სანატრელ ხარ-მონამდის ეწერა და იგი არა.“ გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში ეს კანონი შეიცავს IX ოდის – აღიდებდითსას 2 ფენას, რომელთაგან II იწყება აღნიშნული სიტყვებით: „შენ მხოლოდ სანატრელ (212r). ამრი-გად, ეფრემის ამოსაგალ ბერძნულ მარხვანში ეს კანონი, როგორც ჩანს, შეიცავდა I „აღიდებდითსას“ ისევე, რო-გორც დანარჩენ ოდებს და მიეწერებოდა ერთ ავტორს – მარკოზ ბერს. ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მარკოზისა და კოზმას შემოქმედების კვლევისას.

მარხვანის ახალ რედაქციაში შესულია ქრისტეფორეს სახელით წარწერილი 2 კანონიც. როგორც ზემო-თაც აღვნიშნეთ, სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია მისი ერთადერთი საგალობელი – ყველიერის კვირიაკის კანონი ადამის დაცემის შესახებ.

ქრისტეფორეს ეს კანონი შესულია ბერძნული და სლავური მარხვანების არსებულ გამოცემებში.

ბერძნულ მარხვანში იგი ავტორწაუწერელია.

ქრისტეფორეს ამ კანონის ქართული თარგმანი პირ-ველად გვხვდება სინ.5 და სინ.75 ხელნაწერებში. ორივე მათგანში კანონის ავტორად დასახელებულია სტეფანქ: „ამასევ ყველიერისა კურიაკესა ადამის ექსორიობისანი. თქუმულნი სტეფანესი. უგალობდითსა. გმად დ გ ი. გა-

ლობად შევ. – მოვედ სულო ჩემო ცოდვილო...“ (სინ.5 50) სინ.75 ხელნაწერშიც კანონზე დართულ სათაურში მითხუავით თებულია „თქუმულნი სტეფანესნი“ (27r).

გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში ქრისტეფორეს ეს კანონი შესულია სინ.5 - სინ.75-ში დაცული თარგმანით, რომელიც ძირითადად თანხვდება დღეისათვის გამოცემულ ბერძნულ ტექსტს. სინ.5 - სინ.75 ხელნაწერებისაგან განსხვავებით, გიორგი მთაწმიდელის მარხვანში კანონის ავტორად მითითებულია „ქრისტეფორე“. ამრიგად, გიორგი იყენებს აღნიშნული კანონის წინადროინდელ თარგმანს, მაგრამ ბერძნული მარხვანების შესაბამისად, ასწორებს მისი ავტორის ვინაობას. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ცხადყოფს გიორგი მთაწმიდელისათვის დამახასიათებელ სიზუსტეს საგალობელთა ავტორების მითითებაში.

გიორგი მთაწმიდელისა და ეფრემ მცირის ოედაქციის მარხვანების შესწავლამ გამოავლინა ქრისტეფორეს მეორე – აქამდე უცნობი კანონიც, რომელიც დაღებულია დიდმარხების მნიშვნელოვან დღესასწაულზე – ბზობას: „მეექუსესა (ბზობისა) კურიაკესა. სხუანი გალობანი. ჭმად გ. წამისყოფი. – განჯვენ დმრთისა სიტყუაო...“ კანონის ავტორი – ქრისტეფორე მითითებულია ეფრემთანაც და გიორგისთანაც. როგორც კანონზე დართული შენიშვნა მოწმობს, ეფრემ მცირისათვის ამოსავალ ბერძნულ მარხვანში ქრისტეფორეს ამ კანონის ოდებთან დმრთისმშობლისანები მითითებული არ ყოფილა. სხვა მხრივ კი, კანონის წინადროინდელი თარგმანი, როგორც ჩანს, ზუსტად თანხვდებოდა ეფრემის თანამედროვე ბიზანტიურ ტრადიციას.

ამრიგად, IX ს-ის ბიზანტიული ჰიმნოგრაფის – ქრისტეფორეს აქამდე ცნობილ მემკვიდრეობას ემატება ახალი საგალობელი – ბზობის კურიაკისათვის განკუთვნილი კანონი.

დიდმარხების I შაბათს ეფრემ მცირის ოედაქციის მარხვანში, იოანე დამასკელის კანონის შემდეგ, შესულია გიორგის სახელით წარწერილი კანონი: „სხუანი გალობანი. ეტლთა მფლ. – მძლავრთა მიმართ და მდევართა...“

იგი თეოდორე ტირონის ხსენებას ეძღვნება. კანონის სრული ტექსტი შესულია გიორგის მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში, სადაც კანონის ავტორი – „გიორგი მიწერილია განმაცხოველებლის ხელით. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანის განმაცხოველებელი ეფრემის რედაქციის მარხვანის ძირითადი ნაწილის გადამწერი – ოქროპირი უნდა იყოს. სწორედ მის მიერაა მიწერილი აღნიშნული კანონის ავტორი გეორგ. ას I ნაწილშიც, წინადროინდელ ქართულ ხელნაწერებში – X ს-ის სინურ იადგარებსა და სინ. 5 - სინ. 75 ხელნაწერებში ეს კანონი შესული არ არის. ისიც პირველად მარხვანის გიორგისულ რედაქციაში გვხვდება. აღნიშნული კანონი არც ბერძნული და არც სლავური მარხვანების პუბლიკაციებში გვხვდება.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ IX - X საუკუნეების ბერძნულ ხელნაწერებში საგალობელთა ავტორებად გვხვდება რამდენიმე გიორგი: ნიკო მიდიის მიტროპოლიტი (Nikokētēs), გიორგი აღმოსავლეთიდან (Ανατολικός), გიორგი სიცილიელი, გიორგი სინჯლი, ბერძნულ სვინაქსარებში მოხსენიებული გიორგი („კანონთა შემქმნელი“) და კიდვე ერთი გიორგი (Папий). თითოეულ მათგანს მიეწერება კანონთა სხვადასხვა რაოდენობა. რამდენადაც ამ ავტორთა შემოქმედება შეუსწავლელია დღემდე, ძნელი სათქმელია, თუ ვინ უნდა იყოს ჩვენთვის საინტერესო კანონის ავტორი. ერთი კი ცხადია, შემდგომი კვლევისათვის აღნიშნული კანონის ქართულ თარგმანსაც გარკვეული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

ხატოვანისმცემელთა შორის კარგადაა ცნობილი IX ს-ის ბიზანტიელი პიმნოგრაფი, ნიკის ეპისკოპოსი – თეოფანე, რომელსაც თავისი აღმსარებლობის გამო სახეზე ამოუდალეს წარწერა. (ხაჩიძე 2000). მარხვანის წინადროინდელი რედაქციიდან ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში შესულია თეოფანეს 2 კანონი. პირველი მათგანი განკუთვნილია დიდმარხვის პირველი კვირიაკისათვის: „უგალობდითსა. ჭმად გ. რომელმან წამისყოფ. – მოვე დით, მორწმუნენო, სიხარულით...“ გიორგი მთაწმიდელის

ავტოგრაფული მარხვანის ფოტოპირებზე, ტექნიკური მოწევების გამო, ავტორის აღნიშვნა არ ჩანს და, ამდენად უფრემ მცირის რედაქციის მარხვანი იძლევა მისი დაღგუნის საშუალებას. ავტორზე მითითების სიზუსტეს მოწმობს გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მარხვანის ორიგინალი, სადაც იკითხება ავტორის სახელი – „თეოფანე“. გიორგისეულ მარხვანში თეოფანეს ეს კანონი შესულია წინადროინდელი თარგმანით, რომელიც დაცულია სინ. 5 -სინ. 75 ხელნაწერებში. ავტორი – თეოფანე მითითებულია ორივე მათგანში კანონზე დართულ სათაურშივე: „ამასვე კურიაკესა წმიდათა ხატთანი, თქუმულნი წმიდისა თეოფანესნი. მასვე ზედა. რომელმან წამისყოფით. – მოვედით, მორწმუნენო...“ (სინ. 5, 79v; სინ. 75, 86v). სინ. 5 ხელნაწერში დიდმარხვის აღნიშნული კვირიაკის მასალა იწყება სათაურით, სადაც მოხსენიებულია, თუ როგორ განამტკიცა დედოფალმა თეოდორამ ხატთა თაყვანისცემა VII მსოფლიო კრებაზე „უშჯულო“ იმპერატორთა მიერ ხატთაყვანისმცემელთა ხანგრძლივი დევნის შემდეგ: „მეორესა კურიაკესა წმიდათა მარხვათასა ჭსენებად ადესრულების მეშვდე კრებისად, რომელი ქმნა კონსტანტინეპოვლეს ღმრთისმოყვარემან დედოფალმან თეოდორია და დაამტკიცა მან თაყვანისცემად წმიდათა ხატთად შემდგომად სიკეულილისა უშჯულოთა მათ მეფეთა – ლეონ და კონსტანტინე და შემდგომთა მათთა, რომელთა შეურაცხვეს წმიდათა ხატთა თაყვანისცემად და სდევნიდეს თაყვანისმცემელთა მათთა პა წელ“ (სინ. 5 77r). ბუნებრივია, რომ ამ დღეს ხელნაწერებში დადგებულია თეოფანეს არაერთი საგალობელი, მათ შორის აღნიშნული კანონიც, რომელიც ქართულ პიმნოგრაფიაში პირველად სინ. 5-სა და სინ. 75 ხელნაწერებში გვხვდება.

თეოფანეს ეს კანონი შესულია ბერძნული და სლავური მარხვანების გამოცემებში.

ქართულად იგი აკროსტიქის გარეშეა თარგმნილი.

ამავე ავტორს მიეკუთვნება უფრემ მცირის რედაქციის მარხვანში მეორე კვირიაკეზე შესული კანონი: „უგალობდითსა. ჭმად დ. ზღუად უვალი. – მარხვად ღმრთივიდებული“. გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარ-

ხვანში იგი შესულია კომპილაციური კანონის შემადგენლივ დობაში, რომლის დანარჩენი ოდები ეკუთვნის თეოდორე ტევის სტუდიელს და ელია იერუსალიმელს.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ეფრემ მცირის მარხვანში ცალკეა გამოყოფილი თეოდორეს და თეოფანეს კანონები, ელიას კანონი კი ამოღებულია. თეოფანეს და თეოდორეს ავტორობა გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში აღნიშნულია განმაცხოველებლის (ოქროპირის) ხელით, ელიას ტროპარები კი გამოიყოფა საგანგებო ნიშნით (-X). X ს-ის სინურ იადგარებსა და სინ.5-სინ.75 ხელნაწერებში თეოფანეს ეს კანონი შესული არ არის. იგი პირველად გვხვდება გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანში.

თეოფანე გრაპტოსის ეს კანონი ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში. მითითებულია ისიც, რომ მას ანბანური აკროსტიქი ჰქონდა და ეძღვნებოდა უძღები შვილის ხსენებას. ბერძნული და სლავური მარხვანების პუბლიკაციებში თეოფანეს ეს კანონი შესული არ არის. ამრიგად, გიორგი მთაწმიდელისა და ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანები მხარს უჭრს ძველ ბერძნულ ტრიოდიონებს. შემდგომდროინდელი ტრადიცია კი, რომელსაც ემყარება ბერძნული მარხვანების პუბლიკაციები, თეოფანეს ამ კანონს არ იცნობს.

*

მარხვანის ახალი რედაქციის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს სამსაგალობლები შეადგენს. როგორც ცნობილია, ეს ფორმა საეციფიკურია მარხვან - ზატიკისათვის. აქვთ დანვე მომდინარეობს კრებულის ბერძნული სახელწოდებაც - „თეოდორ.“

ნაშრომის I თავში ნაჩვენებია, რომ იადგარიდან ცალკე კრებულად გამოყოფილი I ქართული მარხვანი შეიცავდა სამსაგალობელთა 2 ციკლს, რომელთა ავტორებია თეოდორე სტუდიელი და სტეფანე საბაწმიდელი. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ მარხვა-

ნისათვის განკუთვნილი სამსაგალობლების სისტემა, რო-
მელიც თეოდორე სტუდიელს ეკუთვნის, პირველად შემო-
დის დიდი იადგარის ვრცელ რედაქციაში (სინ. 59, სინ.
64, იელის, წვირმის იადგარები).

ქართული მარხვანის შემდგომდორინდელ რედაქცია-
ში, რომელიც სინ. 5-სინ. 75 ხელნაწერებშია წარმოდგენი-
ლი, შესულია სამსაგალობელთა 3 ციკლი, რომლის აჯ-
ტორები არიან იოსებ მგალობელი, თეოდორე სტუდიელი
და სტეფანე საბაშმიდელი. თეოდორესა და სტეფანეს სამ-
საგალობლები აქ გადასული უნდა იყოს I ქართული მარ-
ხვანიდან, რომლის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნა-
წილს სწორედ ეს რეპერტუარი ქმნის (ელია იერუსალიმე-
ლის საკვირაო კანონებსა და იოანე მინჩხის მცირე ფორ-
მის საგალობლებთან ერთად (ხაჩიძე 1987). X საუკუნის
სინურ იადგარებთან შედარება ცხადყოფს, რომ თეოდო-
რე სტუდიელის სამსაგალობელთა თარგმანები თითქმის
უცვლელადაა გადასული სინ.5 - სინ.75 ხელნაწერებში.
სავარაუდოა, რომ სტეფანე საბაშმიდელის სამსაგალო-
ბლებიც უცვლელი სახით უნდა იყოს აქ შესული. რაც შე-
ეხება იოსების სამსაგალობლებს, რომლებიც სინ.5-სინ.75
ხელნაწერებში დიდმარხევის სადა დღეების განგებაზე I
ადგილზეა წარმოდგენილი, ისინი პირველად ამ ხელნაწე-
რებში გვხვდება და, როგორც ჩანს, მათი თარგმნა მარ-
ხვანის ამ რედაქციის შემდგენელს უნდა უკავშირდებო-
დეს.

სამსაგალობლები ისევე, როგორც მარხვანის დანარ-
ჩნი მასალა, ყველაზე სრულყოფილი სახით წარმოდგე-
ნილია გიორგი მთაშმიდელის რედაქციის მარხვანში. ყვე-
ლიერის შეიდეულზე აქ გვხვდება 3 ავტორის – ანგონი
სტუდიელის, თეოდორე სტუდიელისა და იოსების სამსა-
გალობლები. დიდმარხვის მომდევნო პერიოდის (I ოშა-
ბათიდან VI პარასკევის ჩათვლით) სადა დღეების განგება
სისტემაზე ურად შეიცავს 3 ავტორის – თეოდორე სტუდიე-
ლის, სტეფანე საბაშმიდელისა და იოსების სამსაგალო-
ბლებს. მათ გარდა, გიორგი მთაშმიდელის რედაქციის
მარხვანში შესულია ანდრია კრიტელის რამდენიმე სამსა-

გალობელი, კრცლადაა წარმოდგენილი ვნების შეიძლება სამსახურის განკუთხილი სამსაგალობლებიც.

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში სამსაგალობლების დიდი ნაწილი გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანიდანაა გადასული. დიდმარხვის თითოეულ სადა დღეზე (ყველიერის ორშაბათიდან VI პარასკევის ჩათვლით) ეფრემის მარხვანში მითითებულია სამსაგალობელთა 2 ციკლი, რომლის ავტორები არიან იოსებ მგალობელი და თეოდორე სტუდიელი. ჩევულებისამებრ, მითითებულია მათი დასაწყისები, ხოლო მითითებების გასწრივ მიწერილია ავტორები. ამასთან, იოსების სამსაგალობლები ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში ყოველთვის I ადგილზე დგას, თეოდორეს სამსაგალობლები კი მოხვევს მათ „სხუანის“ სახით. მოვიტანთ ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში შესულ თეოდორე სტუდიელის სამსაგალობელთა ნუსხას:

1. ყველიერისა ორშაბათსა. უგალობდითსა. ჭმავ ა. სასწაულითა. – კრძალვად ჭამა...“
2. ყველიერისა სამშაბათსა. მოიხილესა. ჭმავ დ გ ი სასწაულად იხილ. – იხილეთ, იხილეთ, რამეოუ...“
3. ყველიერისა ოთხშაბათსა. განძლიერდესა ჭმავ გ ეპა, ბერწ. ძელისა რავ ჯუარსა...“
4. ყველიერისა ხუთშაბათსა. მესმასავე. ჭმავ დ. სმენავ მესმა მე. – სივრცე სოფლისად...“
5. ყველიერისა პარასკევასა. დამითგანსა. ჭმავ დ გ ი რადსათვეს. – მოსავნი ჯუარისანი...“
6. პირველსა ორშაბათსა. უგალობდითსა. ჭმავ ბ. მოვედით, ერნო. – მოვედით, ვიწყოთ დმრთისა-გან...“
7. პირველსა სამშაბათსა. უგალობდითსა. ჭმავ დ გ ი. სასწაულად იხილვე. – მოვედით, მორწმუნეთა ერნო...“
8. პირველსა ოთხშაბათსა. განძლიერდასა. ჭმავ ბ. განმაძლიერენ. – ძელმან ჯუარისამან...“
9. პირველსა ხუთშაბათსა. მესმასა. ჭმავ ა გ ი. ესმა მოსლვავ. – ელვანი მზისა...“



10. პირველსა პარასკევსა. დამითგანსა. ჭმავ ბ ღმერ. - ურთიერთობის
ზოგადობა...“
11. მეორესა ორშაბათსა. უგალობდითსა. ჭმავ ბ გ~ი.
რომელმან მდგრა მე. - შემდგომი ესე...“
12. მეორესა სამშაბათსა. მოიხილესა. ჭმავ დ გ~ი. სას-
წაულად იხ. იხილეთ...“
13. მეორესა ოთხშაბათსა. განძლიერდასა. ჭმავ გ. გა-
ნამტკიცენ. - განამტკიცენ...“
14. მეორესა ხუთშაბათსა. მესმასა. ჭმავ ბ გ~ი. წი-
ნახესწარმეტყუელ. - ათორმეტნო მოციქულნო...“
15. მეორესა პარასკევსა. დამითგანსა. ჭმავ ა გ~ი. რო-
მელმან შეიმოს. - ნებით აღმაღლდი...“
16. მეორესა შაბათსა. ოთხფსალმუნი. ლალატყავსა
ჭმავ გ. ლალადყავ. - მოვედით, მარტკლომოყუარე-
ნო...“
17. მესამესა ორშაბათსა. უგალობდითსა. ჭმავ დ გ~ი.
გალობად შევ. - მოვედით, უგალობდეთ...“
18. მესამესა სამშაბათსა. მოიხილესა. ჭმავ გ. ჭმავყავ
შენდამი და. - მე ვარ მეუფე...“
19. მესამესა ოთხშაბათსა. განძლიერდასა. ჭმავ ბ. გა-
მაძლიერ. - ცხოველმყოფელო...“
20. მესამესა ხუთშაბათსა. მესმასა. ჭმავ ბ გ~ი. რაჟამს
წინახესწარმეტყუელ - საღმრთოდ...“
21. მესამესა პარასკევსა. დამითგანსა. ჭმავ ა. დამით-
გან აღ. - დამითგან...“
22. მესამესა შაბათსა. ოთხფსალმუნი. ლალატყავსა.
ჭმავ და გ~ი. წინახესწარმეტყუელი იქ. - შემიწყალე,
კაცთმოყუარე...“
23. მეოთხესა ორშაბათსა. უგალობდითსა. ჭმავ გ. -
რომელნი წამისყოფ. - მსგეფსა ამას...“
24. მეოთხესა სამშაბათსა. მოიხილესა. ჭმავ დ გ~ი.
სასწაულად იხილ. - იხილეთ...“
25. მეოთხესა ოთხშაბათსა. განძლიერდასა. ჭმავ გ გ~ი.
შენ, ქრისტე. - ყოველთა ცის კიდეოთა...“
26. მეოთხესა ხუთშაბათსა. მესმასა: ჭმავ ბ გ~ი. ქრის-
ტე ღმერთი ჩ. - ყოლად წმიდაო...“

27. მეოთხესა პარასკევასა. დამითგანსა. ჭმავ და აღვდგ. – დამითგან...“
28. მეოთხესა შაბათსა. ოთხფსალმუნნი ჭმავ დ. შთავვარდი. – მოწამეთა კრებასა...“
29. მეხუთესა ორშაბათსა. უგალობდითსა. ჭმავ დ გ ი. ქუეყანასა მწყ. – ოომელთა ესე...“
30. მეხუთესა სამშაბათსა. მოიხილესა. ჭმავ დ. ისმენ-დინ ქ. – მარხვავ და სიტმიდე...“
31. მეხუთესა ოთხშაბათსა. განძლიერდასა. ჭმავ გ გ ი. შენ, ქრისტე. – აშმალლდი...“
32. მეხუთესა ხუთშაბათსა. მესმასა. ჭმავ დ გ ი. მესმა უფალო განგებ. – მ გუნდო მოციქულთაო...“
33. მეხუთესა პარასკევასა. ჭმავ დ. აშ აღვდგმ. – ჯუარ-სა ზედა...“
34. მეხუთესა შაბათსა. ოთხფსალმუნნი. ჭმავ ა გ ი. დაღატყავსა. იქსენი. – გსენებავ მოწამეთაო...“
35. მეექუსესა ორშაბათსა. უგალობდითსა. ჭმავ ა გ ი. ეტლთა სიმ. – დღესასწაულსა ბზობისასა...“
36. მეექუსესა სამშაბათსა. მოიხილესა. ჭმავ გ. უხი-ლავთა მხილ. – იხილეთ გონიერად...“
37. მეექუსესა ოთხშაბათსა. განძლიერდასა. ჭმავ დ გ ი. განმაძლიერ. – დღეს სიკუდილი...“
38. მეექუსესა ხუთშაბათსა. უფ. მესმასა. ჭმავ გ გ ი. რაჟამს ესმა. – ლაზარე დაიდგა...“
39. მეექუსესა (ბზობისა) პარასკევასა. დამითგანსა. ჭმავ დ გ ი. რადესათვს. – მი-რა-ხკდოდე...“
- სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი ის გარემოება, რომ ოქონორე სტუდიელს განსაკუთრებული წეუტანია ბერძნული ტრიოდიონის ფორმირება-ში. ზემოთ მისი შემოქმედება სხვადასხვა თვალსაზრი-სით იქნა განხილული. ამჯერად ყურადღება გვინდა გაგა-მახვილოთ მარხვანისათვის განკუთვნილ სამსაგალობ-ლებზე, რომლებიც ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს წარმოადგენს.
- თეოდორე სტუდიელის მარხვანისათვის განკუთვნი-ლი სამსაგალობლები ავტორის სიცოცხლეშივე იქცა

მარხვანის სახელით ცნობილი კრებულის აუცილებელი დანაწილად. ამ კრებულმა მრავალი ცვლილება განიცადა დღროთა განმავლობაში. ამა თუ იმ ავტორის საგალობლები, რომლებიც ფართოდ იყო გავრცელებული გარკვეულ პერიოდში, მომდევნო ხანაში უგულებელყოფილი ხდებოდა. თეოდორე სტუდიელის სამსაგალობლები კვლაბუ „გამძლე“ აღმოჩნდა მათ შორის. IX ს-დან დაწებული დღევანდლამდე ისინი მარხვანების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია.

თეოდორე სტუდიელის სამსაგალობლებში იგივე მოტივებია დამუშავებული, რაც მის ქადაგებებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში, მათ შორის ბერძნული და სლავური მარხვანების გამოცემებში, ცნობილი თეოდორე სტუდიელის სამსაგალობლები დაღებულია დიდ მარხვის I ორშაბათიდან VI პარასკევის ჩათვლით. ეფრემ ციირის და გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანებში ისინი შესულია ავტორზე ზუსტი მითითებებით. როგორც აღვნიშნეთ, თეოდორეს ეს სამსაგალობლები უფრო ადრეც იყო თარგმნილი ქართულად. გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანში დაცული თეოდორე სტუდიელის სამსაგალობლების სინ.5-თან შედარებამ ნათელყო, რომ გიორგის ხელახლა უთარგმნია ისინი. მოვიტანი დიდმარხვის I ორშაბათისათვის განკუთვნილი თეოდორე სტუდიელის სამსაგალობლის I ოდას (უგალობდითსა) სინ.5 და გეორგ.5 ხელნაწერების მიხედვით:

სხვანი. ჭმა ბ. მოვედით ერნო, უგალობ

სინ. 5

გეორგ. 5

453

მოვედით, ვიწყოთ
დმრთისა განწესებულთა
ამათ დღეთა

მოვედით, ვიწყოთ
დმრთისაგან განწესებულთა
ამათ დღეთა -

სინანულისა არეთა -
წმიდათა მარხვათასა,
რომლითა მოვიღოთ

ჩუენ მოვიღოთ ჩუენ

სინანულისა არეთა -
წმიდათა მარხვათასა, რომლითა

თა

ქრისტესგან მოტევებად ქრისტესგან მოტევებად შეცო-
შეცოდებათა ჩუენთად.. დებათა ჩუენთად..

მოწევნულ არს და მოწევნულ არს აწ
შემოსრულ ჟამი მოღუა- და შემოსრულ ჟამი მოღვაწე-
წები- ბისად
საა, და ასპარეზი მარხვისაა
ასპარეზი მარხვისაა ესე გულსმოდგინებით შევიტ-
დღეს, კბოთ, მორწმუნებო,
ამას ყოველნი მივაგბ- დღუნად შევწირნეთ
ვოდით სურვიე- და დღუნად ლმრთისა
ლად, სათხოებათა მწყობრნი.

სინანულით შეუვრდეთ
მქსნელსა ჩუენ ყო-
ველთასა
ჭამითა ადამ ჭამითა ადამ
ხისა გემოვს ხილვითა სამოთხით საშუებლისადთ
განგარდა განგარდა
სამოთხით საშუებლი- და სიკუდილი ეუფლა.
სადთა, ხოლო ჩუენ, უფალო, მარხვი-
არამედ ჩუენ, უფალო, სა მოღუაწებითა
მარხვისა მოგებითა
შვილად უკუდავებისად შვილად სინანულისად მიჩი-
მიჩინენ მორწმუნები.

ცეცხლისა ეტლთა ცეცხლისა ეტლთა
ამგედრდა ელია თეზბი- ადიტაცეს ელია საკპრეველი,
ტელი, მარხვისა მიერ შემკული,
განწმედილი და მოსე მარხვამან



გან, მხილველ-ყო გამოუთქმელ-**უკრაველი**
 მითვე ღირს-იქმნა მოსე თა გიგანტი
 ღმრთისმხილველობასა, და ჩუენცა, მუშაკთა მისთა,
 მითვე ღირს-მყვენ, უფა- ხილვად ღირს-გუყოფს
 ლო, უფლისა.
 სასუფეველსა შენსა.

სათნოებათა
საღმრთოთა დაუნჯები-
თა
მოვედით,
ცოდვისაგან განვეყენნეთ
ჩუენ - რისხვისაგან, შუ-
რისა და იძულილისა,
ყოვლისაგან ჭდომისა
და
შევიმოსოთ ძალი საღ-
მრთოვ..

სათნოებათა
თანაშეწევნითა და სიმტკიცი-
თა
ვნებათაგან ვიმარხოთ ჩუენ -
რისხვისა და შურისა და
სიძულილისა და
ყოვლისავე ჭდომისა, რადთა
ვპოვოთ წყალობავ..

ღირს - მყვენ, უფალო,
გულსმოდგინებისა მას
წყაროსა,
დამოდინებად თუალთა-
გან
განსაწმედელად ბრალთა
სულისა ჩემისათა,
რათა აღდგომად შენი
განწმედილთა ვიხილოთ.

ღირს - მყვენ, უფალო,
ცრემლთა სინანულისათა მო-
გებად
ყოველთა შეცოდებათა
და ბრალთა სულისათა განბა-
ნად და განწმედად,
რათა აღდგომად შენი განწმე-
დილთა ვიხილოთ.

ერთარსებაო,
სამგუამოვნებით განუყო-
ლო.

ერთარსებაო,
სამგუამოვნებით განუყოფელო,

զբար, յրտղմրտեցնութ ճոճեցնութ,
յրտմտացրոնքառ, յր- մամառ շենուառ ծոտ ճա կուլութութ,
ուղմրտեցնութ, մամառ շենուառ, մեռ- լութ վմուգութ,
մամառ շենուառ, մեռ մեռ- ցաւեռցնութ հշեն, ռոմելնո
լուգ մոնցնութ!

Ճմոնցնութ ճա տապանութը սպացնութ,
կուլութ ցեռցելմպոցելու, ջո-
գալոնքութ մորվմշենու.

մտասա ճմրտուսասա
շըգալոնքութ, մարուամս շին-
վուսա,
ռոմլուսցան ցա-
մոցշերվինոնդա
մնչյ և մարտլուսաօ յրուս-
թի,
ճմերտու պոցելուա, մի-
մչենցնութ ճա մացեռցարո
հշեն, մորվմշենուա..

մտասա ճմրտուսասա
շըգալոնքութ, մարուամս շին-
վուսա,
ռոմլուսացան ճամոնքրվինոնդա
մնչյ օցու և մարտլուսաօ յրուս-
թի, ճմերտու պոցելուա,
ճա մինելու ճա մացեռցարո
հշեն, մորվմշենուա..

ռոցորւց շեցազտ, գուրցու մտավմութելս, և սին.5-տան
շեցարցնութ, ռոցու պոցութեցնութ շեցելս և այսուտար տար-
ցմանշու. ծերմենշելու ծայէսթուս արևեցնութ ճամուցեմենշու, յար-
տուլ տարցմանտան շեցարցնութ, ճաճանացութեցնութ նոցո-
յրտու ճրուարո. այց մաց., յարտուլու տարցմանտուս III ճրո-
ւարու այց շեցնութ VI ճրուարու, V ճաճուլնու ճաճաբանո-
ւու յարտուլու տարցմանտու IV ճրուարո; V ճա VI ճրուա-
րցնու կու ծերմենշելու ծայէսթուս արևեցնութ ճշեցնուկացուցնու-
սայրտու ճաճաբանու շեցեցնութ. ռոցորւց ճաճունութեն, ծերմենշե-
լու մարեցանցնուս արևեցնութ ճշեցնուկացուցնու ճաճաճաճուն-

დედ სელნაწერებს ემყარება, ქართული თარგმანი კი უფრო დიდი რო ძველ - XI საუკუნეში არსებულ ტრადიციას ასახავს. ამრიგად, ქართული თარგმანის მიხედვით შესაძლებელია თეოდორე სტუდიელის ამ სამსაგალობლის I ოდის სრული სახით აღდგენა. ანალოგიური მდგომარეობაა დანარჩენის მდებარეობის მიზანით.

შედარებამ ცხადყო, რომ გიორგი მთაწმიდელის მიერ წინადროინდელ თარგმანში ცვლილებები, როგორც წესი, ორიგინალთან დახლოვების მიზნითაა შეტანილი. ასე მაგ., II ტროპარში სინ.5-სა და გეორგ. 5-ს შორის განსხვავებულია IV - V სტრიქონები. გიორგისეული თარგმანი ახლოს დგას ორიგინალთან: „προσύμμιος ἄπαντες ἀπαρξώμενα ταῦτης, τάς ἀρετάς Κυρίω ώς δῶρα φέροντες...“ იხ. სლავურის „усердно все начнем сей, добродетели господи господиви яко дары носяще“. სინ. 5-ში, აღნიშნული ტროპარის ბოლოს, მთარგმნელი ყურადღებას ამახვილებს სინანულზე, ორიგინალში კი საუბარია ღვთისაღმი სათხოებათა ძღვნად შეწირვაზე. გიორგისეული თარგმანი ზუსტად მიჰყება ორიგინალს. ანალოგიური მდგომარეობაა IV ტროპარშიც: „Ἄρια πυρός ἔλαβεν Ἡλιαν τὸν θαυμαστὸν..“ სლავური „Колесница огненная Илию чудесную.“ გიორგის თარგმანი თანხმდება ორიგინალს, სინ. 5-ში კი გვხვდება სიტყვა „ამპერდა“, რომელიც ძველ წარმოდგენებს უნდა ემყარებოდეს. გიორგი, ორიგინალის შესაბამისად, ცვლის ამ სტრიქონების გააზრებას. ამავე ტროპარში ელიასთან დაეკვირებით გვხვდება გვითეტი „δόπλισάμενον“ („Вооруженного“), რომელთანაც ახლოს დგას გიორგისეული „მარხვისა მიერ შემკული“, სინ.5-ში გვაქვს „განწმედილი მარხვისაგან“. ბერძნულის შესატყვისია გიორგისეული „გამოუთქმელთა“ (აღტეთო), განსხვავებულია სინ.5-სეული წაკითხვა – „ღმრთისმხილველობასა“. ბიბლიური წარმოდგენების მიხედვით აზუსტებს ადამის დაცემის მიზეზს სინ. 5-ში დაცული თარგმანის ავტორი: „ხისა გემოვს ხილვითა“. ორიგინალში, ისევე როგორც გიორგისთან, ზოგადადაა ნათქვამი: „ჭამითა ადამ...“ ბერძნულ

ორიგინალს ზუსტად გადმოგვცემს ამავე (III) ტროპარისებული უკანასკნელი სიტყვების გიორგისეული თარგმანი: „შესულად სინანულისად მიჩინენ, კაცომოყუარე“. შდრ. ბერძნულის „սიօნს უპაკოჲს ის დესი, ფლანშიოპე“; სლავ.: „Достоинъ покажи члопеколюбче.“ განსხვავებული გააზრება გვაძვს სინ.5-ში (იხ. ტექსტი).

ამრიგად, ბერძნული მარხვანების პუბლიკაციებთან შედარება მოწმობს ქართულ თარგმანებში დაცული ტრადიციის სიძველეს. ირკვევა ისიც, რომ გიორგის თარგმანი ზუსტად მიჰყება ორიგინალთან თანხვედრი ტროპარების ტექსტს, წინადაროინდელი თარგმანი კი შემოქმედებითი ხასიათისაა. მთარგმნელი, შეხედულებისამებრ, აკონკრეტებს სათქმელს და ზოგჯერ საკუთარ ინტერპრეტაციას იძლევა.

სინ.5 - სინ.75 ხელნაწერებში თეოდორეს სამსაგალობლები შესულია დიდმარხვის სადა დღეებზე საგალობლებთა I ფენის შემდეგ, „სხუანის“ სახით. გიორგი ყველა შემთხვევაში გამოყოფს მათ და დამოუკიდებლად შეაქვს მარხვანის საკუთარ რედაქციაში. თეოდორე სტუდიელის მარხვანისათვის განკუთვნილი სამსაგალობლების ქართული თარგმანები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსაურებს იმ თვალსაზრისით, რომ შეიცავს ამ ავტორის ყველიერის შეიღებულისათვის განკუთვნილ სამსაგალობლებს (იხ. ზემოთმოტანილი ნუსხა), რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებული არ არის. ისინი არც ბერძნული და სლავური მარხვანების გამოცემებშია შესული. ამრიგად, ეფრემ მცირისა და გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანებში ყველიერის შეიღებულზე შესული თეოდორე სტუდიელის 5 სამსაგალობელი დღეისათვის მხოლოდ მათი თარგმანებით ხდება ცნობილი. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ცხადყოფს ქართული თარგმანების მნიშვნელობას ბიზანტიური პიმნოგრაფიის კვლევისათვის.

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში შესულია იო-სებ მგალობლის 39 სამსაგალობელიც, რომლებიც დიდმარხვის ლიტერატურის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. მოვიტანთ მათ ნუსხას:

1. ყველიერისა ორშაბათსა. უგალობდითსა. ჭმად უჯრველელი
მონებისა. – ბრწყინავს წინა...“
2. ყველიერისა სამშაბათსა. მოიხილესა. ჭმად დ გ~o.
სასწაულად იხილ. – სარბიელი ესე...“
3. ყველიერისა ოთხშაბათსა. განძლიერდასა. ჭმად
დ. ბუნებით ლმობიერ. – განიპყრნენ მკლავნი...“
4. ყველიერისა ხუთშაბათსა. უფლ. მესმასა. ჭმად ბ
გ~o. რაჟამს წინავსწარმეტყუელ. - გამოაბრწყინვე სოფელ-
სა...“
5. ყველიერისა პარასკევსა. ღამითგანსა. ჭმად გ გ ი.
სული მაცხ. – და-რაღ- ემსჭუალე...“
6. პირველსა ორშაბათსა. უგალობდითსა. ჭმად ბ.
განაპო. – მ ვითარიმე...“
7. პირველსა სამშაბათსა. მოიხილესა. ჭმად დ. მო-
ბეც ჩუენ. – განიფრთხვე და განიღვძე...“
8. პირველსა ოთხშაბათსა. განძლიერდასა. ჭმად გ.
ქპა, ბერწო. – ქპა, ქრისტეს მოყუარენო...“
9. პირველსა ხუთშაბათსა. უფ. მესმასა. ჭმად გ გ~o.
რაჟამს ესმა მ. – მარხვისა მიერ...“
10. პირველსა პარასკევსა. ღამითგანსა. ჭმად ბ გ~o.
შენდა აღვიმს. – უდიობასა მას...“
11. მეორესა ორშაბათსა. უგალობდითსა. ჭმად დ. და-
ანთქენ. – მხოლოდ, სახიერ...“
12. მეორესა სამშაბათსა. მოიხილესა. ჭმად ბ. ვიხი-
ლეთ ჩუენ. – სულთქუმით ცრემლოოდე...“
13. მეორესა ოთხშაბათსა. განძლიერდასა. ჭმად დ.
უფლისა მიერ. – ჯუარსა ზედა...“
14. მეორესა ხუთშაბათსა. მესმასა ჭმად დ გ~o. მესმა,
უფალო. – მთვრალობად იგი...“
15. მეორესა პარასკევსა. ღამითგანსა. ჭმად დ გ~o.
რამეთუ ზღუად ნეფსით თვესით...“
16. მეორესა შაბათსა. ოთხსალმუნი ღალატყავსა.
ჭმად დ გ ი. ვედრებასა ჩ. – მრავალთა მათ...“
17. მესამესა ორშაბათსა. უგალობდითსა. ჭმად ა გ ი.
ეტლთასა. – რომელთა ღმრთეებრ...“

18. მესამესა სამშაბათსა. მოიხილესა. კმაღ ბ გ~ი. კლდე გან. – მიშვილა სახიერმანა...“
19. მესამესა ოთხშაბათსა. განძლიერდასა. კმაღ ბ. მოსავთა შენთა. – ჯუარს ვეცუნეთ...“
20. მესამესა ხუთშაბათსა. მესმასა. კმაღ ა გ~ი. სმენავ მესმა. – მნათობად გამოსჩნდით...“
21. მესამესა პარასკევსა. ღამითგანსა. კმაღ დ გ~ი. რომელმან ღამისა. – განმკურნე მე...“
22. მესამესა შაბათსა. ოთხფსალმუნი ღაღატყავსა. კმაღ დ. შთავვარდი მე. – სისხლთა წუეთითა...“
23. მეოთხესა ორშაბათსა. უგალობდითსა. კმაღ დ გ~ი. სიღრმე მეწ. – ჯუარისა აწ...“
24. მეოთხესა სამშაბათსა. მოიხილესა. კმაღ ბ. ვიხილეთ. – რომელი ყოვლისა...“
25. მეოთხესა ოთხშაბათსა. განძლიერდასა. კმაღ ბ გ~ი. სამებაო, უფალო ღმერთო...“
26. მეოთხესა ხუთშაბათსა. მესმასა. კმაღ დ. სიყურული წ. – მომცემელად...“
27. მეოთხესა პარასკევსა. ღამითგანსა. კმაღ დ გ~ი. სამების სანატრელ. – განწმედილთა სულითა...“
28. მეოთხესა შაბათსა. ოთხფსალმუნი კმაღ დ. შთავვარდი. წორცო საზღვარსა...“
29. მეხუთესა ორშაბათსა. უგალობდითსა. კმაღ ბ გ~ი. უკულეველად. – გონებანი ჩუენნი...“
30. მეხუთესა სამშაბათსა. მოიხილესა. კმაღ ბ. მოიხილე ღღეს. – სამარადისოდ ლოცვითა...“
31. მეხუთესა ოთხშაბათსა. განძლიერდასა. კმაღ დ გ~ი. არა ვინ არ. – დასჯილი...“
32. მეხუთესა ხუთშაბათსა. მესმასა. კმაღ დ გ გ~ი. მესმა, უფალო. – მარხვითა მოქალაქობდეს...“
33. მეხუთესა პარასკევსა. ღამითგანსა. კმაღ ა. ნაკუერცხალ. – ქრისტე კაცომოყვარეო...“
34. მეხუთესა შაბათსა, ოთხფსალმუნი, ღაღატყავსა. კმაღ ბ გ~ი. სოფლისა ზღუად მსგავსად ქვათა...“
35. მეექუსესა ორშაბათსა. უგალობდითსა. კმაღ ა. მონებისა. – ვნებანი მოვაკუდინეთ...“

36. მექუსესა სამშაბათსა. მოიხილესა. კმავ დ გ ი.
სასწაულად იხ. – რომელი ჩუენთჟს...“

37. მექუსესა ოთხშაბათსა. განძლიერდასა. კმავ დ ბ უნებით ლმ. – მადლითა შენითა...“

38. მექუსესა ხუთშაბათსა. მესმასა კმავ ა. პირველ
აუწყა. – აჩრდილთა შინა...“

39. მექუსესა (ბზობისა) პარასკევსა. დამითგანსა.
კმავ ბ გ ი. შენდა აღვ. – რომელი ეგე ცხორებაო...“

იოსებ მგალობელი თეოდორე სტუდიელის ერთ-ერ-
თი ყველაზე ცნობილი მიმდევარი და გამგრძელებელია.
მის მრავალრიცხოვან საგალობელთა შორის მნიშვნე-
ლოვანი ადგილი უჭირავს დიდმარხვისათვის განკუთვნილ
სამსაგალობლებს. იოსებმა გაიმეორა თეოდორეს მიერ
მარხვანზე ჩატარებული სამუშაო და შეაღგინა სხვადას-
ხვა სახის საგალობელთა კომპლექტები დიდმარხვის პე-
რიოდისათვის. როგორც ჩანს, იგი უფრო შორსაც წავი-
და თეოდორესაგან განსხვავებით, დიდმარხვის სადა დღვ-
ებისათვის მას შეუდგენია სამსაგალობელთა 2 ციკლი,
რომელთაგან I აკროსტიქულია, II – არააკროსტიქული.
ბერძნულ - სლავური მარხვანების გამოცემებში შესუ-
ლია იოსების არააკროსტიქული სამსაგალობლები. სამეც-
ნიერო ლიტერატურაში მითითებულია მისი აკროსტიქუ-
ლი სამსაგალობლებიც. თავდაპირველად მარხვანისათ-
ვის იოსებს უნდა შეეღვინა არააკროსტიქულ სამსაგალო-
ბელთა ციკლი. აღნიშნულ სამსაგალობელთა ხმებზე და-
წერილი ამავე ავტორის შესაბამისი დღეებისათვის გან-
კუთვნილი მცირე ფორმის საგალობლებიც, რაც მოწ-
მობს, რომ ისინი დაახლოვებით ერთ პერიოდში უნდა
იყოს შექმნილი. პოეტურობის თვალსაზრისით, არააკროს-
ტიქული სამსაგალობლები აღემატება აკროსტიქულს,
რაც ბუნებრივია – აკროსტიქის დაცვა გარევეულ ფორმა-
ლობასთან იყო დაკავშირებული. თეოდორე სტუდიელის
მსგავსად, იოსების სამსაგალობლებში ასახულია შვიდეუ-
ლის ხესნებები.

მარხვანის ეფუძნებისეულ რედაქციაში, ისევე როგორც
გიორგი მთაწმიდელთან, დაცულია იოსების I – არააკ-
როსტიქულ სამსაგალობელთა ციკლი. ერთადერთი გამო-

ნაკლისი გვხვდება გიორგის რედაქციის მარხვანში, სადაც დიდმარხვის IV ოთხშაბათს დადგებულია იოსების 2 სამსაგალობელი, რომელთაგან ერთ-ერთი ორიგინალში აკროსტიქულია, ქართულად კი აკროსტიქის გარეშეა თარგმნილი. ეფრემ მცირის მარხვანში მათგან დატოვებულია არააკროსტიქული საგალობელი. იოსების ყველა დანარჩენი სამსაგალობელი კი ეფრემის მარხვანში უცვლელადადა შესული გიორგის რედაქციის მარხვანიდან.

სინ. 5-სინ. 75 ხელნაწერებთან შედარებამ ცხადყო, რომ იოსების მარხვანისათვის განკუთვნილი სამსაგალობლები გიორგი მთაწმიდებლის რედაქციის მარხვანში შესულია წინაღოროინდელი თარგმანით. ამრიგად, იოსების სამსაგალობლები ქართულ პიმნოგრაფიაში პირველად სინ.5 - სინ.75 ტიპის მარხვანში გვხვდება და მათი თარგმნა მარხვანის ამ რედაქციის შემდგენელთან უნდა იყოს დაკავშირებული. იოსების სამსაგალობლები შემდგომდროინდელ ტრადიციაში სინ.5-სინ.75 ხელნაწერებში დაცული თარგმანით დამკიდრებულა.

ი. კარაბინოვი ყურადღებას ამახვილებს ყველიერის შეიდეულისათვის განკუთვნილ იოსების სამსაგალობლებზე. ბერძნული ტრიოდიონის შემცველ უძველეს ხელნაწერებში - სინ. №734 და ვატიანი №771 ისინი შესული არ არის. საგალობელთა ეს ჯგუფი არც სლავური ტრიოდიონის შემცველ ძეველ ხელნაწერებში დასტურდება. (კარაბინოვი 1910:) ბერძნული და სლავური მარხვანების გამოცემებში კი ისინი იოსების სახელითაა წარწერილი. ყოველივე ამის საფუძველზე, მეცნიერი გამოთქვამს ვარაუდს, რომ აღნიშნული საგალობლები შექმნილი უნდა იყოს დიდმარხვის დანარჩენი პერიოდისათვის განკუთვნილ იოსების სამსაგალობლებზე გვიან. ამას მხარს უჭერს ყველიერის შეიდეულის სამსაგალობლთა შინაარსობრივი მხარეც.

ეფრემისა და გიორგის რედაქციის მარხვანებში ყველიერის შეიდეულისათვის განკუთვნილი იოსების სამსაგალობლები სრულადა შესული ავტორზე შითითებებითურთ. ამრიგად, ქართული მარხვანები ადასტურებს ბერ-

ქნელ - სლავური მარხვანების გამოცემებში ასახულ
ტრადიციას.

ვნების შეიდეულზე ეფრემ მცირის რედაქციის მარ-
ხვანში მითითებულია ანდრია კრიტელის სახელით წარ-
წერილი შემდეგი სამსაგალობლები:

1. დიდსა ორშაბათსა. ჭმად დ გ~ი. გალობად შევწი.

- ქრისტე, ღმერთი, მომავალი...“

2. დიდსა სამშაბათსა. ჭმად დ გ~ი. სასწაულად იხ.
- იხილეთ, იხილეთ...“

3. დიდსა ოთხშაბათსა. ჭმად დ. ლოცვამან. - აღ-
სასრულსა ჟამთავსა...“

4. დიდსა ხუთშაბათსა. ჭმად გ გ~ი. რაჟამს ესმა
მოხლ. - ქორმან მან...“

მათი სრული ტექსტები, ჩვეულებისამებრ, დაცულია
გიორგი მთაწმიდელის აგებოგრაფულ მარხვანში. ანდრიას
აღნიშნული სამსაგალობლები შესულია სინ.5-სინ.75 ხელ-
ნაწერებშიც. აქ ისინი „სხუანის“ სახითაა დართული
კოზმას სამსაგალობლებზე. დიდი ოთხშაბათისათვის გან-
კუთვნილი ანდრიას სამსაგალობელი კი „სხუანის“ სახი-
თაა ჩართული სრული კანონის შემადგენლობაში კოზმას
სამსაგალობლის შესაბამისი ოდების შემდეგ. დიდი ხუ-
თშაბათისათვის განკუთვნილი ანდრიას სამსაგალობელი
კი ამ ხელნაწერებში არაა შესული. სამაგიეროდ, სინ.5-ში
დიდი პარასკევის განგებაზე შესულია ანდრიას სამსაგა-
ლობელი, რომელიც ჩართულია ამ დღისათვის განკუთ-
ვნილ კანონში შესაბამისი ოდების შემდეგ „სხუანის“ სა-
ხით. X ს-ის სინურ იადგარებში ვნების შვიდეულისათ-
ვის განკუთვნილი ანდრიას საგალობლები შესული არ
არის. როგორც ჩანს, ისინი პირველად ითარგმნა სინ.5-
სინ.75 ტიპის მარხვანის შედგენისას. შედარებამ ცხადყო,
რომ გიორგი მთაწმიდელი ასწორებს ანდრიას ამ სამსა-
გალობლების სინ.5-სეულ თარგმანს. გიორგისეულ თარ-
გმანში, სინ.5-თან შედარებით, გვხვდება ახალი ტროპარე-
ბი, საერთო ტროპართა შორისაც გვაქვს ტექსტობრივი
განსხვავებები.

ვნების შეიდეულისათვის განკუთვნილი ანდრია კრი-
ტელის სამსაგალობლები ამ ჟანრის პირველი ნიმუშებია

და ამ მხრივაც იმსახურებს ყურადღებას. სამსაგალობლის, როგორც პოეტური ფორმის, გენეზისი უკავშირდება სადა დღეებზე ბიბლიური გალობების შესრულების უძველეს ლიტურგიულ ტრადიციას. ორი ბიბლიური გალობა – VIII და IX სრულდებოდა ყოველდღიურად, ცისკრის განგებაზე. დანარჩენი გალობები კი განაწილებული იყო შეიძლების 6 სადა დღის მიხედვით. I სამსაგალობლები, რომლებიც ანდრია ქრისტელს ექუთვნის, წარმოადგენს ბიბლიური გალობებისათვის შექმნილ მისამლერებს და ტროპარებს. ანდრიას სამსაგალობლები შექმნილია შესაბამისი დღეებისათვის განკუთვნილი სახარების საკითხავების მიხედვით.

ანდრიას სამსაგალობლები შესულია ბერძნული და სლავური მარხვანების პუბლიკაციებში. ისინი დადებულია შესაბამისი დღეების მწუხრის განგებაზე ავტორზე მითითებებითურთ.

გიორგისეულ თარგმანში ბერძნულ ტექსტთან შედარებით გარკვეული ცვლილებები შეინიშნება, რაც ორიგინალის სრული სახით აღდგენაში გვეხმარება.

დიდ შაბათს ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში დადებულია კომპილაციური კანონი, რომლის პირველი 4 ოდა ეკუთვნის ოეოფანე აღმსარებელს, უკანასკნელი 4 კი – კოზმა იერუსალიმელს: „ჭმად ბ გი. რომელმან დაფა. – ჭ შენდა მაცთურო...“ აღნიშნული კანონი სრული ტექსტით შესულია გიორგი მთაწმილების რედაქციის მარხვანში. იგი შეიცავს II ოდას, რომელიც იოანე მინჩხს ეკუთვნის. აღნიშნული კანონი ადრევე უთარგმნიათ ქართულად. Xს-ის სინურ იადგარებში – სინ. 1, 14, 64 დაცულია მისი I თარგმანი. ამავე თარგმანითაა შესული იგი სინ.5 და სინ.75 ხელნაწერებში და გიორგი მთაწმილების ავტოგრაფულ მარხვანშიც. სამეცნიერო ლიტერატურაში არაფერია ნათქვამი ოეოფანეს აღნიშნული ოთხსაგალობლის შესახებ, რომელიც კანონის პირველ ნახევარს შეადგენს. არ გვხვდება იგი არც ბერძნული და სლავური მარხვანების პუბლიკაციებში. ანალოგიური მდგომარეობაა ამავე კანონის II ნაწილად შესულ კოზმა იერუსალიმელის ოთხსაგალობელთან დაკავშირებითაც: „ჭმად ბ

დაღატყავსა. რომელმან დაფა. – ცოდვათათვეს ადამ პირ-
ველისა...” იგი ქართულ თარგმანში შესულია კანონის **VII**
IX ოდებად.

ამრიგად, ბიზანტიური პიმნოგრაფიის თვალსაჩინო
წარმომადგენლების – კოზმა იერუსალიმელისა და თეო-
ფანე აღმსარებლის დიდი შაბათისათვის განკუთვნილი
ოთხსაგალობლები, როგორც ჩანს, თავიდანვე კომპილა-
ციურ კანონს შეადგენდა. თეოფანემ, როგორც ჩანს, შეავ-
სო კოზმას ამ დღისათვის განკუთვნილი ოთხსალმუნი.
ანალოგიური სამუშაო ჩაუტარებია მას კოზმას ლაზარეს
შაბათისათვის განკუთვნილ ოთხსაგალობელთან დაკავში-
რებითაც.

დიდი შაბათისათვის განკუთვნილი კოზმას და თეო-
ფანეს ოთხსაგალობლები დღეისათვის არსებულ სამეცნი-
ერო ლიტერატურაში მითითებული არ არის. ისინი ქარ-
თულად თარგმნილია ჯერ X ს-ის სინური იადგა-
რების დონეზე. აქედან შესულია ისინი ქართული მარხვა-
ნის ყველა შემდგომდროინდელ რედაქციაში – სინ.5 -
სინ.75 ხელნაწერებში, გიორგი მთაწმიდელის რედაქციის
მარხვანში და ეფრემ მცირესთან. ქართული თარგმანები
დღეისათვის მათი ორიგინალების აღდგენის ერთადერთ
საშუალებას წარმოადგენს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეფრემ მცირის რედაქ-
ციის მარხვანის ერთ-ერთი უმთავრესი სიახლეა მცირე
ფორმის საგალობლების – სტიქარონების ახალი რეპერ-
ტუარის შემოტანა. ამ მხრივ კრებულის შემდგენლის მი-
ერ მართლაც დიდი და მნიშვნელოვანი სამუშაოა ჩატა-
რებული. ეფრემი, თავისი თანამედროვე ბერძნული მარ-
ხვანების შესაბამისად, მნიშვნელოვნად ცვლის მარხვანი-
სათვის განკუთვნილ სტიქარონულ რეპერტუარს (ი.ხ.
ნაშრომის II თავი). მიუხედავად ამისა, გეორგ.5-ის II ნა-
წილში გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანიდან
შესულია სტიქარონთა ერთი ნაწილი. კერძოდ, გიორგი-
სეული მარხვანიდანაა გადასული „წარდგომანთა“ მთვ-
ლი რეპერტუარი. როგორც გიორგი მთაწმიდელის რე-
დაქციის – „თუენის“ შესწავლამ ნათელყო, „წარდგომანი“
ამ კრებულის სპეციფიკური ელემენტია.

ანალოგიური მდგომარეობაა გიორგი მთაწმიდელის „რედაქციის „მარხვანშიც““. მარხვანის ახალ რედაქციაში „წარდგომანი“ დიდმარსვის თითოეული დღის განგების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. ეფრემისათვის, როგორც ჩანს, სრულიად მისაღებია „წარდგომანთა“ გიორგისეული რეპერტუარი, ამიტომ კმაყოფილდება მათზე მითითებებით. ეფრემი უთითებს გეორგ. 5-ის I ნაწილში არა მხოლოდ შესაბამის დღეზე დადგებულ „წარდგომანებს“, არამედ მათ ტროპართა რაოდენობასაც. ასე მაგ., ხორციელის კვირიაკის მწესრზე ეფრემისეულ მარხვანში დაცულია შემდეგი მითითება: „წარდგომანი. ჭმაღ გ გ~ი. მჯდომარე. – განდებულ არს საღმრთო და ერთი შედეგი“. წარდგომნის სრული ტექსტი დაცულია გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფულ მარხვანში (12v). აღნიშნულ ტროპარს მოსდევს II ტროპარი („გიგალობთ შენ, მაცხოვარ...“) სწორედ ეს უკანასკნელი იგულისხმება ტერმინში „ერთი შედეგი“. ანალოგიური მდგომარეობაა ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში მითითებულ ყველა სხვა წარდგომანთან დაკავშირებითაც. როგორც ჩანს, ეფრემის თანამედროვე ბერძნულ მარხვანშიც ამ სახის საგალობელი გარკვეული ყურადღებით სარგებლობდა. მარხვანის როგორც გიორგისეულ, ისე ეფრემისეულ რედაქციებში წარდგომანები ანონიმურია. მსგავსი ვითარებაა ჩვენამდე მოღწეულ ბერძნულ და სლავურ ტრიოდიონებშიც.

წარდგომანთა მსგავსად, ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში დასაწყისებთან ერთად, ტროპართა რაოდენობა მითითებულია სხვა სახის მცირე ფორმის საგალობლებთანაც. ეს გარემოება ნათლად მოწმობს სტიქარონული რეპურტუარისადმი მარხვანის ახალი რედაქციის შემდგენლის დიდ ინტერესს.

ავტორებზე მითითების თვალსაზრისით მარხვანის ახალ რედაქციაში შესული სტიქარონები 3 ნაწილად შეიძლება დავყოთ: 1) სტიქარონები, რომელთა ავტორები მითითებულია ეფრემ მცირისა და გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანებში; 2) სტიქარონები, რომელთა ავტორების აღნიშვნა მარხვანის ახალ რედაქციაში არ ჩანს, გიორგისეულ მარხვანში კი ავტორწარწერილია და

3) მარხვანის ორივე რედაქციაში ანონიმურად შესული იკვებები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მცირე ფორმის საგალოობლები ბიზანტიური პიმნოგრაფიის ყველაზე ნაკლებად შესწავლილი სფეროა, ამიტომ მათი თარგმანების სრულყოფილად განხილვა დღეისათვის ჭირს. მეორე მხრივ, აღნიშნული გარემოების გამო, თარგმანები დიდ მნიშვნელობას იძნეს მცირე ფორმის საგალობელთა ორიგინალების კვლევისათვის.

როგორც ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში შესული „ტრადიციული“ სტიქარონების შესწავლამ ცხადყო, მათი დიდი ნაწილი ეკუთვნის 2 ავტორს - იოსებ მგალობელს და თეოდორე სტუდიელს. კერძოდ, აქ შესულია იოსების სახელით წარწერილი 39 მცირე ფორმის საგალობელი, თეოდორეს კი 19 სტიქარონი მიეწერება.

თეოდორე სტუდიელის მარხვანისათვის განკუთვნილი სტიქარონები შესულია ბერძნული და სლავური მარხვანების პუბლიკაციებში. ი. კარაბინოვის მითითებით, უძველესი ბერძნული ტრიოდიონებიც თეოდორე სტუდიელის ამავე სახის და რაოდენობის სტიქარონებს შეიცავს. (კარაბინოვი 1910) ბერძნული და სლავური მარხვანების არსებულ პუბლიკაციებში კი დიდმარხების სადა დღეებზე შესულია თეოდორე სტუდიელის 30 სტიქარონი და 30 „მჯდომარე“. ისინი, ჩვეულებრივ, „სხუანის“ სახით მოსდევს დიდმარხების სადა დღეების მწუხრის განგებაზე 1 ადგილზე წარმოდგენილ იოსებ მგალობლის სტიქარონებს.

ორივე მათგანის სტიქარონები ავტორწარწერილია ბერძნული და სლავური მარხვანების პუბლიკაციებში.

თეოდორე სტუდიელის მარხვანისათვის განკუთვნილი სტიქარონების ერთი ნაწილი გვხვდება გიორგი მთაწმიდელის წინადროინდელ ტრადიციაშიც - სინურ იადგარსა და სინ.5-სინ.75 ხელნაწერებში. აქ ისინი ავტორწარწერებილია. გიორგი მთაწმიდელი ბერძნულიდან თარგმნის თეოდორე სტუდიელის სტიქარონთა ძირითად ნაწილს, ხოლო წინადროინდელ თარგმანებს ხელახლა ადარებს ბერძნულთან ან უცვლელად ტოვებს.

განსხვავებული მდგომარეობაა იოსებ მგალობლის სტიქარონებში. მათი ქართული თარგმანი ხმირად მხრივ ვნელოვნად სხვაობს გამოქვეყნებული ბერძნული ტექსტებისაგან. ასე მაგ., ამავე დღეს – ყველიერის კვირიაკეზე ეფრემისა და გიორგის რედაქციის მარხვანებში შესულია იოსების 3-ტროპარიანი სტიქარონი: „ჯმავ ა. ზეცისა განწეს. – მოიწია უამი ესე...“ ბერძნული მარხვანის პუბლიკიებში ავტორზეუწერლადაა შესული იოსების ამ სტიქარონის მხოლოდ 1 ტროპარი; დანარჩენი 2 ტროპარი კი დაკარგულია. თვით შემორჩენილ 1 ტროპარსა და ქართულ თარგმანს შორისაც შეიძნევა ტექსტობრივი სხვაობა. აღნიშნული გარემოება მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ იოსების მცირე ფორმის საგალობლებმა, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში გარევეული ცვლილებები განიცადა და მათ ძველ თარგმანებს, მათ შორის ქართულს, ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავდაპირეელი ტექსტის აღდგენისათვის. ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში, როგორც აღვნიშნეთ, ამ ავტორს მიეწერება 39 მცირე ფორმის საგალობელი, სტიქარონთა მეორე ნაწილი კი ანონიმურადაა შესული.

იოსების სტიქარონებიც, თეოდორეს მსგავსად, ხმების თვალსაზრისით ემთხვევა შესაბამისი დღეებისათვის განკუთვნილ ამავე ავტორის სამსაგალობლებს. ყველა მათგანი „სხუანს“ წარმოადგენს.

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში შესული სტიქარონული რეპერტუარის ძირითად ნაწილს თეოდორესა და იოსების საგალობლები წარმოადგენს: მხოლოდ რამდენიმე მათგანი მიეწერება სხვა ავტორებს, კერძოდ, 4 მცირე ფორმის საგალობელი – იოანე დამასკელს და თითო სტიქარონი – ანდრიას, კოზმას და გიორგის.

სტიქარონთა ერთი ნაწილი კი ანონიმურია როგორც ეფრემის, ისე გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანებში.

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანის სიახლეთა კელევისას აღვნიშნეთ, რომ ბერძნულიდან ახლად თარგმნილი რამდენიმე სტიქარონი აღმოჩნდა ი. კარაბინოვის მიერ მითითებულ იმ ანონიმურ საგალობელთა შორის,

რომლებიც შესულია VIII - XVI სს-ების ბერძნულ ტროფიკული დიონებში. შემდგომდროინდელ ტრადიციაში ამ ნუსხაში მითითებული საგალობლები ამოღებულ იქნა. ისინი მხოლოდ უძველეს ბერძნულ ტრიოდიონებშია შესული. აღნიშნული სტიქარონები არ გვხვდება ბერძნულ - სლავური მარხვანების პუბლიკაციებში, რადგან ეს უკანასკნელნი ხელნაწერთა გვიანდროინდელ ტრადიციას ემყარება.

ი. კარაბინოვის მიერ შედგენილ ამ ნუსხაში დადასტურდა 3 მცირე ფორმის საგალობელი, რომლებიც ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანში გადასულია გიორგი მთაწმიდელის მარხვანიდან. მოვიტანთ მათ დასაწყისებს და შესაბამის მითითებებს კარაბინოვის მიერ შედგენილი ნუსხის მიხედვით:

1. ყველიერისა კურიაკესა. კმად ბ გ ი. სასოწარკუკ-ვინ არა მტიროდის შეცორმილსა ამას...

2. პირველსა შაბათსა. კმად ბ. მამისაგან შობილ. – შენ ნიჭად განმამდირებელად ქრისტემან ღმერთმან მოგვა სოფელსა...

3. დიდსა ოთხშაბათსა. კმად ბ გ ი. ყოველი სასოფადა. – კრებული უშჯულოთა პურიათად ეზოსა მას...

4. წარდგომად. შენ სიტყ. – ეზოსა კაიაფაცხესა დღეს შეკრებული... “

5. კმად დ. მჯნეონი. – დედაკაცმან ცოდვილმან ნელ-საცხებელი სურნელი...“

როგორც ვხედავთ, ქართულ ხელნაწერებშიც აღნიშნული საგალობლები ანონიმურია. მათი შემცველი ბერძნული ხელნაწერები XIII - XVI სს-ებით თარიღდება და, ამდენად, მათი არსებობა ქართულ მარხვანებში ბუნებრივია.

ჩვენ არ გვაქვს საშუალება ი. კარაბინოვის მიერ მითითებული ბერძნული ხელნაწერების გაცნობისა და, ამდენად, გერაფერს ვიტყვით მათი ქართული თარგმანების ხასიათის შესახებ. ყურადღებას იმსახურებს თვით ფაქტი ხმარებიდან გასული, ძველი სტიქარონების ქართულ მარხვანებში არსებობისა.

ამრიგად, ეფურემ მცირის მრავალმხრივ ღვაწლს ქარ-
თული კულტურის ისტორიაში ემატება ქართული მარხვა-
ნის ახალი, აქამდე უცნობი რედაქციის შედგენა. ეს კრუ-
ბული ზედმიწევნით ასახავს ეფურემის თანამედროვე ბი-
ზანტიურ ტრადიციას და ფასძაუდებელ ცნობებს გვაწ-
ვდის ბიზანტიური პიმნოგრაფიის პელევისათვის.

About Ephrem Mtsire's Hymnographical Inheritance

Summary

Ephrem Mtsire occupies a distinguished position in the history of Georgian culture. With his name is connected the new stage in the Georgian thought. Ephrem Mtsire has rendered a great service to the development of Georgian philosophical thought by translating John Damascene's and Areopagitic works and the commentaries added to them. Ephrem Mtsire has supplied us with the unique information about Byzantine literary works. He worked out his own principles and methods and used them in his translations of various samples of Byzantine literature.

Like Eqvtime and George Athonites Ephrem displayed his skill in every branch of ecclesiastical literary work. Ephrem Mtsire's versatile activities are scientific by nature in the modern meaning of the word. His creative work determined greatly the level of the XI century Georgian science and social thought.

Ephrem Mtsire's numerous translations have been investigated only partially. Particularly scarce is the information about his activities in the sphere of hymnography - ecclesiastical poetry of the middle ages. Our work deals with this part of his vast inheritance.

The study of Georgian "Triodions" has made it evident that this important liturgical-hymnographical collection was considered particularly interesting in Old Georgian literature. At first the material that had been created for "Triodion" was developed in the universal collection "Tropologion". In the

first part of the X century as it becomes obvious, the first Georgian "Triodion" was separated from "Tropologion" as an independent collection and its creator and editor was the great Georgian hymn-writer – Ioanne Minchkhi. The first Georgian "Triodion" was of the Jerusalem type and contained four authors – Elias of Jerusalem, Stephanus Sabbaites, Theodore Studites and Ioanne Minchkhi himself.

This collection served as foundation of the Georgian "Triodions" following redactions that were worked out by the outstanding representatives of Georgian culture- Eqvtime and George Athonites. Those redactions of "Triodions" display Jerusaleanian as well as Coustantinoplean traditions.

Georg. 5 manuscript which is an autographic "Triodion" by George Athonite completely reflects the Greek liturgical practice of those days and enables to identify the authors of numerous hymns. We have specially studied and showed the particular importance of George Athonite's redaction underlining the role it plays in the history of Byzantine and Georgian hymnography.

The investigation of Georgian manuscripts has made it obvious that the next redaction of Georgian "Triodion" belongs to Ephrem Mtsire. This redaction serves as a new, important stage in the formation of Georgian "Triodions". It contains a vast hymnographical repertoire - hundreds of hymns, the majority of which must have been translated by Eprem Mtsire. This redaction of "Triodion" must have been done in Antioch, on the "Black mountain".

The new redaction of "Triodion" was found in the second part (219r-292r) of Georg. 5 manuscript and it has not been investigated up to now. This redaction has been compiled with the autographic "Triodion" by George Antonite which is found in the first part of the same manuscript Georg.5 (1-216v).

Ephrem Mtsire creates the new redaction of "Triodion" in order to thoroughly present his contemporary Greek tradition.

It is known that the main principle for Ephrem Mtsire is to give the most exact picture of the Byzantine traditions of his time.

The innovations connected with the new redaction of "Triodion" contains all kinds of hymns – Kanons, Stichera, Three-Odes. To them are added liturgical servises of Holy Thursday, Holy Friday and John Baptist's beheading which made the important elements of the liturgy. All the three of them must have been newly translated from Greek by Ephrem Mtsire.

The new redaction of the "Triodion" contains the vast hymnographical repertoire that has been translated newly from Greek. Among them are 6 hymnographical Kanons belonging to the outstanding representatives of Byzantine hymnography – Andrew Crete, Theodore Studites, Kosmas of Jerusalem, John Damascene and Theophanus Graptos.

To the Georgian translations of these Kanons are added the titles where the authors, translators as well as the nature of the translation, the liturgical rule used while creating it and in some cases the names of the people who ordered them are indicated. Such kind of exactness is typical of Ephrem Mtsire.

Among these translations special attention should be paid to "St. Virgin's Lament" by Theophanus Graptos which serves as the best sample of the art of old Georgian translations.

The Greek original of this masterpiece of Byzantine hymnography has been lost and its restoration is possible only by Ephrem Mtsire's translation.

To Ephrem Mtsire belongs the fourth Georgian translation of the famous hymn - "The Resurrection Kanon" which word for word corresponds to the original, makes a kind of "double" and that was why it was created.

The new redaction of the Georgian "Triodion" contains the translations by Arsen Ikaltoeli who was Ephrem Mtsire's

pupil. Among them is "The Great Kanon" by Andrew of Crete which is considered the masterpiece of Byzantine hymnography. Ephrem is the third Georgian translator of it.

Ephrem Mtsire's redaction does not contain the repertoire characteristic of Jerusalemian traditions, among them Sunday Kanons by Elias III and the cycle of hymns by Stephanus Sabbaites. In this respect Ephrem continues the traditions of his contemporary Greek "Triodions". The same explanation must be given to the fact that the most important period of the Lent – Holy week contains the newly translated repertoire of hymns. Among them the hymns by Kosmas of Jerusalem deserve special attention. This author is represented by a great deal of new translations in Ephrem Mtsire's "Triodion".

One of the most important innovations of this redaction is the introduction and settling down of the repertoire of swallow-size hymns - Stichera. Alongside with the hymns having different forms this collection contains 542 small-size hymns some of which entered from the "Triodion" under George Athonite's redaction and others were translated from Greek.

The "Triodion" by Ephrem Mtsire contains new translations of the small-size hymns of VII-IX century Byzantine hymn-writers: Sophronius of Jerusalem, Andrew of Crete, Stephanus Sabbaites, Theodore Studites, Theophanous Grapto, Joseph of Sicily, John Damascene, Kosmas of Jerusalem. They can not be found in the previous Georgian manuscripts. Their translation is one of the innovations of "Triodion" by Ephrem Mtsire.

These translations are important for the ascertainment of the texts which are Greek originals and for the identification of the authors.

In this redaction are given the new translations of a series of Stichera - "Automela". Inspite of the difficulties characteristic of the translation of this type of hymns, their Georgian translations are perfect from the artistic point of



view. Among these hymns are Kontakions by Romanus Γραμματικός Melodos that were once more translated. by Ephrem Mtsire.

Alongside with the innovations this redaction of "Triodion" contains the unchanged important repertoire from the "Triodion" under George Ahonite's redaction: 17 hymnographical Kanons, a series of "Three-Odes" and numerous small – size hymns. In all those cases Ephrem Mtsire must have approved of the previous translations.

The "Triodion" under Ephrem Mtsire's redaction is the end of the complicated and interesting history of the formation of old Georgian "Triodions".

თე და სიცოცხლის დასატენი და 1081 იულიუსი
-იმპერატორი აღმ. აღმ. მარიამის მისამართ
1081 წელი გვიანდება იულიუსი და 1081 იულიუსი
იმპერატორის მისამართი და იმპერატორი 1081 იულიუსი

ასენის მარკეთი იულიუსი 1081 იულიუსი იულიუსი
და მცირება იყვარებოდა და ერთად ერთ მცირება და
1081 წა სამიამის და და მცირება და ერთად ერთ მცირება
იმპერატორის ერთად და 1081 წელი
1081 წელი იულიუსი იულიუსი
ამ ამერიკ მამამის ერთ ერთ და 1081 წელი
1081

ასენის და ერთ ერთ ერთ და 1081 წელი
1081 წა სამიამის და და მცირება და ერთად ერთ მცირება
-და იმპერატორი იულიუსი ერთად და 1081 წელი
1081 წა სამიამის და და მცირება და ერთად ერთ მცირება
-და იმპერატორი იულიუსი და 1081 წელი
1081 წა სამიამის მისამართი მარტინი მარტინი
-და იმპერატორი მისამართი მარტინი მარტინი
-და იმპერატორი მისამართი IX ასენის და იმპერატორი
-და იმპერატორი მისამართი IX ასენის და იმპერატორი

ბიბლიოგრაფია



ბლეიკი 1926: რ. ბლეიკი, ეფრემ მცირის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, მიმომხილველი, თბ., 1926

კეპელიძე 1960: კ. კეპელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960

კვირიკაშვილი 1982: ლ. კვირიკაშვილი, ჰიმნოგრაფიული კანონის კომპოზიცია, თბ., 1982

მეტრეველი 1959: ელ. მეტრეველი, ეფრემ მცირის ავტოგრაფი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბ., 1959

მეტრეველი 1966: ელ. მეტრეველი, „მეხელისა“ და მეხურის“ გაგებისათვის, კრებ. „შოთა რუსთაველი“ (ისტორიულ-ლიტერატურული ძიებანი), თბ., 1966

მეტრეველი 1971: ძლისპირნი და ლმრთისმშობლისანი, თბ., 1971

უძველესი იადგარი 1980: უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და სამიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა, თბ., 1980

ჭელიძე 2001: ე. ჭელიძე, მართლმადიდებლური ხატმეტყველება, თბ., 2001

ხაჩიძე 1987: ლ. ხაჩიძე, იოანე მინჩხის პოეზია, თბ., 1987

ხაჩიძე 1993: ლ. ხაჩიძე, ეფრემ მცირე — საგალობელთა მთარგმნელი, ფურნ. „სკოლა და ცხოვრება“, №7, 1993

ხაჩიძე 2000: ლ. ხაჩიძე, ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიიდან, თბ., 2000

ხინთიბიძე 1982: ე. ხინთიბიძე, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1982

ჯლამაძა: ლ. ჯლამაძა XI საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან (გიორგი მთაწმიდელის თუენი), თბ.,

ჯლამაძა: ლ. ჯლამაძა, II გალობის საკითხი X საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში, მრავალთავი, X, თბ.,

ბერნარდი 1969: Bernhard L, Der Ausfall der 2. Ode im
byzantinischen Neunodenkanon, Salzburg, 1969

კარაბინოვი 1910: И. Карабинов, Постная Триодь, СПб.,
1910

სლავური მარხვანი 1975: Триодь Постная, I – II, M.,
1975

ბერძნული მარხვანი 1879: Τριώδιον κατανυκτικόν,
Rome, 1879

უელეში 1980: E. Wellesz, A History of Byzantine Music
and Hymnography, Oxford, 1980

143 About Eastern Music's Hymnographic Literature

144 Early Christian Hymnology

გამოცემულია „ცისქონის 200“

ფურთვი, 2019 წ. 32(2019) გვ. 204-220 ს. 22 გვ.

E-mail: zisxoni@intermail.ge



შინაარსი

ესპონ სასამართლოს 100-ე დღის გამოცემა 2010 წელის 25. ივნისი

შესავალი 3

**თავი I ქართული მარხვანის ახალი რედაქცია და მიხი
შემდგენელი 7**

თავი II ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანის სიახლენი 21

**თავი III ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანის ტრადიციული
ნაწილი 85**

About Ephrem Mtsire's Hymnographical Inheritance 143

ბიბლიოგრაფია 148

ესპონ სასამართლოს გამოცემა თუ სამართლის მიერ გამოიცემა. გ. სამართლის მიერ გამოცემა, თბ., 1980

შემადგენელი 2001: ე. სამართლის მიერ გამოცემა, თბ., 2001
სამართლის მიერ გამოცემა, თბ., 2001

შემადგენელი 1987: ე. სამართლის მიერ გამოცემა, თბ., 1987

შემადგენელი 1993: ე. სამართლის გამოცემა – სამართლის მიერ გამოცემა, ეფრემ მცირის კრებული, №7, 1993

შემადგენელი 2000: ე. სამართლის გამოცემა – ეფრემ მცირის მიერ გამოცემა, თბ., 2000

შემადგენელი 1982: ე. სამართლის გამოცემა – ეფრემ მცირის მიერ გამოცემა ურთიერთობის მიმღების მიერ გამოცემა, თბ., 1982

კრებული: ე. კრებული XI საუკუნის გამოცემის მიმღების მიერ გამოცემა (გათვალისწინებული იყენება), თბ.,

კრებული: ე. კრებული, II გადაცემის საკითხი ზ. საუკუნის გამოცემის მიმღების მიერ გამოცემა, თბ.,



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, გ. ვაკევაძის გამზ. 19, ტელ: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

F 92.718
934363040
309-2001000

ISBN 978-9941-12-595-9

A standard linear barcode representing the ISBN number 978-9941-12-595-9.

9 789941 125959